პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 ივნისი **ოთხშაბათი** 2010
№ 139 (13 127) ფასი 60 თეთრი



## სამხრეთ კორეასთან ვერონის გარეშე?

» გვერდი 6

B ჯგუფი

# კინაღამ...



## ბუფონი? შიშობენ, რომ...

როგორც გუშინვე გაცნობეთ, პარაგვაისთან მატჩის შესვენებისას **ჯანლუიჯი ბუფონი** ზურგის ტკივილის გამო შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ მას ეს პრობლემა დიდი ხანია აწუხებს, ამჯერად თითქოს იოლად უნდა გამოსულიყო მდგომარეობიდან, მაგრამ... დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საქმე სახუმაროდ არ არის და ამ მომენტისთვის ვერავინ იტყვის, ითამაშებს თუ არა ბუფონი ახალ ზელანდიასთან 20 ივნისის მატჩში. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი პრესასთან კომენტარში აცხადებს: *„ჯერჯერობით, შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის დაბრუნდება ბუფონი მწყობრში“.*

აქედან გამომდინარე, შიშობენ, რომ „იუვენტუსის“ მეკარემ მუნდიალი, შეიძლება, ნაადრევადაც დაასრულოს. მართალია, მის შემცვლელ **ფედერიკო მარკეტის** პარაგვაისთან ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ამხელა რანგის გოლკიპერი რომ გამოგაკლდება, თან ტურნირის სტარტზევე, ეს სერიოზულად შეარყევს მსოფლიოს ჩემპიონის ამბიციებს...

**ლევან ჯანეზაშვილი**



G ჯგუფი

» გვერდი 2

## პორტუგალიამ სპილოს ძვალი ვერ მოინადირა

G ჯგუფი

» გვერდი 2



## დღეს ევროპის ჩემპიონის გამოსვლაა



» გვერდი 3,6

H ჯგუფი

## სამწვრთნელო შურისძიების მოლოდინში

ჰიტცფელდი სიურპრიზზე ლაპარაკობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

G ჯგუფი

# უცნაური ფავორიტი და უცნაური მატჩი

15 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 55 686

**ბრაზილია-ჩრდ. კორეა 2:1**

**ბრაზილია (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბაშტოში - ელანო (73. დ. ალვეში), ჟილბერტო სილვა, ფ. მელო (84. რამირესი) - კაკა (78. ნილმარი) - რობინიო, ლ. ფაბიანო.

**ჩრდ. კორეა (5-4-1):** მიონ გუკი - იონ ჰიოკი, ჩოლ ჯინი, პ. ნამ ჩოლი, კვან ჩონი - ინ გუკი (80. კუმ ილი), ჯუნ ილი, იუნ ნამი - იონ ჯო, იონ ჰაკი - ტაე სე.

**გოლები:** 1:0 მაიკონი (55), 2:0 ელანო (72), 2:1 იუნ ნამი (89)

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**მატჩი დაიწყო:** ჩრდ. კორეა; **დარტყმა:** 26-11 (10-3); **ჯარიმა:** 9-10; **კუთხური:** 7-4; **გაფრთხილება:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**საინტერესო მომენტები**

8' - **რობინიომ** საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა, თუმცა კორეელთა კარს ააცილა.

13' - **ელანოს** დარტყმული მცველმა მკერდით მოიგერია, დამატებაზე **მაიკონმა** იყოჩაღა, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეკარისკენ წავიდა.

33' - **კვან ჩონმა** საჯარიმოს კუთხიდან ოდნავ ააცილა ბრაზილიელთა კარს.

55' - **ელანოს** პასით მარჯვენა ფლანგზე **მაიკონი** გაიჭრა, მან თითქმის პირითი ხაზიდან დაარტყა, მეკარე **მიონ გუკმა** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, ახლო კუთხე არ დაკეტა და - 1:0.

61' - **ბაშტოშის** შორეული დარტყმა საკმაოდ სახიფათო გამოდგა.

72' - **რობინიოს** სუპერპასი **ელანომ** საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში მიიღო და დაუმუშავებლად დაარტყა - 2:0.

85' - **ნილმარის** სახაფათო დარტყმა მეკარემ აიღო.

87' - რომ არა **ჟუანის** ბრწყინვალე თამაში **ტაე სე ჟულიო სეზართან** პირისპირ გადიოდა.

89' - კორეის ნაკრების გოლი-შედევრი. შორეული ჩაწოდების შემდეგ **ტაე სემ** ბურთი თავით დაუგდო **იუნ ნამს**, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და აუღებელი დაურტყა **ჟულიო სეზარს** - 2:1.



ნამიც და მაიკონის დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნება

მოულოდნელი თამაში, მოულოდნელი შედეგი (მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ფავორიტმა მოიგო) - პირველი 45 წუთის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის ნაკრები გმირულად უძლებდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის შეტევებს, თუმცა იმდენად ცუდად ითამაშა ბრაზილიამ პირველ ნახევარში, რომ კორეელებს გასაძლებიც არაფერი ჰქონდათ. საკმარისია ითქვას, რომ პირველ ტაიმში ბრაზილიის ნაკრებს აშკარა საგოლე მომენტი არ ჰქონია ფიფას რეიტინგში მსოფლიოს 105-ე ქვეყანასთან.

თუმცა საბოლოოდ კომუნისტური სამშობლო კორეელებმა ვერ გაახარეს, მათ გმირობას შედეგი არ გამოუღია, რაშიც, ვერ ვიტყვით, რომ ბრაზილიის ნაკრების მწყობრი თამაშია „დამნაშავე“. რა ათქმა უნდა, **დუნგას** გუნდმა კიდევ უფრო მოუჭირა მარწუხები მეტოქეს, მაგრამ ბევრი რამ მაინც პირველმა, საკმაოდ კურიოზულმა გოლმა გადაწყვიტა. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე **მაიკონმა** ყველაზე მახვილი კუთხიდან გაიტანა (თანაც არცთუ ახლო მანძილიდან) რაც კი ფეხბურთში შესაძლებელია, ეს კი მეკარისთვის იმაზე უფრო დიდი შეცდომაა, ვიდრე ინგლისის ნაკრების გოლკიპერმა ამერიკელებთან მატჩში დაუშვა. აღსანიშნავია, რომ 1986 წლის მუნდიალის შემდეგ პირველად გაიტანა ბრაზილიის ნაკრებში მარჯვენა მცველმა, მაიკონამდე კი იყო **ჟოსიმარი**, რომელმაც პოლონეთის ნაკრებს გაუტანა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მომდევნო ორი გოლი, პირველი ისევ კორეის ნაკრების კარში: დიდებული, გამჭოლი გადაცემა გოლის ავტორ **ელანოს რობინიომ** გაუკეთა. მეორე გოლი კი პატარა კორეული შედევრი იყო ბრაზილიურ სტილში, რომელიც ნახევარმცველმა **ჯი იუნ ნამმა** დააგვირგვინა. ეს იყო ჩრდილოკორეელთა პირველი გოლი მუნდიალზე 44-წლიანი პაუზის შემდეგ.

მოკლედ, ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებამ ბევრი უპასუხო კითხვა დატოვა. ყოველ შემთხვევაში პენტაკამპეონთა აშკარა ფავორიტობას, ცოტა არ იყოს, ჩრდილი მიადგა. ისე, G ჯგუფის ეს მატჩი გაცილებით სჯობდა პირველს, პორტუგალიელებმა და კოტდივუარელებმა კარში ზუსტად 3-ჯერ დაარტყეს ერთად, ამდენჯერ კი მარტო კორეელებმა შეაწუხეს **ჟულიო სეზარი**.

ამჯერად დავეთანხმებით ფიფას ოფიციალურ საიტს და მატჩის გმირად დავასახელებთ მაიკონს. ძალზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორს კორეის ნაკრების კარში.

**მატჩის შემდეგ**

მაიკონი (ბრაზილია): **„ზუსტად ასეთივე გოლი გავუტანე პორტუგალიის ნაკრებს ამხანაგურ მატჩში. ამ ეპიზოდში ნამდვილად კარში ვურტყამდი და არ ვაწოდებდი“.**

**სახალისო სტატისტიკა**

**მაიკონი:** 1 გოლი; 3 დარტყმა კარისკენ, აქედან 2 კარში; არ დაჯარიმებულა, 108 პასიდან 90 ადრესატამდე მივიდა, გაირბინა 9 747 მეტრი.

**ყველაზე მეტი პასი:** მაიკონი (108)

**ყველაზე მეტი ზუსტი პასი:** მაიკონი (90)

**ყველაზე მეტი ჩაწოდება:** ელანო (9)

**ყველაზე მეტი გაირბინა:** იონ ჰაკი (11 792 მ)

**ყველაზე სწრაფი:** კაკა (29,8 კმ/სთ)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გი დემელი (მარცხნივ) და კრიშტიანო რონალდო

# პორტუგალიამ სპილოს ძვალი ვერ მოინადირა

## ვინ უკეთ ეჭიდავება ბრაზილიას?

15 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. ნელსონ მანდელა ბეი. 37 430 მაყურებელი

**კოტ დ'ივუარი-პორტუგალია 0:0**

**კოტ დ'ივუარი (4-3-3):** ბარი - დემელი, კ. ტურე, ზოკორა, ტიენე - ებუე (89. რომარიკი), ი. ტურე, ტიოტე - ჟერვინიო (82. კეიტა), დინდანე, კალუ (66. დროგბა).

**პორტუგალია (4-3-3):** ედუარდო - ფერეირა, ბ. ალვეში, რ. კარვალიო, კოენტრაო - დეკუ (62. ტიაგო), მენდეში, მეირელეში (85. ამორიმი) - რონალდო, ლიდსონი, დანი (55. სიმაო).

**მატჩი დაიწყო:** პორტუგალია; **დარტყმა:** 5-7 (1-2); **ჯარიმა:** 18-13; **კუთხური:** 6-4; **გაფრთხილება:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

**საინტერესო მომენტები**

11' - **კრიშტიანო რონალდომ** დაახლოებით 22 მეტრიდან მარჯვენა ფეხით უძლიერესად გაისროლა, ბარი ველარაფრით შველოდა გუნდს, თუმცა კოტ დ'ივუარი ძელმა იხსნა.

47' - **ჟერვინიომ** იოლად ჩამოიცილა ვიზავი, შემდეგ აფრიკელმა ჩააწოდა, თუმცა ბურთი კარში წავიდა და ედუარდომ რის ვაი-ვაგლახით გადააგდო კუთხურზე.

58' - **დეკუმ** მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, **ლიდსონმა** ახლო მანძილიდან თავურით სცადა გოლის გატანა, ბარი საკმაოდ იოლად დაეუფლა ბურთს.

60' - **ტიოტეს** შორეული ჩაწოდება საჯარიმოში ჟერვინიომ მიიღო, მაგრამ მისი თავური პორტუგალიელთა კარს ასცდა.

91' - როგორც იქნა **დროგბა** დაუსხლტა პორტუგალიელ მცველებს, მაგრამ მას დარტყმა არ გამოუვიდა.

აი, სულ ეს არის! „საინტერესო მომენტებისთვის“ ერთიც არ მოგვიკლია, ის კი არა ერთი-ორი ნახევარ-მომენტიც შემოგაპარეთ. სულ ეს მივიღეთ მატჩისაგან, რომელსაც I ტურის ყველაზე საინტერესო დაპირისპირებად თვლიდნენ. მართლა ვერ არის ამ მუნდიალის საქმე კარგად, თუკი მხოლოდ მაისურებით და ვარცხნილობით გაარკვევ, სლოვაკეთი-ახალი ზელანდია თამაშობს, თუ პორტუგალია-კოტ დ'ივუარი.

ჯერ კიდევ თამაშამდე ბევრი რამ გაირკვა, კერძოდ ის, რომ სამხრეთ აფრიკიდან სამშობლოში დაბრუნებული **ნანი** ის კაცი არაა, რომელსაც სიტყვაზე უნდა ენდო - „მანჩესტერის“ ვარსკვლავმა დაიჩივლა, დღე-დღეზე გამოვჯანმრთელდებოდი, ნაკრებს ტრავმის გამო კი არ დავაკლდი, მომკვეთესო, თორემ ზუსტად ჩემნაირი სიმძიმის ტრავმა აქვს **დეკუს**, პირველ თამაშს ისიც გამოტოვებს, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში დატოვესო. არადა ქვეყნის ჰიმნის სამღერლად სალ-სალამათი დეკო ვიხილეთ. სამაგიეროდ, **დიდიე დროგბა** მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა, მართალია, „ჩელსის“ ფორვარდმა გამოჯანმრთელება მოასწრო (ხელმოტეხელი მშვენივრად უკრავდა ტაშს თავისიანების შეტევებისას), მაგრამ **სვენ გორან ერიქსონმა** ის მხოლოდ ბოლო წუთებისთვის შემოინახა. სიმართლე ითქვას, გუშინდელი დეკუ და დროგბა გინდ ყოფილან მოედანზე და გინდ არა, ერთი-ორჯერ კი გამოიჩინეს თავი, მაგრამ აბა ეს რა მოსატანია მათ კლასთან და პოტენციალთან.

ახლა გვსურს ერთი მწვრთნელის „სიდიადეზე“ გესაუბროთ, **კარლუშ კეიროში** ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე „წარმოჩნდა“, ახლა კი მთლად საინტერესო ინოვაცია შემოგვთავაზა, მოედანზე შემოუშვა კაცი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში სულ ორი დღის ჩამოსული იყო და რომელსაც აქამდე ნაკრებში წამიც არ უთამაშია და თავისიანებს მაისურებისა და კანის ფერის მიხედვით ასხვავებდა მეტოქეთაგან - **რუბენ ამორიმი**. მარცხენა ფლანგზე ზენიტელი **დანი**, რომ საერთო ანსამბლიდან იყო ამოვარდნილი კეიროში 55-ე წუთამდე ვერ მიხვდა. რაც კიდევ უფრო გასაოცარია, მან აირჩია „მეორე ნომრად“ თამაში, პორტუგალია კონტრშეტევების იმედად დარჩა.

» მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

G ჯგუფი

# პორტუგალიამ სპილოს ძვალი ვერ მოინადირა

« მე-2 გვერდიდან

რა ვთქვათ მსოფლიოს უძვირფასეს ფეხბურთელზე? **კრიშტიანო რონალდომ** კარგად დაიწყო, ჯერ მისი გარღვევის შეჩერება **დიდიე ზოკორამ** ყვითელი ბარათის მიღების ფასად შეძლო, შემდეგ კი რონალდომ დიდებულად მოიქნია მარჯვენა, ბურთი მეკარე **ბუბაქარ ბარის** კარის მარჯვენა ძელს მოხვდა. ეს მე-11 წუთზე იყო, არც მანამდე და არც მერე აღარ შექმნილა ასეთი აშკარა საგოლე მომენტი, თუმცა კი აფრიკული გუნდი უფრო მოწადინებული და ოდნავ უკეთესი იყო.

ფიფამ ამ მატჩის გმირად კრიშტიანო რონალდო დაასახელა, ჩვენ კი საერთოდ შევიკავებთ თავს გმირის გამოყოფისგან, რადგან ამას ხალხი უშნო ხუმრობად ჩაგვითვლის. არა უშავდათ (ევროპელთაგან) **ფაბიო კოენტრაოსა** და **რაულ მეირელეშს**, საზიზღრად ითამაშეს **ლიდსონმა** და დანიმ. „სპილოებიდან" კი იმავე ზოკორას გამოვყოფთ (ბოლობოლო ყველაზე ხშირად უწევდა რონალდოსთან თამაში) და, რა თქმა უნდა, **ჟერვინიოს**. განსაკუთრებული ვარცხნილობის მქონე ფრანგული „ლილის" ფორვარდმა დალალა პორტუგალიის ნაკრების დაცვის მარჯვენა ფრთა. განსაკუთრებით აქტიური ჟერვინიო მეორე ტაიმში იყო. და დროგბა? სამწუხაროდ, დიდიე ორთაბრძოლებს გაურბოდა...

უგოლო ფრე, რომელიც ორივე გუნდს ერთნაირ საშინაო დავალებას აძლევს, რომლის წარმატებით შესრულების შემთხვევაში ჰორიზონტზე პლეი-ოფი გამოჩნდება - როგორ ვეჭიდავოთ ბრაზილიას?

### მატჩის შემდეგ

კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია): **„ჩვენ ვიცოდით, რომ კოტ დ'ივუარი ბევრს არ შეუტევდა და დაცვიდან ითამაშებდა. მეტოქეს პირველ ტაიმში ჩვენი ეშინოდა. მეორე ტაიმში კოტ დ'ივუარი ათამაშდა, თუმცა ურიგოდ არც პორტუგალიას უთამაშია და ცოტა ბედიც რომ გვქონდა, მოვიგებდით".**

სვენ გორან ერიქსონი (კოტ დ'ივუარი): **„პორტუგალია კარგი გუნდია, ასე რომ, მათთან მოპოვებული ქულა ნორმალური შედეგია. რა თქმა უნდა, ყველაფრით კმაყოფილები მაინც არ ვართ, თუმცა ტექნიკურად კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქეს დიდებული შანსი ჰქონდა პირველ ტაიმში, როცა რონალდომ ძელს გაარტყა ბურთი".**

კარლუშ კეიროში (პორტუგალია): **„ჩვენ ვცადეთ შეტევა, მაგრამ თამაში ისეთ გუნდთან, რომელსაც არც შეტევა და არც ბურთზე კონტროლი არ ანაღვლებს, ძნელია. ისინი მხოლოდ კონტრშეტევებზე ფიქრობდნენ".**

### სახალისო სტატისტიკა

**რონალდო:** 3 დარტყმა კარისკენ, 1 კარში; 5-ჯერ დაჯარიმდნენ მის წინააღმდეგ; 35 პასი, 21 ზუსტი; გაირბინა 9 577 მეტრი.

**ყველაზე მეტი პასი:** ბ. ალვეში (84)

**ყველაზე მეტი ზუსტი პასი:** ბ. ალვეში (69)

**ყველაზე მეტი ჩაწოდება:** მეირელეში, ებუე (4-4)

**ყველაზე მეტი გაირბინა:** ტიოტე (11 378)

**ყველაზე სწრაფი:** ებუე (26,02 კმ/სთ)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

F ჯგუფი

# სიურპრიზი ჰო, მაგრამ სენსაცია...



უინსტონ რიდი

15 ივნისი. რუსტენბურგი. როიალ ბაფოკენგი. 20 000 მაყურებელი

### ახ. ზელანდია-სლოვაკეთი 1:1

**ახ. ზელანდია (4-4-2):** პასტონი - რიდი, ნელსენი, სმიტი, ბერტოსი - ელიოტი, ვისელიჩი (78. კრისტიე), ლოხიდი, კილენი (67. ვუდი) - სმელცი, ფალონი.

**სლოვაკეთი (4-4-2):** მუხა - ზაბავნიკი, შკრტელი, დურიცა, ჩეხი - ვაისი (90. კუჩკა), შტრბა, ჰამშიკი, შესტაკი (81. ჰოლოშკო) - ვიტეკი (84. სტოხი), იენდრიშეკი.

**გოლები:** 0:1 ვიტეკი (50), 1:1 რიდი (90)

**მატჩი დაიწყო:** სლოვაკეთი; **დარტყმა:** 8(2)-11(2); **ჯარიმა:** 19-13; **კუთხური:** 3-10; **გაფრთხილება:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**არბიტრი:** ჯერომ დეიმონი (სამხ. აფრიკა)

### საინტერესო მომენტები

30' - **ვაისის** კარგი გადაცემის შემდეგ, **ვიტეკი** აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა მისი დარტყმა მცირედით არაზუსტი გამოდგა.

35' - ვიტეკი ურტყამს შორი დისტანციიდან, ბურთი მცირე მანძილით სცდება ზელანდიელთა კარს.

42' - სლოვაკებმა ჯარიმა გაითამაშეს ორიგინალურად, რასაც **ჰამშიკის** ძლიერი დარტყმა მოჰყვა, თუმცა მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

50' - მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულს ვიტეკი გამოეხმაურა და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში - 0:1.

86' - ფლანგიდან ჩაწოდებულს **სმელცმა** დაჰკრა თავური და მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

90' - მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე, მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ, **უინსტონ რიდმა** თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში - 1:1.

სლოვაკეთი ფავორიტად იყო მიჩნეული, რაც სრულიად ბუნებრივია. ევროპელებმა შესარჩევი ციკლი შესანიშნავად დასძლიეს და საერთოდაც, მებრძოლი გუნდის სახელი აქვთ. ახალზელანდიური ფეხბურთი კი უფრო ეგზოტიკაა და ამ გუნდის პერსპექტივებს უმეტესობა ეჭვის თვალით უყურებს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებსაც სჯერათ, რომ ეგზოტიკური კონტინენტის წარმომადგენლებს გარკვეული სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლიათ. მაგალითად, იტალიის ეროვნული ნაკრების გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ კონფედერაციათა თასის დაწყებამდე გამართული ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც ზელანდიელებმა „აძურას" სამი გოლი გაუტანეს. მართალია, 4:3 წააგეს, მაგრამ ფხაც და კლანჭებიც ნამდვილად გამოაჩინეს.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ გუშინ დაფიქსირებულ ფრეს დიდ სენსაციას ვერ ვუწოდებთ - ეს, ალბათ, უფრო სიურპრიზია. ისე კი, შეხვედრა ევროპელთა უპირატესობით წარიმართა და ცოტა უკეთ რომ ეთამაშათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, სამ ქულას უთუოდ მოიპოვებდნენ. მინიმუმ ჰეთ-თრიკის შესრულება შეეძლო **რობერტ ვიტეკს**, თუმცა მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა.

ზელანდიელებს ყველაზე უკეთ მეორე სართულზე თამაში გამოსდით და შეტევებსაც შესაბამისად, ფლანგებიდან ახორციელებდნენ. სწორედ ერთ-ერთ, თუმც კი ბოლო შეტევას მოჰყვა გოლი, რომელმაც ნომინალურ მასპინძლებს ქულა გადაურჩინა - უკვე მსაჯის მიერ დამატებულ დროში **უინსტონ რიდმა** თავური დარტყმით საყაიმო ანგარიში დააფიქსირა - 1:1.

მთლიანობაში კი შეხვედრა მეტად მოსაწყენი გამოდგა. საერთოდაც, მიმდინარე მუნდიალზე მატჩების უმეტესობა ნელ ტემპში მიმდინარეობს - გაუთავებელი ბურთის გორება, წინ და უკან სიარული და უამრავი ტექნიკური წუნი. ძნელია იმის თქმა, რამ განაპირობა მუნდიალის ასეთი სტარტი - ალბათ იმან, რომ ჯერ კიდევ პირველი ტურია, ფეხბურთელები ადაპტაციას გადიან და შებოჭილები თამაშობენ. მწვრთნელებიც ზედმეტად ფრთხილ სტრატეგიას ირჩევენ - ტენდენციაა ისეთი, რომ პრიორიტეტი საკუთარი კარის უსაფრთხოებას ენიჭება. მოკლედ, სლოვაკეთი-ახალი ზელანდიის პაექრობაში ახალი არაფერი გვინახავს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

რობერტ ვიტეკი (სლოვაკეთი)

**სლოვაკეთის ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელებად მარტინ შკრტელი და მარეკ ჰამშიკი მიიჩნევიან, მაგრამ თუ ვინმე გამოირჩეოდა ზელანდიელებთან პაექრობაში, ეს პირველ რიგში რობერტ ვიტეკი გახლდათ. მართალია, რამდენიმე კარგი მომენტი გაატანა ქარს, მაგრამ სამაგიეროდ, გოლი მიითვალა აქტივში და მთლიანობაში, ძალიან აქტიური იყო. აზრს ატანდა თამაშს, რაც სლოვაკეთი-ახალი ზელანდიის პაექრობაში არცთუ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მატჩის გმირი შესაძლოა ვინსტონ რიდი იყოს, რომელმაც ქულა გადაურჩინა ზელანდიელებს, მაგრამ თუ საუკეთესო ფეხბურთელზეა ლაპარაკი, ვიტეკი უკონკურენციოა.**

### მატჩის შემდეგ

უინსტონ რიდი (ახალი ზელანდია): **„ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი თუ ოდესმე ახალი ზელანდიის მაისურით მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლს გავიტანდი. ეს იყო საოცარი განცდა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, რისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. არც ერთი მეტოქის არ გვეშინია, მათ შორის, არც მსოფლიოს ჩემპიონის".**

**ლაშა ნიკლაური**

H ჯგუფი

# ბრძოლა საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ

## სამწვრთნელო შურისძიების მოლოდინში

16 ივნისი. დურბანი. დურბან სთედიუმი. 18:00

### ესპანეთი-შვეიცარია

საავარაუდო შემადგენლობები

**ესპანეთი (4-1-3-2):** კასილიასი - ს. რამოსი, პუიოლი, პიკე, კაპდევილა - ბუსკეტსი - ჩავი, ჩაბი ალონსო, სილვა - ტორესი, ვილია.

**შვეიცარია (4-4-2):** ბენალიო - ლიხშტაინერი, სენდეროსი, გრიხტინგი, ციგლერი - ბარნეტა, ჰუგელი, ინლერი, ფერნანდესი - ნკუფო, დერდიოკი.

**არბიტრი:** ჰ. ვები (ინგლისი)



დელ ბოსკეს არმადა მზადაა

ყველაზე ბოლოს მუნდიალს დურბანში ესპანეთისა და შვეიცარიის ნაკრებები დაიწყებენ, საქმეში კიდევ ერთი, შესაძლოა, მთავარი ფავორიტი ჩაერთოს. რას იზამს ესპანეთის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში, აქ სპეციალისტთა პროგნოზები ორად იყოფა - პირველები, ისევე როგორც გულშემატკივართა დიდი ნაწილი, მიიჩნევენ, რომ „ფურია როხა" ობიექტურად ყველაზე ძლიერი გუნდია მსოფლიოს ჩემპიონატზე და მან აუცილებლად უნდა იბრძოლოს ტიტულისათვის. გუნდი მართლაც შესანიშნავ ფორმაშია, რომლის ერთ-ერთი დასტური სპარინგში პოლონეთის ნაკრების 6:0 განადგურებაა. უკვე 12 თამაშია, რაც ესპანეთის ნაკრები გამარჯვებული გამოდის მინდორიდან, ეს კი მსოფლიო რეკორდს სამი მატჩით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდიც „ფურია როხას" ეკუთვნის და ის 2008-2009 წლებში დამყარდა.

პესიმისტები კი მიიჩნევენ, რომ ესპანეთის ნაკრებს წარმატებაში ხელს საკუთარი ისტორია შეუქმნის, რომელიც ტრადიციად დამკვიდრდა - მუნდიალამდე ესპანეთის ნაკრები ფავორიტია, ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ იწყება პირველობა და... მოკლედ, **ვისენტე დელ ბოსკეს** უძლეველმა არმადამ, მეტოქეებთან ერთად საკუთარი ისტორიით შექმნილ სტერეოტიპებსაც უნდა აჯობოს.

არის, კიდევ ერთი „დეტალი", რაც ესპანეთი-შვეიცარიის მატჩს დამატებით ელფერს შესძენს, მოედანზე ესპანელი და შვეიცარიელი ფეხბურთელების შედარებაც კი არ შეიძლება, მაგრამ მოედნის კიდეზე მყოფებს, ვისენტე დელ ბოსკესა და **ოტმარ ჰიტცფელდს** ძველი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი, 2:1 - ამ ანგარიშით იგებს ურთიერთშეხვედრების გერმანელი თავკაცი. დელ ბოსკეს თითქმის 10 წლის წინანდელი წყენისთვის შური აქვს საძიებელი, მაშინ ის ჩემპიონთა თასის მფლობელ „რეალს" წვრთნიდა, ხოლო ჰიტცფელდი - „ბაიერნს". ლიგის ნახევარფინალში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გერმანულმა კლუბმა, რომელმაც **შტეფან ეფენბერგის** გაძევების გამო 10 კაცით დაასრულა შეხვედრა, **ჯოვანი ელბერის** გოლის წყალობით მოიგო - 1:0. საპასუხო მატჩშიც „ბაიერნს" დარჩა მოგება - 2:1.

ესპანეთი და შვეიცარია აქამდე 18-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, „ფურია როხას" აბსოლუტური უპირატესობა აქვს, გუნდმა 15 შეხვედრა მოიგო და 3 ფრედ დაასრულა. ბურთების შეფარდებაც შთამბეჭდავია ესპანეთის ნაკრების სასარგებლოდ - 45:15. ესპანელებმა აქამდე 12 მუნდიალზე ითამაშეს, ხოლო შვეიცარიელებმა - 8-ზე. თუმცა მიღწევებით ვერც ერთი მათგანი დაიკვეხნის, „ფურია როხამ" 1950 წლის მუნდიალზე აიღო მე-4 ადგილი, შვეიცარია კი არცთუ ახლო წარსულში სამჯერ გავიდა მეოთხედფინალში, სულ ეს არის...

ესპანელთა ბანაკში სასიამოვნო სიახლეა, **ანდრეს ინიესტა** გამოჯანმრთელდა და თამაში შეუძლია, თუმცა დელ ბოსკემ ის მაინც შეიძლება დატოვოს სათადარიგოთა სკამზე, გაუფრთხილდეს ახალგამოჯანმრთელებულ ნახევარმცველს. **ფერნანდო ტორესი** და **სესკ ფაბრეგასი** ბოლომდე გამოჯანმრთელდნენ, მათი თამაში ეჭვს არ იწვევს.

შვეიცარიას დიდი დანაკლისი აქვს, ვეტერანი ფორვარდი **ალექსანდერ ფრაი** კოჭის ტრავმის გამო გამოაკლდა გუნდს, მას ჯერ ნორმალურად სირბილიც არ შეუძლია. გამორიცხულია ესპანელთა წინააღმდეგ ნახევარმცველ **ვალონ ბეჰრამის** თამაშიც.

**შტეფან ლიხშტაინერი:** *„მოგების გარანტიას არ ვიძლევით, თუმცა დარწმუნებით შეგვიძლია შეგპირდეთ, რომ ნაკრები გააკეთებს ყველაფერს მოსაგებად. ჩვენ ძალიან კარგად მოვემზადეთ ამ ტურნირისთვის, რამაც ისედაც ძლიერი გუნდური სული კიდევ უფრო გააძლიერა. შვეიცარია შეეცდება საუკეთესოდ გამოვიდეს მუნდიალზე".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



H ჯგუფი

# 48-წლიანი შიმშილის შემდეგ

ნელსპრუიტის „მბომბელა“ მუნდიალის ბოლო, H ჯგუფის ბატალიებს იწყებს - ერთმანეთის პირისპირ ორი ამერიკული გუნდი დადგება, ჰონდურასი და ჩილე. ვინაიდან ისინი სხვადასხვა კონფედერაციაში არიან გაერთიანებულნი (ჰონდურასი კონკაკაფში, ჩილე კონმებოლში), ერთმანეთს ბევრჯერ არ შეხვედრიან. აქამდე სულ ხუთი მატჩი გაიმართა და მცირე უპირატესობა ჩილეს მხარეზეა - 3 მოგება 2 მარცხის წილ, ბურთების შეფარდება - 11:10. ჩილე მუნდიალის ხშირი სტუმარია, ეს გუნდი მერვეჯერ ცდის ბედს ოლიმპიადის შემდეგ მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ფორუმზე.

სამხრეთამერიკული ქვეყანა პირველად სადებიუტო, 1930 წლის მუნდიალზე გამოჩნდა, როცა ორი თამაში მოიგო, ერთი წააგო, მაგრამ ჯგუფში ჩარჩა. ყველაზე დიდი წარმატება ჩილეს ნაკრებს 1962 წელს სამშობლოში ელოდა, როცა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ „სახალხო გუნდმა“ (ელ ეკიპო დე ტოდოს), როგორც „როხას“ ჩილეში უწოდებენ, კიდევ ოთხ მუნდიალზე ითამაშა, მაგრამ ერთი მატჩიც კი ვერ მოიგო. 1998 წლის შემდეგ კი საერთოდ პირველად შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. ეს წარმატება კი მთლიანად არგენტინელი სპეციალისტის, **მარსელო ბიელსას** სახელს უკავშირდება, რომელიც ქვეყანაში ლამის სახალხო გმირია. ბიელსას გუნდმა კონმებოლის საკვალიფიკაციო ტურნირი მე-2 ადგილზე დაასრულა (წინ მხოლოდ ბრაზილია გაუშვა). ბიელსამ შეძლო აქამდე არნახული რამ, საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩილეს ნაკრებმა არგენტინის გუნდი დაამარცხა - 1:0. აი, სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ გახდა არგენტინელი უზომოდ პოპულარული ქვეყანაში.

ჰონდურასის ნაკრები კი მხოლოდ ერთხელ 1982 წლის მუნდიალზე გამოჩნდა, სადაც სხვათა შორის, დიდი სენსაცია მოახდინა მასპინძელ ესპანეთთან 1:1 თამაშით. ეს ზუსტად 28 წლის წინათ იყო, 16 ივნისს. ჰონდურასი ვალენსიაში 65-ე წუთამდე იგებდა, სანამ ესპანელმა **ლოპეს უფარტემ** პენალტით არ გაათანაბრა. საბოლოო ჯამში ჰონდურასის ნაკრები მაინც ბოლო ადგილზე დაემშვიდობა ჯგუფს, თუმცა სამ მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაუშვა. ჩილესი არ იყოს, ჰონდურასსაც უცხოელი მწვრთნელი ჰყავს, კოლუმბიელი სპეციალისტი **რეინალდო რუედა.**

ჩილელები 48-წლიანი უსიამოვნო ტრადიციის დამხობას ნელსპრუიტში გამარჯვებით აპირებენ. „ელ ლოკო“ (ბიელსას მეტსახელია) 3-3-1-3 ტაქტიკურ სქემას ანიჭებს უპირატესობას. მისი გუნდი ფუტკარივით ეხვევა მეტოქეს და მას არ აძლევს საშუალებას ბურთი გააკონტროლოს. ბიელსა ერთობ მონადინებულია, მისმა განწრთნილმა არგენტინამ ხომ 2002 წელს ვერ შეძლო წარმატების მიღწევა. „ელ ლოკო“ საათობით სწავლობს საკუთარი და მეტოქე გუნდის შესაძლებლობებს ვიდეოჩანაწერებზე. მისი გუნდის კაპიტანი მეკარე **კლაუდიო ბრავოა**, რომელიც პრიმერა დივიზიონში ალზევებული „რეალ სოსიედადის“ ღირსებას იცავს.

*„მე არ მოვუპოვე ჩილეს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, ეს გუნდმა თავად შეძლო. მე უბრალოდ მივყვები მას მუნდიალზე“*, - ასეთი მოკრძალებულია ბიელსა.

ჰონდურასის ნაკრებში 14 ადგილობრივი ფეხბურთელია, რომლებიც ნახევრადპროფესიულ კლუბებში თამაშობენ. ინგლისურ პრემიერლიგაში ასპარეზობენ **მაინორ ფიგეროა** (უიგანი) და **ვილსონ პალასიოსი** (ტოტენჰემი). იტალიაში გამოდიან: **ედგარ ალვარესი, ხულიო დე ლეონი** და **დავიდ სუასო.** ეს უკანასკნელი, რომელიც ნაკრების აშკარა ლიდერია, ჯერჯერობით ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და მისი თამაში ჩილესთან საეჭვოა.

*„ჩილე ყველასგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს და მას თუ ჭკვიანური ფეხბურთი არ დაუპირისპირე, არაფერი გამოვა“*, - ამბობს რუედა. 30 წლის სუასო, რომელიც „ინტერის“ საკუთრებაა, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს: *„გული მიგრძნობს, რომ მოვერევი ტრავმას და მუნდიალზე ყველა შეხვედრას ვითამაშებ“*, - ირწმუნება სუასო.

ვის დავარკვირდეთ? რეკომენდაციას გავუწევთ ჩილეს ნაკრების 24 წლის პლეიმეიქერ **მატიას ფერნანდესს**, უზომოდ ტექნიკურ ფეხბურთელს, რომლის თამაშზეც დიდად არის დამოკიდებული „როხას“ წარმატება. ლისაბონის „სპორტინგის“ ვარსკვლავს ჰონდურასი ერთხელ ჰყავს დამარცხებული, ახალგაზრდულ მუნდიალზე ჩილეს ნაკრებმა ფერნანდესის წყალობით 7:0 მოუგო ჰონდურასს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

16 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა. 16:30

**ჰონდურასი-ჩილე**

საეარაუდო შემადგენლობები

**ჰონდურასი (4-4-2):** ვალადარესი - მენდოსა, ჩავესი, ფიგეროა, ისაგირე - პალასიოსი, გევარა, დე ლეონი, ტურსიოსი - პავონი, სუასო.

**ჩილე (3-3-1-3):** ბრავო - მედელი, პონსე, ვიდალი - ბოსეჟური, მილარი, კარმონა - ფერნანდესი - სანჩესი, სუასო, გონსალესი.

**არბიტრი:** ე. მაილე (სეიშელის კუნძულები)



დავიდ სუასო უკვე ვარჯიშობს

A ჯგუფი

# პირველი გამარჯვებისთვის

მასპინძელთა და ურუგვაელთა დაპირისპირებით დღეს მუნდიალის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური იწყება. A ჯგუფი ერთადერთია, სადაც ჯერ არც არავის გაუმარჯვია და არც არავინ დამარცხებულა. შესაბამისად, ოთხივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის თანაბარი შანსი აქვს დარჩენილი და ვნახოთ, ვინ უფრო დიდი პროგრესი განიცადა სასტარტო მატჩების შემდეგ.

სამხრეთაფრიკელებს მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის შეხვედრაში ურიგო შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებიათ და ურუგვაელებთან ბრძოლის წინაც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. თუმცა ბუნებრივია, არც იმას ივიწყებენ, რომ წინ რთული თამაში ელით. *„ძალიან კარგად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი შემდეგი მეტოქეც საკმაოდ ძლიერია, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებსაც კარგად ვიცნობ და აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ გამარჯვება შეგვიძლია. ამას მაქსიმალური კონცენტრაციის შემთხვევაში მოვახერხებთ. ურუგვაის ნაკრების მთავარ ღირსებად მაღალი დონის შემტევი ფეხბურთელების სიმრავლე მიმაჩნია“*, - აცხადებს „ბაფანა ბაფანას“ ლიდერი **სტივენ პიენაარი.**

ოპტიმისტურადაა განწყობილი მასპინძელთა ნაკრების ცენტრფორვარდი **კატლეგო მფელაც:** *„უდავოა, რომ ეს მატჩი უნდა მოვიგოთ. ეს იმ ხალხისთვის უნდა გავაკეთოთ, რომელიც სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უდიდესი იმედებით შესცქერის. რაც შემეხება მე, ალბათ, ვერასოდეს გავხდები ისეთი დონის თავდამსხმელი, როგორიც ბენი მაკარტია, მაგრამ ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვისას ძალ-ღონეს არ დავიშურებ“.*

თუ მასპინძლები დღეს გამარჯვებას ვერ შეძლებენ, ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდებიან. ჯგუფური რაუნდის ბოლო ტურში ხომ მათი მეტოქე არცთუ სახარბიელო დღეში მყოფი, მაგრამ მაინც საფრანგეთი იქნება.

სამხრეთაფრიკელთა ძირითად შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **კარლოს ალბერტო პარეირა** სასტარტო თერთმეტეულში მხოლოდ ერთ ცვლილებას განახორციელებს - დაცვის მარცხენა ფლანგზე **ლუკას თვალას ცეპო მასილელა** შეცვლის. შეგახსენებთ, სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის ბრაზილიელი თავკაცი მექსიკასთან მატჩში თვალას ენდო, მაგრამ ამ არჩევანმა არ გაუმართლა და მოედანზე მასილელა შეუშვა, რომელმაც საიმედოდ ითამაშა. სხვა ცვლილებების მიზეზი კი პარეირას ნამდვილად არ აქვს. მექსიკასთან ხომ მისმა გუნდმა კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშა. „ბაფანა ბაფანას“ ტრავმის გამო არავინ დააკლდება.

საინტერესოა, დარჩება თუ არა 3-4-1-2 სისტემის ერთგული ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოსკარ ტაბარესი.** იგი მიიჩნევს, რომ საფრანგეთთან სასტარტო მატჩში ამგვარმა გადაწყვეტილებამ აბსოლუტურად გაუმართლა და არც ძირითად შემადგენლობაში აპირებს ბევრი ცვლილების განხორციელებას. თუმცა გარკვეულ სიახლეებს მაინც არ გამორიცხავს. *„საფრანგეთის წინააღმდეგ ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა, რისთვისაც თითოეულ ფეხბურთელს მადლობას ვუხდი, თუმცა მეორე ტურში ჩვენ წინაშე სხვა სტილის გუნდი იქნება. ახალი გადაწყვეტილებების დაკონკრეტებას მოვერიდები და მხოლოდ ზოგადად ვიტყვი, რომ ვითამაშებთ პრაგმატულად, არც თავქუდმოგლეჯილები შევუტევთ და მაყურებელს არც უსახური ფეხბურთით შევაწყენთ თავს“.*

მიკროტრავმა აწუხებდა **დიეგო ფორლანს**, რომელმაც საფრანგეთთან შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა. თუმცა ურუგვაის ნაკრების ბანაკიდან გამოსული ბოლო ინფორმაციით, ამჟამად მას არაფერი აწუხებს და დღეს ყოველ მიზეზგარეშე პირველივე წუთიდან ითამაშებს. *„მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი მეტოქე არ არსებობს, განსაკუთრებით კი ეს ჩვენს ჯგუფზე ითქმის, სადაც ოთხივე გუნდი ძლიერია. გარდა იმისა, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შინაური კედლების ფაქტორი დაეხმარება, ამ გუნდის წევრებს საკუთარი თავის იმედიც აქვთ. ასე რომ, წინ დიდი ბრძოლაა, სადაც მე და ბიჭები თავის შერცხვენას არ ვაპირებთ“*, - ამბობს ფორლანი.

სამხრეთაფრიკელებსა და ურუგვაელებს ურთიერთშეხვედრების დიდი ისტორია არა აქვთ. ისინი ერთმანეთის პირისპირ სულ ორჯერ დამდგარან, აქედან ერთი ურუგვაიმ მოიგო, მეორე კი ფრედ დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

16 ივნისი. პრეტორია. ლოფტუს ვერსფელდი. 22:30

**სამხ. აფრიკა-ურუგვაი**

სავარაუდო შემადგენლობები

**სამხ. აფრიკა:** ხუნე - გაქსა, მოკოენა, ხუმალო, მასილელა - მოდისე, ლეტშოლონიანე, დიკგაჩოი, ჩაბალალა - პიენაარი - მფელა.

**ურუგვაი:** მუსლერა - ვიქტორინო, ლუგანო, გოდინი - მ. პერეირა, პერესი, რიოსი, ა. პერეირა - გონსალესი - სუარესი, ფორლანი

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)


ოს ალბერტო პარეირა

**განცხადება**

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ აკადემია 20 ივნისს 11:00 საათზე დილმის საწვრთნელ ბაზაზე აცხადებს 1994-95 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა მიღება-შერჩევას.

ტელეფონი 877 49 55 04; 899 26 30 01


ანტონიო კასანო

გამოხმაურება

# კასანომ ლიპი გააკრიტიკა

„სკუადრა აძურას“ პირველი თამაში იტალიაში არაერთგვაროვნად შეაფასეს. ექსპერტთა ნაწილი კმაყოფილია ლიპის გუნდის თამაშით და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მეტს, უბრალოდ, არც ელოდნენ. იტალია ტრადიციულად მძიმედ იწყებს და ის, რომ გუნდმა ორი ქულა დაკარგა, ბევრმა ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებმაც მკაცრად გააკრიტიკეს თანამემამულეები და განსაკუთრებით **მარჩელო ლიპი**, რომელიც ამ ფორმაციის „აძურას“ მთავარი შემოქმედია.

კვლავაც აქტუალურია ფანტაზისტას თემა და ის, რომ ასეთი ფეხბურთელი იტალიას აშკარად აკლია. პრესაში კიდევ ერთხელ დაიწერა იმის შესახებ, რომ ლიპიმ სულ ტყუილად დატოვა სახლში **ანტონიო კასანო.** ამ უკანასკნელსაც მეტი რა უნდოდა, გუშინ „გაძეტა დელო სპორტს“ გაესაუბრა და ნაკრების მწვრთნელი მკაცრად გააკრიტიკა:

*„ვეთანხმები იმ აზრს, რომ იტალია სწორხაზოვან ფეხბურთს თამაშობს. ეს ყველაფერი მარჩელო ლიპის ბრალია, რომელმაც შემოქმედებითი ყაიდის ფეხბურთელები სახლში დატოვა. მხოლოდ ჩემზე არ მაქვს საუბარი, თუნდაც ჯუზეპე როსი ავიღოთ, რომელიც ბოლო მომენტში დატოვეს განაცხადს მიღმა. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი როგორ უნდა მეთამაშა, რომ მარჩელოს ყურადღება მიმექცია. როგორც ჩანს, მას პიროვნულად არ მოვწონვარ და ამაშია საქმე. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ და არ დავმალავ, რომ პერსონალურად ლიპის ნამდვილად არ ვგულშემატკივრობ. თუმცა, იტალიის ნაკრებს აუცილებლად ვუქომაგებ, როგორც რიგითი ტიფოზი. მესმის, რომ იტალიის წარმატება, ლიპის წარმატებაც არის, მაგრამ მე იმის თქმა მინდოდა, რომ კონკრეტულად მარჩელოს გულშემატკივარი არ ვარ“.*

კასანოს „სკუადრა აძურას“ მომავალ მწვრთნელ **ჩეზარე პრანდელიზეც** ჰკითხეს. აი, რას ამბობს „სამპდორიას“ ფორვარდი: *„ძალიან კარგი სპეციალისტია და მიხარია, რომ ფედერკალჩომ არჩევანი მასზე შეაჩერა. რაც ასევე უმნიშვნელოვანესია, შესანიშნავი ადამიანია და უსამართლოდ არავის დაჩაგრავს. იმედი მაქვს, თუ ნაკრებში თამაშის ღირსი ვიქნები, გამომიძახებს კიდეც. ეროვნულ გუნდში თამაში ძალიან მინდა და ეს პრანდელიმ ძალიან კარგად იცის“.*

იტალიის ნაკრების პირველ თამაშს **მარკო მატერაციც** გამოეხმაურა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია და ისვენებს. აი, რას ამბობს 2006 წლის მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი გმირი:

*„რომ გითხრათ, დღე და ღამე მსოფლიოს ჩემპიონატს ვუყურებ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. მეტიც, მხოლოდ მაშინ ვუყურებ ფეხბურთს, თუ შემთხვევით ტელევიზორთან აღმოვჩნდი. მომქანცველი სეზონის შემდეგ, ფეხბურთისგან დასვენება მინდა, რათა ახალ სეზონს მოზღვავებული ენერგიით შევხვდე. ჩვენი ნაკრების თამაშის ვრცელი მიმოხილვა ვნახე და მთლიანობაში, კმაყოფილი დავრჩი. მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და აშკარად გაუმართლათ პარაგვაელებს, რომ ერთადერთი დარტყმა გოლად აქციეს. „აძურას“ ვგულშემატკივრობ და იმედია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაიცავენ. ლიპიმ კარგად იცის, როგორ მიიყვანოს გუნდი ტრიუმფამდე“.*

**ლაშა წიკლაური**

# დაარტყი, გამოეკიდე და... გახდი ჩემპიონი


ფრანც ბეკენბაუერმა ინგლისის ნაკრები გააკრიტიკა

ატყდა, მაგრამ რა არტყდა ინგლისურ პრესაში: **ფრანც ბეკენბაუერმა** გაბედა და თქვა, ინგლისელები ეგრეთ წოდებულ „დაარტყი და გამოეკიდეს" თამაშობენო. ინგლისური ხასიათის ამბავი მოგეხსენებათ - საკუთარ თავზე ისეთ რამეს იტყვიან, გაოცებისგან შეიძლება პირი დაალო, მაგრამ საკმარისია სხვას წამოსცდეს რაიმე, ერთ მუშტად შეიკვრებიან და იმ, გადაბრუნებული სიტყვის მთქმელის შავ დღეს დააყრიან. კაცს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ფეხბურთელობის დროსაც მოუგია და მწვრთნელობის დროსაც, ინგლისელთა აშშ-ის ნაკრებთან ნათამაშები არ მოსწონებია. კერძოდ, „კაიზერ ფრანცს" ასე უთქვამს, უფრო სწორად კი დაუწერია:

*„ის, რაც ინგლისისა და აშშ-ის ნაკრებთა შეხვედრის დროს ვნახე, ფეხბურთთან კავშირში ძალიან ნაკლებად იყო.. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ინგლისელები იმ ძველ, ცუდ დროს დაუბრუნდნენ, როდესაც „დაარტყი და გამოეკიდეს" თამაშობდნენ. ვფიქრობ, ასეთ მდგომარეობაში ამ გუნდის იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ბევრს ვერაფერს შეცვლის. ყველაფრის მიზეზი კი ის მგონია, რომ პრემიერლიგაში სულ უფრო და უფრო ცოტა ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობს. ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშეთა მთელი მსოფლიოდან მოძალების მოწმენი ვართ".*

სად დაწერა ლეგენდარულმა გერმანელმა სიტყვები, რომლებიც ინგლისელებს ასე მოხვდათ გულს? ის, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში სამხრეთაფრიკულ გაზეთ The Times-ში სვეტებს წერს. ინგლისელი ფეხბურთელები კი ამასობაში 18 ივნისს ალჟირთან სათამაშოდ ემზადებიან და ყურადღების ცენტრში კვლავ მეკარის პრობლემა აქვთ. გაზეთი „სანი" წერს, რომ ამერიკელებთან შეხვედრაში შემცდარ გოლკიპერს **რობერტ გრინს** ლივერპულელი **ჯეიმი კარაგერის** მოსმენა და დაჯერება მართებს, რადგან კარაგერი ის კაცია, ვისაც კარიერის განმავლობაში ბევრი რამ უნახავს და გადაუტანია. კერძოდ, ინგლისის ნაკრების ცენტრალურ მცველს რამდენიმე ჯოჯოხეთური მომენტი აქვს ცხოვრებაში გადალახული და მათ შორის არის ოთხი წლის წინ, გერმანიაში გამართულ მუნდიალზე, მეოთხედფინალში, პორტუგალიის ნაკრებთან აცილებული მატჩის შემდგომი პენალტი. თუმცა, კარაგერის შეცდომები მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ათი წლის წინ, ლივერპულელმა ორჯერ საკუთარი გუნდის კარში შეაგდო. ეს „ენფილდ როუდზე" მოხდა და მეტიც, რომელიმე უბრალო გუნდთან კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში. კარაგერი ამბობს:

*„ოცდაერთი წლისამ „იუნაიტედთან" შეხვედრაში ჩემი გუნდის კარში ორი გოლი შევაგდე. მახსოვს, ძალიან განვიცადე, რადგან გამოუცდელი ახალგაზრდისთვის ასეთი რამის გადატანა საკმაოდ ძნელია. რაღა დაგიმალოთ და იმ საღამოს გამოვთვერი კიდეც. კიდევ, მსოფლიოს ჩემპიონატზე პენალტი ვერ გავიტანე. რას ვიზამ, მოხდა ასეთი რამ და ვერაფრით გამოვასწორებ. ტკივილმა რომ გაგიაროს, წლები უნდა გავიდეს. ერთი სიტყვით, ყველანი ვცდებით და რობმა ამერიკელებთან დაშვებული შეცდომის გამო გული არ უნდა გაიტეხოს. ეს იგივეა, მოკრივე ნოკდაუნში რომ ჩავარდება, მაგრამ ვალდებულია, წამოდგეს და ბრძოლა განაგრძოს. ახლა, რობერტ გრინი შემდეგ შანსს უნდა დაელოდოს და როდესაც ჩაუვარდება, აუცილებლად უნდა გამოიყენოს. იცით, როცა ვცდები, სულაც არ მინდა ჩემთან დაუსრულებლად მოვიდეს ხალხი და დამამშვიდოს. არ მინდა ერთსა და იმავეს ვუსმინო: ახლა არ უნდა გატყდე... თავი ასწიე... და ასე შემდეგ. ამ ადამიანებს შესაძლოა ჩემთვის გულით უნდათ სიკეთე, მაგრამ, უნებლიეთ ცუდი ეპიზოდის დავიწყებაში კი არ მიწყობენ ხელს, არამედ სულ იმ მომენტს მაგონებენ. ასეთ დროს ყველაფერს აჯობებს კაცი მარტო დატოვო და მისცე საშუალება თვითონ გაართვას პრობლემას თავი. მერწმუნეთ, პრობლემასთან ბრძოლის მეთოდები ყველას თავისებური აქვს. რასაკვირველია, გრინი იმ მომენტში თავს საძაგლად იგრძნობდა, მაგრამ გავა დრო და ეს ამბავი ისევე გაახსენდება, როგორც ახლა აგონდება რაღაც, 16 წლისამ რომ ჩაიდინა და განიცადა. ხალხი უყურებს პრემიერლიგის ფეხბურთელებს და მხოლოდ ფულსა და ცხოვრების მდიდრულ წესს ამჩნევს, ის კი არავინ იცის, რომ ეს ადამიანები ამ სიმდიდრემდე დიდი წინააღმდეგობების დაძლევით მივიდნენ. ჩემს თავზე გეტყვით. თავიდან, როდესაც ლილეშელის საწვრთნელ ბაზაზე მივედი, 14-15 წლისა გახლდით. მაშინ ჩემთან ერთად შეყრილ სხვა ბავშვებს არაფრით ვჯობდი. ყველანი ერთ დონეზე ვთამაშობდით. და რა მოხდა შემდეგ? დღეს იმ ბიჭებიდან ზოგი ნონ-ლიგაში თამაშობს, მე კი ჩემმა მენტალიტეტმა მიშველა და იქ ვარ, სადაც მხედავთ".*

შეგახსენებთ, რომ ამერიკელებთან შეხვედრის მეორე ნახევარში კარაგერს სწორედ გრინმა უშველა, როდესაც „ჰალ სიტისა" და აშშ-ის ნაკრების ფორვარდმა **ჯოზი ალტიდორმა** მას სისწრაფეში აჯობა და მახვილი კუთხით შეიჭრა ინგლისელების კართან, მაგრამ მისი დარტყმული გოლკიპერმა მოიგერია.

კარაგერი ამბობს: *„ელტიდორმა ბურთი ჩინებულად მიიღო და მოტრიალდა, მე კი უკვე გაფრთხილებული გახლდით და მეშინოდა პენალტი არ „ამეკიდა". პენალტს თუ დანიშნავდნენ, გამაძევებდნენ კიდეც. ერთი სიტყვით, არის ეპიზოდები, როდესაც ჯობს თავდამსხმელი გაატარო. ბოლოს და ბოლოს, რისთვის დგას შენ უკან მეკარე? იმ ეპიზოდში გრინმა ჩინებულად ითამაშა, ელტიდორის დარტყმული მოიგერია და ყველას გვაჩვენა, რომ საქმე ძლიერი ნერვებისა და მტკიცე ხასიათის ადამიანთან გვაქვს".*

შეგახსენებთ, რომ ჯეიმი კარაგერს სანაკრებო ფეხბურთისთვის თავი სამი წლის დანებებული ჰქონდა, მაგრამ კაპელოს თხოვნით დაბრუნდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა. ახლა, როდესაც მუნდიალის პირველ შეხვედრაში უკვე მიიღო მონაწილეობა, ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთს ვერ შეედრება. თუმცა, ლივერპულელის თქმით, არის დიდი განსხვავებაც: როდესაც ინგლისის ნაკრების მაისურა გაცვია, შენს ყოველ ნაბიჯს მთელი ერი ადევნებს თვალს და აკონტროლებს.

*„ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შედარებაზე აქ, ბიჭები ხშირად ვლაპარაკობთ და ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში ჟოზე მოურინიომაც იგივე დაადასტურა. ჩემპიონთა ლიგა ყველაზე მაღალი დონის შეჯიბრება იმიტომ არის, რომ მასში მონაწილე გუნდებს ფული აქვთ და შეუძლიათ ნებისმიერი ქვეყნისა და ამპლუის ფეხბურთელით გაძლიერდნენ".*

რაკილა **ჟოზე მოურინიო** ვახსენეთ... მადრიდის „რეალის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერისგან განსხვავებით განაცხადა, რომ ინგლისელებს მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ:

*„გუნდი, რომელსაც დაცვაში ჯონ ტერი ჰყავს, ნახევარდაცვაში - არაამქვეყნიური ძალის ფეხბურთელი ფრენკ ლემპარდი, ხოლო თავდასხმაში უეინ რუნი, რასაკვირველია, მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატია", - თქვა „განსაკუთრებულმა".*

## როდის შეცდნენ ინგლისელები?


პიტერ კრაუჩი

**პიტერ კრაუჩმა** განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრები ერთსა და იმავე შეცდომას ორჯერ არ დაუშვებს - ტოტენჰემელი, რუსტენბურგში გამართულ პირველ შეხვედრაში, აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ, **ფაბიო კაპელომ** თამაშის ბოლოს, ცოტა ხნით შეუშვა მოედანზე. რას გულისხმობს ცენტრალური თავდამსხმელი? მან კერძოდ ასე თქვა:

*„რასაკვირველია, ამერიკელები რომ ვერ დავამარცხეთ, ძალიან განვიცადეთ. ძალიან განვიცადეთ ისიც, თუ რამ დაგვაკარგვინა ორი ქულა. კერძოდ, იმას ვგულისხმობ, რომ თამაშის დასაწყისში გატანილმა გოლმა შეგვაცდინა. ვიფიქრეთ, რომ თამაში ზუსტად ისევე გაგრძელდებოდა, როგორც დაიწყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საერთოდაც, ვფიქრობ, ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ბევრმა თამაშმა არ გაამართლა. რას იზამ, ხდება ხოლმე. საბედნიეროდ, ჩვენ არ დავმარცხებულვართ, ფრედ ვითამაშეთ. ვიცი, ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ პირველი ტურის ნაფორხილება ჩვენ არ შეგვაშინებს და მომავალ შეხვედრებში ჯიქურ გავიწევთ სიმაღლეების დასაპყრობად. ყველაზე კარგად, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, მწვრთნელმა იცის. ამერიკელებთან თამაშის შემდეგ მან დაგვსვა და გვითხრა, რითი დარჩა კმაყოფილი. მან ჩვენს დადებით მხარეებს გაუსვა ხაზი და აგვიხსნა, რომ ამ თვისებების მქონე გუნდი შეუძლებელია შემდეგ თამაშებში ძლიერად არ გამოვიდეს. მის რჩევებს ჩვენ, ფეხბურთელები, შემდეგ შეხვედრაში რასაკვირველია გავითვალისწინებთ. ინგლისის ნაკრების ბანაკში ყველანი ვგრძნობთ, რომ გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ჰაჯინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

H ჯგუფი

ესპანეთი-შვეიცარია

# ოტმარი სიურპრიზს გვპირდება

**ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი სამუნდიალო თავგადასავალს დღეს იწყებს შვეიცარიასთან დაპირისპირებით. ერთი შეხედვით, ოტმარ ჰიტცფელდის გუნდს ამ მატჩში განსაკუთრებული შანსები არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ შვეიცარიელთა მრავლისმნახველი დამრიგებელი ასე არ ფიქრობს და სჯერა, რომ მისი გუნდი არც ესპანეთთან შეხვედრაში შეირცხვენს თავს და მუნდიალზეც ღირსეულად გამოვა. ჰიტცფელდს უეფას ოფიციალური ვებგვერდი ესაუბრა.**

**- მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე ლუქსემბურგთან დამარცხდით, მაგრამ მაინც მოახერხეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეთ. როგორ შეაფასებთ თქვენსა და თქვენი გუნდის მიერ საკვალიფიკაციო ციკლში გაწეულ სამუშაოს.**

- დასაწყისი მართლაც საშინელი იყო - ისრაელთან ფრე და ლუქსემბურგთან მარცხი. ამის შემდეგ ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მქონდა, სადაც შევთანხმდით, რომ დარჩენილ მატჩებში 100 პროცენტით უნდა დავხარჯულიყავით - 80 და 90 პროცენტი საკმარისი შეიძლებოდა ყოფილიყო ინგლისისთვის, გერმანიისთვის, იტალიის ან ესპანეთისთვის, მაგრამ არამც და არამც ჩვენთვის. მუხლჩაუხრელად ვშრომობდით და შრომის ნაყოფიც მოვიმკეთ - ჯგუფში პირველობა არავის დავუთმეთ და ახლა მსოფლიოს ჩემპიონატში ვერთვებით.

**- როგორც ჩანს, თქვენთვის გუნდის განწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

- დიახ, კარგი ფსიქოლოგიური მომზადება ნებისმიერ გუნდს სჭირდება. ნებისმიერი მეტოქე უნდა დააფასო, თორემ სასტიკად დაისჯები. ზუსტად ასე დაგვემართა შესარჩევი ტურნირის საწყის შეხვედრებში, როცა ჩემმა ფეხბურთელებმა იფიქრეს, რომ სუსტ მეტოქეს ნახევარი ძალითაც დაამარცხებდნენ. კიდევ კარგი, ეს უსიამოვნება სულ თავიდან შეგვემთხვა და მდგომარეობის გამოსწორების დრო გვქონდა.

**- გუნდის წარმატებაში ყველაზე დიდ როლს რა თამაშობს?**

- ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გუნდის ერთსულოვნებაა. სანაკრებო განაცხადში შეყვანილმა 23-ივე ფეხბურთელმა უნდა იგრძნოს, რომ გუნდისთვის საჭირო ფიგურაა. იგივე უნდა გაითავისოს სანაკრებო შტაბის თითოეულმა წევრმა - მწვრთნელი იქნება იგი, ექიმი თუ ადმინისტრატორი. რაღა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტაქტიკა-სტრატეგიის სწორედ შერჩევას, მაგრამ ერთობის გარეშე არაფერი გამოვა.

**- ესპანეთის ნაკრებს რას დაუპირისპირებთ?**

- ამას თამაშის დროს შეიტყობთ, ახლა კი მხოლოდ ზოგადად შემიძლია იმის თქმა, რომ პატარა შვეიცარიას ნამდვილად შესწევს ევროპის ჩემპიონის შეჩერების ძალა. ამით მეტოქეს კი არ ვაკნინებ, ჩემი გუნდის შესაძლებლობებს ვუსვამ ხაზს. ესპანეთის ნაკრებს კი უდიდეს პატივს ვცემ. ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონობის მოგების შემდეგაც კი მოახერხა პროგრესის განცდა. ესპანელებმა ხომ შესარჩევი ციკლი უდანაკარგოდ გაიარეს.

**- სამწვრთნელო საქმეში უდიდესი გამოცდილება გაქვთ, მაგრამ თქვენთვის ეს პირველი მუნდიალია. რა გრძნობა გეუფლებათ?**

- შესანიშნავ განწყობაზე ვარ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე ყოველთვის ვოცნებობდი და როგორც იქნა, ამიხდა კიდეც. მსოფლიოს ჩემპიონატზე შვეიცარიის ნაკრებთან ერთად მონაწილეობა ჩემთვის უდიდესი პატივია. ისიც მიხარია, რომ აფრიკის კონტინენტზე მუნდიალი პირველად ტარდება. ამ საფეხბურთო დღესასწაულს მოუთმენლად ველი.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ოტმარ ჰიტცფელდი

# ფაბრეგასმა შვეიცარიას მერვედფინალი უსურვა



სესკ ფაბრეგასი და პედრო

31 მარტს **სესკ ფაბრეგასმა** ფეხი მოიტეხა, რის გამოც სეზონის დარჩენილი ნაწილი გაუცდა, თუმცა ლონდონის „არსენალისა" და ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა მუნდიალისთვის ბოლომდე მომჯობინება მაინც მოასწრო. სესკი მუნდიალის სასტარტო მატჩს დიდი იმედებით ელის და პირველ შეხვედრაში გამარჯვების მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს:

*„პირველი მატჩის მოგებას ორმაგი სარგებლობა მოაქვს - სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია და საკუთარი ძალების რწმენასაც გიორმაგებს. შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ჩვენი საუკეთესო თვისებები არ გამოვავლინოთ, მაგრამ გამარჯვება მაინც აუცილებელია".*

სამუნდიალო დღეების მიუხედავად, ფაბრეგასი მაინც ვერ გაექცა საკლუბო თემაზე საუბარს, თუმცა კი „ბარსელონაში" სავარაუდო ტრანსფერზე მაქსიმალურად ლაკონური და არაფრისმთქმელი კომენტარი გააკეთა: *„სიმართლე რომ ვთქვა, ამ თემაზე ახლა ნაკლებად ვფიქრობ. ნაკრებზე მთლიანად გადართული ვარ და საკლუბო საქმეებს მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მივხედავ".*

სესკი დიდი ინტერესით ელის შვეიცარიელი **ფილიპ სენდეროსის** თამაშს. შეგახსენებთ, მათ „არსენალის" შემადგენლობაში გვერდიგვერდ წლების განმავლობაში უთამაშიათ:

*„ფილიპის ხათრით ვისურვებდი, რომ ესპანეთთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში შვეიცარიის ნაკრებიც გავიდეს. სენდეროსი ძალიან მიყვარს. როცა „არსენალში" მივედი, უფროსი ძმასავით ამომიდგა მხარში და კლუბთან ადაპტაცია გამიადვილა. მის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა".*

ევროპის ჩემპიონთა შუახაზელს დღევანდელ მეტოქეზე საკმაო ინფორმაცია ჰქონია: *„მწვრთნელებმა შვეიცარიის ნაკრების რამდენიმე მატჩიდან ნაწყვეტები გვაჩვენეს და ამ გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები აგვიხსნეს. ასე რომ, მეც და ჩემმა თანაგუნდელებმა შვეიცარიელთა ავკარგი ზედმიწევნით ვიცით.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

არგენტინა


ხუან სებასტიან ვერონს ტრავმა აწუხებს

# კორეასთან ვერონის გარეშე?

## მარადონა გუტიერესს სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდებსო

არგენტინის ნაკრების გულშემატკივრებისთვის არც ისე სასიამოვნო ინფორმაცია გვაქვს: დიდი შანსია, რომ ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში, „ალბისელესტეს" გამთამაშებელი და ლიდერი **ხუან სებასტიან ვერონი** გამოაკლდეს. 35 წლის ნახევარმცველს ტრავმა აქვს და როგორც გუნდის ექიმები ამბობენ, შანსი იმისა, რომ ხვალ, სამხრეთ კორეასთან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს, ძალიან მცირეა.

ვერონმა მარჯვენა ფეხის ტრავმა ნიგერიასთან (1:0) მატჩში მიიღო, რის გამოც **დიეგო მარადონამ** 74-ე წუთზე **მაქსი როდრიგესით** შეცვალა. ვერონი არგენტინელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ტრადიციულად, თითქმის ყველა შეტევას ხელმძღვანელობდა და ამავდროულად, საყრდენ ნახევარმცველ **ხავიერ მასკერანოს** ნიგერიელთა იერიშების ჩაშლაშიც აქტიურად ეხმარებოდა. ასე რომ, თუ ვერონის გარეშე „ალბისელესტეს" თამაში გაუჭირდება. მარადონა ამბობს, მცირე რისკზეც კი არ წავალ და თუ ექიმები არ მეტყვიან, რომ ხუანი სრულიად ჯანმრთელია, სამხრეთ კორეასთან მას არ ვათამაშებო. დიეგოს თქმით, ვერონი გუნდისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ რისკზე წასვლა დაუშვებელია. თუ ვერონი ვერ ითამაშებს, მარადონა მას ალბათ **მაქსი როდრიგესით** შეცვლის.

ჩვენი არგენტინელი კოლეგები წერენ, რომ დიდი შანსია, მარადონამ სამხრეთ კორეასთან მარჯვენა მცველი **ხონას გუტიერესი** აღარ ათამაშოს. ასეთი ვარაუდი იმის გამო გამოითქვა, რომ „ნიუკასლის" ფეხბურთელმა ნიგერიასთან ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. არგენტინული პრესა წერს, რომ მარადონა გუტიერესს სავარაუდოდ **ბურდისოთი** შეცვლის.

**გოტფრიდ ლენცი**

ასეც ხდება...

# 30 ჯოხი... მსოფლიოს ჩემპიონატის ყურებისთვის

მთელი მსოფლიოს ყურადღება სამხრეთ აფრიკის სტადიონებისკენაა მიმართული, სადაც რიგით მე-19 მუნდიალი გახურდა. მთელი მსოფლიოსი... გარდა სომალისა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ყურება საერთოდ აკრძალეს, რადგან ის სომალელი ხალხის რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელად ჩათვალეს. დაჯგუფებები „ალ-შაბააბი" და „ჰიცბულ ისლამი", რომელთაც კავშირები აქვთ „ალ ქაიდასთან", სომალის ტერიტორიის სამხრეთსა და დედაქალაქ მოგადიშოს ნაწილს აკონტროლებენ. სწორედ ამ ტერიტორიაზე მსოფლიოს ჩემპიონატის ყურება აკრძალულია, როგორც საზოგადოებრივ ადგილებში ასევე - შინ.

*„ჩვენს ახალგაზრდობას მოვუწოდებთ არ უყურონ მსოფლიოს ჩემპიონატს. ეს არის დროისა და ფულის ტყუილი ფლანგვა, რომელიც არავითარ სარგებელს მათ არ მოუტანს. მსოფლიოს ჩემპიონატზე სულელი ადამიანების ხტუნვის მეტი არაფერია საცქერი"*, - განაცხადა „ჰიცბულ ისლამის" წარმომადგენელმა **მოჰამედ აბდი აროსმა.**

ის ვინც დაარღვევს წესს, საჯაროდ გაიწკეპლება 30 დარტყმით. სახუმარო რომ არაფერია გეტყვით რომ შაბათს ნიგერია-არგენტინის მატჩის უჩუმრად ყურებისთვის „ჰიცბულ ისლამის" თავდასხმისგან 2 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე კი დააკავეს. ფეხბურთის თავგადაკლული ფანები საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებენ და ჩუმად გადადიან სომალის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც ფეხბურთი არავის აუკრძალავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია



ბასტიან შვაინშტაიგერი და იოახიმ ლიოვი

# შვაინშტაიგერმა ვერ ივარჯიშა

## ლიოვი: სერბეთთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ!

გუშინ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ყველა ფეხბურთელი ვერ ავარჯიშა, რაც პირველი შემთხვევაა მას მერე, რაც ბუნდესგუნდი სამხრეთ აფრიკაში იმყოფება. მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩამდე (სერბეთთან) სამი დღით ადრე, ბუნდესგუნდს ვარჯიშზე ვიცე-კაპიტანი და ლიდერი **ბასტიან შვაინშტაიგერი** დააკლდა. ამის მიზეზი ინფექციაა, რომელიც „ბაიერნის" ფეხბურთელს შეეყარა, მაგრამ როგორც ბუნდესგუნდის ექიმებმა თქვეს, საშიში არაფერია. ბასტიანი გუნდთან ერთად იმყოფებოდა და ექიმების თქმით, სავარჯიშოდ მხოლოდ იმიტომ არ გავიდა, რომ ინფექციას რაიმე გართულება არ მოჰყოლოდა, რადგან საკმაოდ ციოდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, დანარჩენმა ფეხბურთელებმა სრულფასოვნად ივარჯიშეს.

ზოგადად, ავსტრალიის ნაკრების განადგურების შემდეგ (4:0), გერმანულ ბანაკში კმაყოფილება იგრძნობა. ბუნდესგუნდის ბანაკს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი** ესტუმრა, პირველი გამარჯვება მიულოცა და როგორც ფეხბურთელები, ისე მწვრთნელი, მაგრად შეაქო.

თვითონ ლიოვი კი უკვე მხოლოდ მომდევნო მატჩზეა კონცენტრირებული - შეხვედრაზე, რომელშიც გერმანია პარასკევს სერბეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. როგორც იცით, სერბებმა პირველ ტურში განასთან 0:1 წააგეს. *„პირველი ტურის შედეგმა არ უნდა მოგვატყუოს, სერბებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლიათ. ეს გუნდი განსაკუთრებით სახიფათო მაშინ არის, როცა აუცილებლად მოგება უნდა. ახლა კი სწორედ ასეთი შემთხვევაა. სერბებს ჩვენთან მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარასკევს ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ"*, - თქვა ლიოვმა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ.

ამავდროულად, საფეხბურთო გერმანია უკვე შეურიგდა **მიროსლავ კლოზეს** და **ლუკას პოდოლსკის**. როგორც იცით, ამ თავდამსხმელებს საშინლად ჩატარებული სეზონის გამო გერმანიაში ძალიან აკრიტიკებდნენ. ექსპერტების გარკვეული ნაწილი იმასაც ხმამაღლა ამბობდა, რომ მირო და პოლდი სამხრეთ აფრიკაში წასვლას არ იმსახურებდნენ. მას მერე, რაც ავსტრალიასთან ორივე მათგანმა გოლი გაიტანა, მიმომხილველები კლოზეს და პოდოლსკის მხოლოდ აქებენ. ლიოვი კი ამბობს: *„პირადად მე, ლუკასისა და მიროს შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია და ისინი არასდროს გამიკრიტიკებია. ეს ფეხბურთელები ჩემს საფეხბურთო ფილოსოფიას იდეალურად ერგებიან"*.

პრეზიდენტი ცვანციგერი ამბობს, ავსტრალიასთან გერმანიის იდეალური ნაკრები ვიხილე, ბუნდესგუნდი სწორედ ასე უნდა თამაშობდესო. ამავდროულად, ცვანციგერმა ლიოვი და მისი შტაბიც შეაქო და აღნიშნა: *„ეს არის შტაბი, რომელმაც გერმანიის ნაკრებს უდიდესი პროგრესი განაცდევინა. ჩვენ ვიცით, რომ იოახიმ ლიოვი ბუნდესგუნდისთვის იდეალური მწვრთნელია."*

ცხადია, ასეთი განცხადების შემდეგ, გერმანელმა ჟურნალისტებმა ცვანციგერს ჰკითხეს, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მუნდიალის შემდეგ ლიოვს ახალ კონტრაქტს გაუფორმებთო. პრეზიდენტმა თქვა, იმედი მაქვს, რომ შეთანხმებას მივაღწევთო. შეგახსენებთ, რომ ლიოვს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ახალი კონტრაქტი წესით მუნდიალამდე უნდა გაეფორმებინა, მაგრამ იოგიმ ცვანციგერის აზრით, კატასტროფულად დიდი ხელფასი და ზედმეტად დიდი ძალაუფლება მოითხოვა, რის გამოც შეთანხმება არ შედგა. ამის შემდეგ ალარავის სჯეროდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ლიოვი პოსტზე დარჩებოდა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა და დიდი შანსია, რომ ბუნდესგუნდი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისთვისაც ლიოვმა მოამზადოს. ოღონდ, ამისათვის აუცილებელია, რომ ლიოვი შედარებით ნაკლებ ხელფასს დათანხმდეს და გერმანული ფეხბურთის სანაკრებო სისტემაში არც სრული კარტბლანში მოითხოვოს.

ცვანციგერის ქებას ბუნდესმწვრთნელმა ასე უპასუხა: *„ახლა თავში მხოლოდ სერბეთთან მატჩი მიტრიალებს და სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი არ დამთავრდება, სხვა საკითხებზე არ და ვერ ვიფიქრებ!"*.

ავსტრალია



ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პიმ ვერბეეკი

# ვერბეეკს გადაუარეს

გერმანიასთან 0:4-ზე განადგურების შემდეგ ავსტრალიურმა პრესამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პიმ ვერბეეკი** მიწასთან გაასწორა. ავსტრალიელი ექსპერტები და ჟურნალისტები წერენ, რომ მათთვის გერმანიის ნაკრების დარ გრანდთან მარცხი კატასტროფა არ არის, უბრალოდ, გუნდმა იმდენად ამაზრზენად ითამაშა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ.

*„გერმანია ძალიან ძლიერი გუნდია და ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეტევა და მეტოქისთვის საქმის გართულება აკრძალული გვაქვს. ჩვენმა გუნდმა ისე ითამაშა, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე კი არა, ციხეში თამაშობდა, მკვლელების ნაკრების წინააღმდეგ"*, - წერდა ავსტრალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ჩარლი იანკოსი** თავის საგაზეთო სვეტში.

„კენგურუების" მეორე ექსმოთამაშე **ლადისლავ შაინფლუგი**: *„ამ მარცხმა გული ძალიან დამწყვიტა. ყველაფერი ვერბეეკის ბრალია, რომელმაც საშინელი შემადგენლობა დააყენა. ჩვენი გუნდი არ და ვერ უტევდა, არ გვქონდა ტაქტიკა, გერმანიასთან ჩვენ არაფერი არ გვქონია!"*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

ბაიერნი

# შვაინშტაიგერი მიუნხენში რჩება!

## ...და ნერლინგერის თქმით, არც ლამი იყიდება

**ბასტიან შვაინშტაიგერმა** მიუნხენის ბაიერნში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და გასაკვირი სულაც არ არის ის, რაც ახლა მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა, ანუ, კლუბების კულისებში ხდება: ევროპის გრანდებმა მიუნხენური გრანდისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს თვალი დაადგეს და როგორც „კიკერი" წერს, მიუნხენური კლუბის შეფებს რამდენიმე ფაქსი მიუვიდათ, სადაც მხოლოდ ერთი კითხვაა დასმული: „რა ღირს შვაინშტაიგერი?"

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, შვაინის გადაბირება ყველაზე მეტად ლონდონის „ჩელსის" უნდა. თანაც, **მიხაელ ბალაკის** გაშვების შემდეგ „არისტოკრატებს" შვაინშტაიგერის დონის ცენტრალური ნახევარმცველი ნამდვილად არ აწყენდათ. უფასოდ გაშვებული გერმანელის გერმანელითვე ჩანაცვლება „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის, **კარლო ანჩელოტის** სურვილი ყოფილა. როგორც ცნობილია, მას ბალაკის გაშვებაც არ სურდა.

თავზესაყრელად აღარ, მაგრამ ფული „ჩელსის" ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი აქვს. ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, თუ რას ფიქრობს თვითონ შვაინშტაიგერი. სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე მან თქვა, ჯერ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული, მუნდიალის დასრულების შემდეგ კი ყველაფერზე დავფიქრდები, გამორიცხული არაფერიაო. ცხადია, პირველ რიგში ყველაფერი „ბაიერნის" ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ბასტიანს კი, ერთის მხრივ, მიუნხენში დარჩენა და **ლუის ვან გაალის** ხელში პროგრესის გაგრძელება უნდა, მეორე მხრივ კი უცხოეთში თამაშის პერსპექტივაც იზიდავს. 25 წლის შვაინი არასდროს მალავდა, რომ ბავშვობიდან რომელიმე არაგერმანულ გრანდში თამაშზე ოცნებობს.

*„ბაიერნის" მენეჯერ კრისტიან ნერლინგერს რომ ჰკითხოთ, შვაინშტაიგერმა საერთოდ არაფერზე უნდა იფიქროს. ევროპული ელიტისთვის არანაკლებ საინტერესოა გერმანიის ნაკრების ახალი კაპიტანი ფილიპ ლამიც, მაგრამ ნერლინგერი მის ტრანსფერსაც ვეტოს ადებს. „ლამი და შვაინშტაიგერი არ იყიდებიან. ჯერ არ გავგიჟებულვართ, რომ გუნდის ორი უმთავრესი ფიგურა გავყიდოთ,"* - აცხადებს ნერლინგერი.

**გოტფრიდ ლენცი**

სატრანსფერო

# ბალაკი და შალკე არ გამოვა!



სად გააგრძელებს კარიერას მიხაელ ბალაკი?

„ბილდის" ინფორმაციით, „შალკეს" ხელმძღვანელებმა, მწვრთნელმა და გულშემატკივრებმა **მიხაელ ბალაკზე** ოცნებას თავი უნდა დაანებონ. ხსენებული გაზეთი დარწმუნებით წერს, გერმანიის ნაკრების ტრავმირებული კაპიტანი გელზენკირხენში არ წავაო. მიზეზი: ბალაკს გაცილებით უკეთესი წინადადებები აქვს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ მიხაელი „შალკეში" გადასვლაზე ერთი წამითაც არ ფიქრობს. მართალია, ბალაკმა თქვა, გერმანიაში რამდენიმე ვარიანტი მაქვსო და ლოგიკურად, „შალკეს" ვარიანტი მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი უნდა იყოს, მაგრამ „ჩელსის" აწ უკვე ყოფილ ნახევარმცველს სხვა გეგმები აქვს. „ბილდი" წერს, რომ ბალაკზე ოცნება „შალკეს" მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმაც** დაასრულა.

ამასობაში, ინგლისურმა გაზეთმა „სანდი მირორმა" დაწერა, რომ ბალაკს „მანჩესტერ იუნაიტედში" უხმობენ, ოღონდ მხოლოდ ერთი წლით. შეგახსენებთ, რომ მიხაელმა „ჩელსისთან" კონტრაქტი სწორედ იმ მიზეზით არ გააგრძელა, რომ „არისტოკრატებიც" მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ, ბალაკს კი მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურდა. ამას გარდა, მიხაელის გადაბირებაზე მადრიდის „რეალის", „ლივერპულის", „ლევერკუზენის", „ჰამბურგისა" და „ვოლფსბურგის" შეფებიც ფიქრობენ.

ბალაკს კი ყველაზე დიდი მონდომებით ყოფილ კლუბში, ლევერკუზენში ეპატიჟებიან, სადაც მიხაელმა კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. „ფარმაცევტებში" ბალაკს საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა, რომელიც ამბობს: *„ბალაკი „ლევერკუზენში" უნდა დაბრუნდეს. „ბაიერის" გულშემატკივრებს ის იმდენად უყვართ, მიხაელი მაშინვე იგრძნობს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. დარწმუნებული ვარ, „ლევერკუზენში" კიდევ მიაღწევს წარმატებებს."*

**გოტფრიდ ლენცი**




**ალექს ფერგიუსონმა** 25 მილიონი ფუნტი (30 მილიონი ევრო) გაამზადა და ამ თანხის გადახდას იტალიელ მცველ **ჯორჯო კიელინიში** აპირებს. კიელინი, მოგეხსენებათ, „იუვენტუსში" თამაშობს, ის 25 წლისაა. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცის გეგმის თანახმად, იტალიელმა მისი გუნდის დაცვაში **ნემანია ვიდიჩის** ადგილი უნდა დაიკავოს. როგორც ჩანს, ვიდიჩის „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლა გარდაუვალია.

# ჯორჯო შეიძლება გამდიდრდეს

როგორც ინგლისური პრესა წერს, მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ში მაღალი კლასის მცველის სახელი აქვს დაგდებული, კიელინი წელიწადში (!) მხოლოდ და მხოლოდ 1,7 მილიონ ფუნტს იღებს, რაც დღევანდელი კურსით 2.5 მილიონი ამერიკული დოლარი ან 2,04 მილიონი ევროა. რამდენადაც საქმეს ეტყობა, „ბებერი ქალბატონი" მანჩესტერელთა შემოთავაზებაზე უარს არ იტყვის, რადგან საშინელი სეზონის შემდეგ („იუვენტუსი" შეუფერებელ, მეშვიდე ადგილზე გავიდა) ტურინში სრული რეორგანიზაციაა დაგეგმილი.

რაც შეეხება ვიდიჩს, მისი შეძენა მანჩესტერისავე მეორე გუნდს, „სიტის" აქვს გადაწყვეტილი და მზად არის, სერბში 20 მილიონი ფუნტი (24 მილიონი ევრო) გადაიხადოს. თუ გარიგება შედგება, ისტლენდზე ვიდიჩის ხელფასი იქნება კვირაში 115 ათასი ფუნტი რაც 169,5 ათასი ამერიკული დოლარი ან 138,4 ათასი ევროა. ვიდიჩს ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია და სავარაუდოდ, ამას, არც გააკეთებს სანამ სერბთა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობს. ამ სიტყვების შემდეგ, თქვენ განსაჯეთ, ეჩქარებათ თუ არა სერბეთის მუნდიალიდან გამოვარდნა მანჩესტერის გუნდებს.

*„სანამ თავად ნემანია არ გვეტყვის რას აპირებს, ჩვენ, მისი აგენტები, ვერაფერს გავხდებით* - თქვა **პაოლო ფაბრიმ** - *შესაძლო ტრანსფერი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თუ განხორციელდება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

პერსპექტივა



მარჯვნივ გია გრიგალავა

# ჩვენ ვეძებთ ტალანტებს

## ფედერაცია და სახელმწიფო ქართველებს ერთად დაგვიბრუნებენ

2003 წელს პირველად სერიოზულად დადგა საქართველოს ნაკრებში უცხოელის მოწვევის საკითხი. მაშინ **არჩილ არველაძემ** „კიოლნში" თაანაგუნდელი მეკარე **ალექსანდერ ბადე** შეიგულა და ფაქტობრივად, მისი ჩამოყვანა გადაწყვეტილი გახლდათ. შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ამის მიუხედავად, სულ ისმის უცხოელთა ნატურალიზაციაზე ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით, მაშინ „მრეტების" პრეზიდენტმა **ვაჟა ჩხაიძემ** პრივატულ საუბარში ბრძანა, რაღა უცხოელებს ვეძებთ, თურქეთში რამდენი ქართველი ცხოვრობს, ესაა ჩვენი რეზერვიო.

თითქოს ამის პასუხად, ამ ლაპარაკიდან საკმაოდ მალე, თბილისში ჩამოსული თურქეთის მოქალაქე **მუსტაფა ალი ჯაფაროლი** გავიცანი, რომელიც წარმოშობით ქართველი გახლდათ, გვარად გეგიძე - მან გასაოცარი და უცხო ამბები გვითხრა თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. მისი ვაჟი მეორე ბუნდესლიგაში ნათამაშები მეკარე გახლდათ, 2003 წელს კი „სამსუნსფორში" ირიცხებოდა.

*„თურქეთში ქართული წარმოშობის 2 მილიონამდე ადამიანია. ბუნებრივია, ჩვენ შორის ბევრი ფეხბურთელიცაა. ჩემი შვილივით, საქართველოს ნაკრებში გამოსვლით დაინტერესებული კიდევ ბევრია. ისე, რომ იცოდეთ, ლაზური წარმოშობის ძალიან ბევრი ცნობილი მოთამაშეა, მაგალითად, კარადენიზი, თექე, ყველას ვერც ვიხსენებ. რა თქმა უნდა, თურქეთის ნაკრების ფეხბურთელები არ წამოვლენ, მაგრამ ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა, რომელთა გასინჯვაც არ გვაწყენდა",* - კარგად მახსოვს მუსტაფა ალი ჯაფაროლის ეს სიტყვები.

სამწუხაროდ, მასთან დაკავშირება ველარ მოვახერხეთ, რადგან თურქეთში სატელეფონო ინდექსები შეიცვალა და ბუნებრივია, მობილურის ნომერიც შეეცვალა.

ირანის საკმაოდ პოპულარულ კლუბ „სეპაჰანში" წარმოშობით ჩვენებური ნახევარმცველი გოგიჩაიშვილი თამაშობდა - როგორც მისი ქართველი თანაგუნდელები ამტკიცებდნენ, ძალიან კარგი ფეხბურთელი.

ასეთი კიდევ უამრავი მოთამაშეა უცხოეთში მიმოფანტული: მაგალითად, ცნობილი ქართველი მომღერლის ვაჟი, ნახევარმცველი ზურაბ ცისკარიძე ამერიკაში „მაიამიში-ში" თამაშობდა, წელს კი კანადაში გადაბარგდა. გიორგი ჩირგაძე ამერიკაში პოპულარულ „რედ ბულსში" თამაშობს, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ამერიკის მოქალაქეა. ლუგანსკის „ზარიაში" უკრაინული პასპორტის მქონე 17 წლის ნახევარმცველი გიული მანჯგალაძე ასპარეზობს.

35-ე სკოლაში ტარიელ კანდელაკისა და გოჩა ავსაჯანიშვილის გაზრდილი ლუკა ხომასურიძე საბერძნეთში უმაღლესი ლიგის „კალითეაში" ჩაირიცხა, მაგრამ საბუთებთან დაკავშირებით პრობლემები ვერ მოაგვარა და ერთი წლის შემდეგ, „ტრასივულოსის" დუბლებში დაიწყო თამაში. 2008-09 სეზონში გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. ლუკამ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და უკვე ძირითად გუნდში გამოდის.

მიუნხენის ქართული სათვისტომოს სპორტის ქომაგთა კლუბმა „ივერიელმა" პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც ნიჭიერი ქართველი ბავშვების გერმანიაში ჩაყვანა-სტაჟირებას ითვალისწინებს. პირველი ბედნიერი „ოლიმპის" აკადემიის 14 წლის ფეხბურთელი **დავით ჯიქია** აღმოჩნდა.

დღეისთვის, „ბაიერნის" 16-წლამდელთა ერთ-ერთი ლიდერია ნახევარმცველი დედით ქართველი (ფიქრია აფციაური-ჰუფნაგელი) **ლუკას ჰუფნაგელი.** ლუკასი „ბაიერნის" სკოლაში 10 წლიდან ვარჯიშობს, 2005 წელს 11-წლამდელებში მინი-მაისტერის წოდებაც მოიპოვა. მოგვიანებით, ლუკამ ანალოგიური ტიტული 13-წლამდელებშიც დაისაკუთრა. ქალბატონ ფიქრიასა და მის მეუღლეს ვაჟის საქართველოს ნაკრებში ხილვა სურთ.

„მიუნხენ 1860"-ში ვარჯიშობს 15 წლის **ლუკა ჩხაიძე,** ქართველი ემიგრანტის, **ვახტანგ ჩხაიძის** შვილიშვილი. ამ ბავშვების საქართველოს ნაკრებში თამაშის იმედი ჯერ კიდევ გვაქვს.

თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენებური უკვე დავკარგეთ. მაგალითად, „ვოლფსბურგის" 17 წლის ნახევარმცველი **აკაკი გოგია** არჩევანის წინაშე რომ დადგა, გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში თამაში ამჯობინა და ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ. იქნებ, საქართველო ამ ქვეყნის ფორმით ასახელოს.

უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული ზუგდიდის საფეხბურთო სკოლის გაზრდილი **თემურ ფარცვანია** გახდა. უკრაინელები ფოთში გაზრდილ **ირაკლი ციკოლიასაც** დიდი იმედებს უკავშირებდნენ, მაგრამ ტრავმებმა მწყობრიდან ამოაგდო და ახლა არც ვიცით, სად თამაშობს.

რუსეთის ნაკრებში რამდენი ქართველი თამაშობს, ამის დათვლა უკვე შეუძლებელია - ყოველ წელს ახალ-ახალ გვარებს რუსეთის ასაკობრივი ნაკრებების სიებიდან ვიგებთ.

რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ათამაშეს 20 წლის უნიჭიერესი მცველი **გია გრიგალავა,** თუმცა არის ინფორმაცია, რომ რუსეთის პრემიერლიგელი „როსტოვის" უნივერსალი ფეხბურთელი ევროპულ კლუბში გადასვლა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს.

» მე-9 გვერდზე

პერსპექტივა

# ჩვენ ვეძებთ ტალანტებს

« მე-8 გვერდიდან

დრომ გამოაჩინა, რომ უცხოეთში მიმოფანტულ უამრავ ქართველს შორის სამუშაოდ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის ძალები არასაკმარისი გახლდათ. თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოს უფრო სრულყოფილი ინფორმაცია და შეუდარებლად მეტი საშუალება აქვს, უფრო ეფექტურად და სწრაფად მოაგვაროს მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ** ჯერ კიდევ სამი თვის წინ საკითხის მოგვარების შესახებ ფედერაციის გეგმა გაგვიმხილა: „ეს იმდენად მნიშვნელოვანი და გლობალური თემაა, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას ვაპირებთ. უცხოეთში უამრავი ქართული ოჯახია მიმობნეული, სხვადასხვა არხით ბევრი მოვძებნეთ, მაგრამ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით გაცილებით მეტს მოვახერხებთ. შეიქმნება ქართველ ფეხბურთელთა საინფორმაციო ბანკი, არც ერთი ქართველი რომ არ დაიკარგოს".

ამ საქმეს თავი მოება, ფეხბურთის ფედერაციისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა ორშაბათს ითათბირეს და თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ეს გუშინ, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული პრესკონფერენციიდან შევიტყვეთ. პრესკონფერენცია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ნიკა ავალიანმა** და ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა ნიკა ჩხეიძემ გამართეს.

შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო სტრუქტურა თავის კავშირებს გამოიყენებს, საზღვარგარეთ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები რომ მოიძიოს (15, 16, 17, 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებისთვის) და ეს ბავშვები საქართველოს სამსახურში რომ ჩადგნენ. ამისთვის სახელმწიფო მინისტრის აპარატი უცხოეთში არსებულ კავშირებს გამოიყენებს, ფეხბურთის ფედერაცია კი მოძებნილ ფეხბურთელებს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თამაშს უზრუნველყოფს.

„უცხოეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შევეხმიანეთ და ამ ინიციატივას ყველა მოწონებით შეხვდა. თხუთმეტი ადამიანი ესპანეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან და ა.შ. უკვე მზადაა ამ პროექტში ჩაერთოს, რაც ძალიან გვაიმედებს. უკვე გვაქვს ინფორმაცია რამდენიმე ფეხბურთელის შესახებ. მათი თანხმობის შემთხვევაში, ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები ინფორმირებულები იქნებიან და შესაძლებლობა ექნებათ, საქმეში ნახონ ეს მოთამაშეები. რაც შეეხება მემორანდუმს, ის ფედერაციასა და სამინისტროს შორის უახლოეს დღეებში გაფორმდება", - განაცხადა ავალიანმა.

„ამ საკითხს ფედერაციაში ტექნიკური დეპარტამენტი მოაგვარებს და სახელმწიფო სტრუქტურასთან ერთად, ვფიქრობ, ბევრად უფრო ეფექტურად ვიმუშავებთ, ვიდრე ცალ-ცალკე. უცხოეთში მიმოფანტული ქართველების მოძიებაზე აქამდეც ვფიქრობდით. თუმცა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ბევრად უფრო ინფორმირებულია და ცხადია, სერიოზული დახმარება შეუძლია. სამინისტროს აქვს მონაცემთა სრული ბაზა, სადაც უცხოეთში რეგისტრირებული დიასპორებზე ყველაფერია ცნობილი, ყოველდღიური კონტაქტები გააჩნიათ და თუკი 15 წლამდე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდება, ერთად შევეცდებით, ეს ბავშვი საქართველოს ნაკრებში ვათამაშოთ. ჩვენი მიზანია, არც ერთი ქართველი არ დაიკარგოს. ფედერაციისა და სამინისტროს თანამშრომლობით ეს შესაძლებელი ჩანს.

ინფორმაციის მიღების შემდეგ, ფედერაცია ნიჭიერ ბავშვებზე დასაკვირვებლად მწვრთნელებს მიავლენს და თუკი ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ასაკობრივ ნაკრებებში მოვიწვევთ.

რამდენიმე მათგანი უკვე მოვიწვიეთ: ივნისის ბოლოს ესპანეთის საკურორტო ქალაქ იბიცაში 17-წლამდელების საერთაშორისო ტურნირი ტარდება, სადაც კობა ჟორჟიკაშვილის გუნდიც მიიწვიეს. ჟორჟიკაშვილმა 17-წლამდელებში მიიწვია „ბაიერნის" ნახევარმცველი ლუკა ჰუფნაგელი, „მიუნხენ1860"-ის თავდამსხმელი ლუკა ჩხეიძე და ჩეხეთში მოთამაშე ნიკა პაპუჩელაშვილი. მათ ქართული პასპორტის აღების პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან საქართველოს კანონმდებლობით ორმაგი მოქალაქეობა ნებადართულია. ამ საკითხში ყოველთვის გვეხმარებოდა მედია და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება", - გვითხრა ჩხეიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პროფლიგა

# კონფერენცია 29 ივნისს

გუშინდელ ნომერში პროფლიგის პრესატაშე **მიხეილ აბაიშვილის** განმარტება გამოვაქვეყნეთ. მან ორგანიზაციის პოზიცია დააფიქსირა იმასთან დაკავშირებით, რომ 17 ივნისს პროფლიგის კონფერენციის გამართვა გადაწყვეტილი არ იყო, როგორც ეს ადრე გავრცელდა. გუშინ პროფლიგის პრესსამსახურმა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, საიდანაც ვიგებთ, რომ კონფერენცია 29 ივნისს, 14 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება.

ბუნებრივია, კონფერენციაზე განსახილველი ყველა საკითხი მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მათ შორის, სუპერთასის გამართვის ადგილი და დრო. უმნიშვნელოვანესია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების დუბლშემადგენლობებისა და ჭაბუკთა ლიგის გათამაშებების ახალი ფორმატით და ლიგის ეგიდით გამართვის ინიციატივაც.

კონფერენციაზე გაირკვევა, დართავენ თუ არა „ჭიათურას", „35-ე სკოლასა" და „ნორჩ დინამოელს" პირველ ლიგაში გამოსვლის უფლებას. მათ ეს პრობლემა ლიგის საწევროს გადაუხდელობის გამო შეექმნათ.

თუმცა, ჩვენს ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ტრადიციულად ინტრიგის შემცველი ბოლო, მეხუთე საკითხი „სხვადასხვა" - 29 ივნისს ვნახავთ, ხომ არ უკავშირდება ეს საკითხი პირველს, სადაც უმაღლესი ლიგის რეგლამენტი უნდა დაამტკიცონ. საბოლოოდ სწორედ აქ გამოჩნდება ლიგის, ფედერაციისა და კლუბების ერთობლივი პოზიცია „გაგრისა" და „ლოკომოტივის" უმაღლესში დარჩენასთან დაკავშირებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

# უმაღლესლიგელებს გოგონების გუნდიც ეყოლებათ?

ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების განყოფილებამ კლუბების ყოველწლიური შემოწმება დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა კომიტეტის გაწეული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

„სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების განყოფილების ხელმძღვანელი ბაქარ ჟორდანია, ამავე განყოფილების ექსპერტი ალექსანდრე ხომერიკი და ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო სორდია დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ. მათ მოინახულეს დასავლეთ საქართველოში მდებარე საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბები. ვიზიტის დროს მოხდა არსებული ინფრასტრუქტურის წინასასეზონო შეფასება, კერძოდ, შემოწმდა ზესტაფონის, ზუგდიდის, ფოთის, სამტრედიისა და ქუთაისის სტადიონები. ვიზიტის დროს, კომიტეტის წევრები შეხვდნენ საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებს და განიხილეს განვლილ სალიცენზიო ციკლში წამოჭრილი პრობლემური საკითხები. კლუბებს მიეცათ რეკომენდაციები მომავალში ამ სირთულეების დასაძლევად. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნინო სორდიამ შეხვედრებისას განიხილა რეგიონებში ქალთა ფეხბურთის განვითარების პერსპექტივები და ლიცენზირების მოთხოვნებში მისი გათვალისწინების საკითხები. მომავალ კვირას დაგეგმილია ანალოგიური ვიზიტები თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს საფეხბურთო კლუბებში".

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში, ლიცენზირების პირობებში გაითვალისწინებენ საკმაოდ მნიშვნელოვან მოთხოვნას: უმაღლესი ლიგის კლუბებს, დუბლშემადგენლობებისა და ჭაბუკთა ორ ასაკობრივ გუნდებთან ერთად, გოგონათა გუნდის ჩამოყალიბებაც დაევალებათ - ასეთია უეფას ნება. თუმცა ჯერ უცნობია, ამ მოთხოვნას კატეგორიულად როდის დააყენებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი

# შოთა ბაბუნაშვილი თუ წილისყრა გაგვიმართლებს...

## რატომ იყვნენ ბაბუნაშვილი და ფიფია კიევში?

**ზაფხულის** სატრანსფერო პერიოდისას „ზესტაფონს" თავდამსხმელ გოგი ფიფიასთან ერთად ნახევარმცველი შოთა ბაბუნაშვილი დაემატა. ფიფიასთან ინტერვიუ უკვე შემოგთავაზეთ, ამჯერად კი ბაბუნაშვილია რესპონდენტის როლში.

რატომ დაბრუნდა ისრაელიდან სამშობლოში, რა აზრი აქვს ახალ გუნდზე, რა მიზნებისთვის იბრძოლებს, რატომ იყო კიევში... შოთა ბაბუნაშვილთან ინტერვიუ, ისევე როგორც ზესტაფონელთა თავკაც გია გეგუჩაძესთან, პლზენის „ვიქტორიასთან" 12 ივნისის ამხანაგურ მატჩამდე ჩავწერეთ.

**- ჯერ „ზესტაფონამდე" ამბებზე დაგეკითხებით. გასული სეზონი რუსთაველთა გუნდში დაიწყეთ, წამყვანი ფიგურა იყავით, მაგრამ ისრაელში გადაბარგდით, „ოლიმპი" კი ჩემპიონი გახდა. უკეთესი ფინანსური პირობების გამო წახვედით?**

- უკეთესი პირობები იყო, უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის ვიბრძოდით, მაგრამ ეს მიზანი ვერ განვახორციელეთ.

**- მხოლოდ ნახევარი სეზონით დარჩით ისრაელში, რატომ არჩიეთ დაბრუნება?**

- მხოლოდ სამი კვირით მოხერხდა მეუღლისა და ოჯახის წევრების ისრაელში ჩაყვანა. ფაქტობრივად, მთელი ნახევარი სეზონის განმავლობაში მარტო ვიყავი. ძალიან გამიჭირდა და დაბრუნება გადავწყვიტე.

**- „ზესტაფონში" როგორ აღმოჩნდით?**

- მოგეხსენებათ, წლევანდელი ზამთრიდან მოყოლებული ისრაელში რიგით მეორე ლიგაში ნეშ ციონის „სექციაში" დავასრულე ჩემპიონატი და სამშობლოში დავბრუნდი. არ დაგიმალავთ და სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მაინც „ზესტაფონზე" გავაკეთე

**- თქვენი არჩევანი რამ განაპირობა?**

- ვფიქრობდი, რომ ამ კლუბში ყველაფერი დალაგებული იყო. ვფიქრობდი, აქ მაღალი დონის პროფესიული კლუბი დამხვდებოდა. ამასთან, ამბიციური გუნდია და სტაბილურობით გამოირჩევა. ამას ვვარაუდობდი და არც შევმცდარვარ. ერთი სიტყვით, ამ და სხვა მიზეზების გამო, „ზესტაფონში" თამაში გადავწყვიტე და იმერულ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- სხვა წინადადებებიც მქონდაო, ზემოთ მითხარით. მაინც რომელი კლუბებში შეგეძლოთ კარიერის გაგრძელება?**

- ქართული და ებრაული კლუბებში გადასვლის ვარიანტები მქონდა. არც იმას დაგიმალავთ, რომ ერთი კვირის წინაც დამირეკა აგენტმა ისრაელიდან და მითხრა, სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე, კარგი წინადადება გამოჩნდაო. უკვე გაფორმებული მქონდა „ზესტაფონთან" კონტრაქტი და აგენტს ვუთხარი, უკლუბოდ უკვე აღარ ვარ-მეთქი.

**- რამდენადაც ვიცი, ნეშ ციონის „სექციას" ცოტა დააკლდა მთავარ ლიგაში გადასასვლელად...**

- კი წინა გუნდს ქულით ჩამოვრჩით, მეორეადგილოსანმა კი 2 ქულით გაგვისწრო. 2 ქულით მეტი რომ გვქონოდა, მთავარ დივიზიონში გადავიდოდით.

**- თქვენთან ერთად ნეშ ციონის „სექციაში" თავდამსხმელები, გაგა ჩხეტიანი და გიორი ჭელიძე იყვნენ. ისინი რჩებიან კლუბში თუ მისამართის შეცვლა აქვთ გადაწყვეტილი?**

- გიორგი ჭელიძე წამოვიდა, გაგა ჩხეტიანი ალბათ კლუბს არ შეიცვლის.

**- რამდენადაც ვიცი, ავსტრიაში, მოსამზადებელ შეკრებამდე გამგზავრებამდე თქვენ და გოგი ფიფია კიევში ორი დღით იყავით ჩასული. უკრაინაში რა გინდოდათ?**

- დიახ, მართლაც ვიყავით უკრაინაში, მაგრამ ეს ვიზიტი ისევ და ისევ ზესტაფონელთა გუნდს უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ გუნდს გვიან შევუერთდით, ავსტრიაში გასამგზავრებლად სავიზო პრობლემის მოგვარებას თბილისში ვერ ვასწრებდით და კიევში ყველაფერი მალევე გაკეთდა.

**- უკვე რამდენიმე დღეა „ზესტაფონში" ვარჯიშობთ. ახალ გუნდზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- პროფესიული გუნდია და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, კარგი მწვრთნელი გვყავს, კარგი ფეხბურთელები, პირობებიც კარგია და მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- „ზესტაფონში" დიდი კონკურენციაა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. შესაბამისად, ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბრძოლა მოგიწევთ. საამისოდ მზად ხართ?**

- კონკურენცია ყველა ამბიციურ გუნდშია. პროფესიონალი ვარ და სასტარტო შემადგენლობაში დასამკვიდრებლად მზად ვარ ამ კონკურენციაში ჩავერთო. იმედი მაქვს, შესაძლებლობა მომეცემა და ჩემსას დავამტკიცებ.

**- ახალ გუნდში არაერთ ფეხბურთელს იცნობთ...**

- დიახ, ყველას კარგად ვიცნობ - ფიფიასთან, ელიავასთან, აფციაურთან, ონიანთან ერთად ადრე ვთამაშობდი. ეროვნულ ჩემპიონატში საკმაო ხანია ვთამაშობ და ადაპტაცია არც ერთ გუნდში ჩემთვის ბარიერი არ იქნება.

**- ფეხბურთელებთან ერთად ახალი გუნდის მწვრთნელიც არ უნდა იყოს თქვენთვის უცხო. გია გეგუჩაძესთან ადრეც მუშაობდით...**

- დიახ, თბილისის „დინამოში" მასთან ერთად ვმუშაობდი და ის პერიოდი კარგად დამამახსოვრდა, მწვრთნელმა იცის ჩემი შესაძლებლობები და ერთად მუშაობა „ზესტაფონშიც" არ გაგვიჭირდება.

**- ავსტრიაში 2 კვირის განმავლობაში მოემზადებით და ძლიერ მეტოქეებთან გაქვთ საკონტროლო მატჩები. ამ შეკრებას რა მნიშვნელობას ანიჭებთ?**

- პლზენის „ვიქტორიასა" და „ზალცბურგზე" რომ არაფერი ვთქვათ, „ზენიტი" და მოსკოვის „დინამო" ჩინებული გუნდებია და მათ წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება. ამ საკონტროლო შეხვედრებში გამოჩნდება ჩვენი გუნდის რეალური ძალა, ნაკლს მეტად დავინახავთ და მის გამოსწორებაზე ვიზრუნებთ.

**- ახალ გუნდში რა პოზიციაზე წარმოგიდგენიათ თქვენი თამაში?**

- ნახევარდაცვის შუაში ყველაზე სარგებლიანი ვარ. ისე კი ნახევარდაცვაში ორივე ფრთაზე მაქვს ნათამაშები. სად ვითამაშებ „ზესტაფონში", ამას მწვრთნელი გადაწყვეტს... სადაც გუნდს დავჭირდები, მზად ვარ, იმ პოზიციაზე ვითამაშო.

**- რა მიზნისთვის იბრძოლებს „ზესტაფონი"?**

- ჩემპიონობა, თასის მოპოვება და ევროპის ლიგაზე რაც შეიძლება მეტი ბარიერის გადალახვა. ამბიციური გუნდი ვართ და ეს მიზანი ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს სულაც არ აღემატება.

**- ევროტურნირზე მაინც რამდენი ეტაპის გავლა მიგაჩნიათ რეალურად?**

- უმთავრესად პირველ ეტაპზე უნდა ვიფიქროთ. ამ რაუნდში ისეთი გუნდები ნამდვილად არ არიან, რომელთა დამარცხება არ შეგვიძლია, მაგრამ, მეტოქის სათანადოდ შეფასებაა საჭირო... რაც შეეხება კითხვას, შარშან ამ გუნდს ძალიან ცოტა დააკლდა მეორე ეტაპს გადასალახავად და ეს წელს მაინც უნდა შევძლოთ. წილისყრაზეც ბევრი რა არის დამოკიდებული. თუ წილისყრაში გაგვიმართლებს ორზე მეტი ბარიერის გადალახვაზეც შეიძლება ფიქრი.



**დავით ცაბაძე**

ამხანაგური მატჩი



თორნიკე ოქრიაშვილმა კინალამ ზესტაფონს გაუტანა

# ზესტაფონი ზენიტსა და ოქრიაშვილს დაუზავდა

„ზესტაფონმა" ავსტრიულ შეკრებაზე გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. **გია გეგუჩაძის** გუნდი ამჯერად უეფას თასის 2008 წლის გამარჯვებულს, რუსეთის თასის მფლობელსა და მიმდინარე პრემიერლიგის ლიდერ „ზენიტს" დაუპირისპირდა. ქართულმა გუნდმა ძლიერ მეტოქეს ტოლი არ დაუდო. „ზესტაფონის" მსგავსად, „ზენიტიც" 3-ჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. საბოლოოდ კი დრამატული შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

ნევისპირელებთან მატჩში ზესტაფონელებს არ ჰყავდათ ტანმაღალი მცველი **გიორგი ხიდეშელი**, რომელიც პლზენის „ვიქტორიასთან" ამხანაგურ მატჩში მსუბუქად დაშავდა. სამაგიეროდ, არაოფიციალური დებიუტი ჰქონდათ **შოთა ბაბუნაშვილსა** და **გოგი ფიფიას**. „ზენიტის" რიგებში კი პირველად ითამაშა „გაგრასა" და ახალგაზრდული ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა **თორნიკე ოქრიაშვილმა**, რომელიც 57-ე წუთზე **ბისტროვის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. სხვათა შორის, მეორე ტაიმში პეტერბურგელებმა პირველი საგოლე მომენტი სწორედ ჩვენებურის მეშვეობით შექმნეს - ოქრიაშვილი ორ მცველს გასცდა და დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მეორე ტაიმში ჩვენებმა უფრო მეტი საგოლე მომენტი შექმნეს. ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშეს ზესტაფონელთა მეკარე **როინ კვასხვაძემ** და დაცვის ხაზმა. იმერელთაგან **ჯაბა დვალი** და **ალექსი ბენაშვილი** გამოირჩეოდნენ...

ზესტაფონელთა პირველი შანსი - **ირაკლი ძარიას** ჯარიმას დვალმა თავური მიაყოლა და „ზენიტი" ხარიხამ იხსნა. მალე კვასხვაძე დროულად გამოვიდა კარიდან და სახიფათო მომენტი განმუხტა. მანვე კიდევ ერთხელ იმარჯვა 30-ე წუთზე, როცა მასთან პირისპირ გასულ **შიროკოვს** არ დაანება კარი. ორ წუთში ბენაშვილმა ძლიერად დაარტყა საჯარიმო და რუსული გუნდი ძელმა გადაარჩინა...

„ზესტაფონმა" მეორე ტაიმი მწვავე შეტევებით დაიწყო, თუმცა ჩვენები დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდნენ. 85-ე წუთზე ბენაშვილის მიერ 27 მეტრიდან დარტყმულს „ზენიტის" მეკარე **ჟევნოვი** გადაეფარა, რომელმაც 89-ე წუთზე თავგანწირული ნახტომი დასჭირდა იმავე ბენაშვილის მიერ 15 მეტრიდან დარტყმულისგან რომ ეხსნა თავისიანები.

და ბოლო მომენტი - მატჩის მიწურულს ისევ და ისევ ბენაშვილმა 8 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ... საქმეში კვლავ ძელი ჩაერია.

„ზესტაფონი": **რ. კვასხვაძე, ბენაშვილი, ონიანი, კობახიძე, ელიავა, აფციაური (67. ს. ლომია), დაუშვილი (65. ცხადაია), ძარია (65. გორგიაშვილი), გრიგალაშვილი (48. ბაბუნაშვილი), გელაშვილი (67. ჩიხლაძე), დვალი (48. ფიფია).**

„ზენიტი": **ჟევნოვი, ანიუკოვი (58. დუდიევი), მეირა (47. კრიჟანაცი), ლომბერტსი, ბისტროვი, დენისოვი (58. ბოჩაროვი), ზირიანოვი, იონოვი, როზინა (56. ფაიზულინი), შიროკოვი (56. შირლი), კერჟაკოვი (47. კანუნიკოვი).**

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# ქართველ მგლებს დობროვოლსკი გაწვრთნის

მოგეხსენებათ, კიშინიოვის „დაჩიაში" ოთხი ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს, მცველები, 25 წლის **მამუკა ლომიძე** და 27 წლის **დავით გამეზარდაშვილი**, 30 წლის ნახევარმცველი **ლევან კორღალიძე** და 25 წლის თავდამსხმელი **ვასილ ლუჭაშვილი**. კიშინიოველთა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მწვრთნელი შეიცვალა. ჩვენებურთა გუნდს **ალექსანდრ კამალდინოვის** ნაცვლად, მოლდოვის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **იგორ დობროვოლსკი** უხელმძღვანელებს. კლუბის მესვეურებს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, **ვაჟა თარხნიშვილის** ტირასპოლის „შერიფის" ჰეგემონიის დამხობა უნდათ და ამ ჩანაფიქრის რეალიზებას სწორედ დობროვოლსკის ხელით აპირებენ.

აღსანიშნავია, რომ „დაჩიას" ახალ თავკაც დობროვოლსკის დებიუტი უკვე ევროტურნირებში ელის. მოლდოვის თასის ფინალისტი „დაჩია" ევროპის ლიგაზე პირველი საკვალიფიკაციო რაუნდიდან ჩაერთვება და პირველი ტურის მატჩებს, 1 და 8 ივლისს გამართავს. თუ ვინ იქნება მეტოქე, ამას 21 ივნისს გასამართი წილისყრა გადაწყვეტს.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# ივანიშვილი ციურიხს დაუბრუნდა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი ივანიშვილი** „ციურიხს" დაუბრუნდა. 19 წლის ფორვადი ამ კლუბს ეკუთვნოდა, მაგრამ ბოლო ერთი წელი განათხოვრებით „ჩელენჯლიგის" კლუბ „ვოლენში" გაატარა. გიორგიმ ეს ნაბიჯი სათამაშო პრაქტიკის მიღების მიზნით გადადგა. სხვაგვარად, მხოლოდ „ციურიხის" დუბლშემადგენლობაში გამოსვლას შეძლებდა, რაც ხელს არ აძლევდა.

ახლა არენდის ვადა დაუსრულდა და როგორც შევიტყვეთ, „ციურიხს" დაუბრუნდა. შვეიცარიული ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კლუბმა სეზონისთვის მომზადება უკვე დაიწყო - ჩემპიონატის დაწყებამდე გადაწყდება, ივანიშვილი კარიერას ამ კლუბში გააგრძელებს თუ არენდით კვლავ სხვაგან ითამაშებს.



გიორგი ივანიშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ინტერვიუ ალექსანდრე დოხტურიშვილთან

# მამლუქის ისტორია

**ალექსანდრე დოხტურიშვილი** დაკარგული თაობის ტიპური წარმომადგენელია - სართიჭალელმა ბავშვმა პატარაობიდანვე მიიქცია ყურადღება და ასაკობრივ ნაკრებებში მუდმივად ლიდერად გვევლინებოდა, 2001 წელს კი ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით აღნიშნა. ამის შემდეგ მისი კარიერაში დაღმასვლა დაიწყო - ჯერ ნაკრებში დაკარგა ადგილი, მერე კი საქართველოც დატოვა. ათენის ოლიმპიადამდე ოთხი თვით ადრე ის უზბეკეთში წავიდა და მალე მსოფლიოს ოლიმპიურ ჩემპიონად მოევლინა. ბედის ირონიით, იმავე ოლიმპიადაზე, იმავე წონაში - 84-ში საერთოდ არ გვყავდა მონაწილე, ჩვენი გაზრდილი ფალავანი კი უზბეკეთის დროშას აფრიალებდა და იქაურთა წარმატებას სჭედდა. იგი თანამედროვე ეპოქის მამლუქი გამოდგა. თანაც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული.

შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დოხტურიშვილი უზბეკეთის ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცად დანიშნეს და მის წინაშეც ახალი ასპარეზი გადაიშალა. დანიაში გუნდმა ერთი მედალი მოიპოვა - დილშოდ არიფოვი (60) ფინალში გავიდა, მაგრამ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

უზბეკეთის ნაკრებში მას კიდევ ერთი ქართველი დახვდა - ოდესღაც ქუთაისიდან უკრაინაში წასული, იქიდან კი უზბეკეთში გადაბარგებული ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი დავით სალდაძე (96). დოხტურიშვილი ახლახან სწორედ ნაკრების თავკაცის რანგში ეწვია თბილისს, როცა გუნდი გივი კარტოზიას ტურნირზე საჭიდაოდ ჩამოიყვანა. ეს ინტერვიუც იმ დღეებში ჩავიწერეთ.



**- ნაკრების თავკაცად თქვენი დანიშვნა ვისი იდეა იყო, როგორ მოხდა ეს ამბავი?**

- ამ პოსტზე შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დამნიშნეს. ინიციატივა იქაურებისგან მოდიოდა. საერთოდ, ასე ხდება - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები უმეტესად ნაკრების მწვრთნელები ხდებიან. ჩემი წინამორბედი - კამილ პატკულინიც მსოფლიოს პრიზიორი და ევროპის ჩემპიონია, ოღონდ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.

**- ძნელია მწვრთნელობა?**

- შეუდარებლად ძნელია, ბევრად მეტი პასუხისმგებლობაა. სპორტსმენობისას წააგებ თუ მოიგებ, იმდენად არაფერი, პასუხს არავინ გთხოვს, აქ კი ფეხის ყოველ დაცდენაზე განიხილავენ შენს საკითხს. მომთხოვნელობა და სიმკაცრე ყველგანაა, შედეგი ყველას უნდა. გუნდი რომ მოიგებს, მწვრთნელზე იმდენად არ კეთდება აქცენტი, მაგრამ თუ წააგებ, კრიტიკის პირველი სამიზნე ხარ. გამოთქმაც ხომაა ასეთი - იგებს სპორტსმენი, აგებს მწვრთნელი.

**- ოლიმპიურ ჩემპიონს გუნდშიც არანაკლები ვარსკვლავები დაგხვდნენ - ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი დავით სალდაძე, მსოფლიოს ჩემპიონი დილშოდ არიფოვი... იოლი არც ვარსკვლავებთან მუშაობა იქნება...**

- ისინი ასაკით ჩემზე უფროსები არიან. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ მათი მწვრთნელი ვარ, თუმცა მათთან მუშაობა არაა ძნელი. რადგან მითითება, თქმა არ სჭირდებათ. მაგალითად, სალდაძე ახლაც კი შესაშურად ბევრს მუშაობს, მაგრამ რაღაც შესწორება, რჩევა, მითითება ყველას უნდა. თავზე დადგომა და კუდში დევნა უფრო დამწყებებს სჭირდებათ. ჩემ გარდა ნაკრებთან მწვრთნელთა ათკაციანი საბჭო მუშაობს.

**- საინტერესოა, რამდენად აქტიურად ერევა საბჭო ნაკრების მუშაობაში, იქაური საჭიდაო სამყაროს ყოველდღიურობაში?**

- მე საკითხს ასე განვიხილავ - თუ ნიჭიერი თაობა არ გეყოლება, თუ მისი აღზრდა-გამოვლენისთვის პირობები არ შეიქმნება, მაშინ მწვრთნელთა საბჭოც უძლურია. უზბეკებს სულ ვეუბნები, რომ ბავშვთა სპორტს მიხედონ. ყურადღებას კი აქცევენ, მაგრამ მეტია საჭირო.

**- ალბათ, ამიტომაც ურჩევნიათ სპორტსმენთა ნატურალიზაცია?**

- ლეგიონერები მართლაც ბევრი ჰყავთ. განსაკუთრებით - „თავისუფალში“ - ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი არტურ ტაიმაზოვი (120), ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი სოსლან თიგიევი (74), რასაც ადგილობრივებიც ემატებიან - მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ზაურბეკ სოხიევი (84), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დილშოდ მანსუროვი (60). მაგრამ იქაურ ფედერაციას უფრო შედეგი აინტერესებს და ამიტომ აძლევთ ხელს ნატურალიზებულები. თუმცა პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ბავშვთა სპორტისადმი მიდგომა შეიცვალა. თამაშებს ქვეყნის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვიც ესწრებოდა და ჩინეთიდან დაბრუნებულმა სპორტის აღორძინება დაისახა მიზნად. იქაური პირობები ახლოსაც ვერ მოვა აქაურთან. 2001 წელს, როცა საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონი გავხდი, კაპიკი არ მიმიღია, ახლა კი აქ იმდენად წინ წავიდა ყველაფერი, ევროპის ჩემპიონი დიდ თანხას იღებს, უზბეკეთში კი აზიის ჩემპიონობაზე არაფერს იძლევიან. არც მსოფლიოს პირველობას აქცევენ დიდ ყურადღებას. მთავარი აქცენტი ოლიმპიადაზე და აზიის თამაშებზეა გადატანილი. ოლიმპიური ჩემპიონობისთვის პრემია 1 მილიონი დოლარი დააწესეს, რაც ქარიმოვის პეკინის ოლიმპიადაზე სტუმრობას მოჰყვა. არადა, ჩემს დროს 10 ათასი დოლარი იყო. პეკინიდან დაბრუნებულმა ქარიმოვმა ჯერ 500 ათასი დააწესა, მაგრამ მერე თანხა 1 მილიონამდე გაზარდა. ცხადია, სპონსორების მიერ გაღებული თანხა სხვაა, ის ამაში არ შედის.

**- მენტალიტეტით როგორი ხალხია, ხომ არ გიჭირთ ურთიერთობა, რამდენად აქვთ განვითარებული პროფესიონალიზმი?**

- ძალიან კარგი ხალხია და ძალიან უყვართ ქართველები, აფასებენ ჩვენებურებს. უპირველესად, ეს უზბეკეთში საქართველოს ყოფილი ელჩის - გივი აბდუშელიშვილის დამსახურებაა. პროფესიონალიზმს რაც შეეხება, ეს, ალბათ, ჩვენთან უფროა, რადგან ამაში სკოლა, ტრადიციებიც გვიწყობს ხელს. ეტყობა, ვარჯიშისადმი მიდრეკილება სისხლში გვაქვს. ამას ისინიც აღიარებენ და ამბობენ, კავკასიელებს მუშაობა, ვარჯიში არ გეზარებათო. ამის დასადასტურებლად ოლიმპიადის მაგალითი მოჰყავთ. მის შედეგებს რომ გადავხედოთ, მართლაც რამდენმა კავკასიელმა მოიპოვა იქ მედალი. უზბეკებს სპორტისადმი ასეთი მიდგომა არ ახასიათებთ. მათ სხვა მენტალიტეტი აქვთ - 20 წლის რომ გახდება, რაც უნდა კარგი სპორტსმენი იყოს, ცოლი უნდა მოიყვანოს და იმუშაოს. თუმცა, ცხადია, გამონაკლისებიც არიან.

**- თქვენს კარიერაზე რას იტყვით? დღეს უკვე მეტი დრო გაქვთ დაფიქრებისთვის და ხომ არ გწყდებათ გული, რომ მეტს ვერ მიაღწიეთ, რაც რეალურად შეგეძლოთ?**

- მაგაზე ახლა გვიანია ლაპარაკი. ეტყობა, ეს იყო ჩემი ბედი, რომ გავმხდარიყავი ევროპის, აზიის და ოლიმპიადის ჩემპიონი. ამიტომ არც გული მწყდება, რატომ მეტს ვერ მივაღწიეთქი... იქნებ მეტის გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ ვარ.

**- თქვენი აზრით, მეტის მიღწევაში რამ შეგიშალათ ხელი?**

- ოლიმპიადის შემდეგვე მინდოდა სპორტიდან წასვლა, რადგან ბევრს ვიკლებდი. ოლიმპიადაზე 12 კილოგრამი დავიკელი. ჩემი მთავარი პრობლემაც ზედმეტი კილოგრამები იყო - წონას ვერ ვეჭიდავე და იმიტომ დავანებე თავი. ტრავმა იმდენად სერიოზული არასოდეს მქონია, რომ ჩემი კარიერის ბედი გადაეწყვიტა, ყველაფერი წონის გამო მოხდა.

**- წარმატებების მიუხედავად, თქვენი ბედი მაინც ცოტა უცნაურად წარიმართა - სამშობლოდან სხვა ქვეყანაში, სულ სხვა ხალხში მოგიწიათ წასვლამ. ალბათ, განიცდით ამას?**

- იმავეს გავიმეორებ - რაც მოხდა, ღმერთის ნებაა. ცხადია, მერჩივნა საქართველოში ყოფნა, მაგრამ ღვთის ნებით ასე მოხდა. რა მექნა, ვაგებდი ბადრი ხასაიასთან და ამიტომ წავედი. ის ოლიმპიადის კანდიდატი იყო და მეც წასვლა გადავწყვიტე. თუმცა საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ტრავმის გამო ხასაია ულიცენზიოდ დარჩა.

**- ასეთ პირობებში წასული, როცა კონკურენციას გაექეცით, ოთხიოდ თვეში ოლიმპიური ჩემპიონი გახდით. რა მოხდა ასეთი უზბეკეთში, როგორ გარდაისახეთ ამგვარად?**

- მე აქედან ვისაგზლე ბაზა, თორემ იქ ასე ხანმოკლე დროში რა უნდა მომესწრო. იქ ხელს მიწყობდნენ - სადაც მინდოდა შეკრება თუ შეჯიბრება, ყველგან მიშვებდნენ, თანაც - მარტო, თორემ ჩემი ფორმისთვის არაფერი დამიმატებია.

**- აქ „რეჟიმისტი“ არ იყავით. იქ როგორ ახერხებთ დისციპლინის დაცვას, მკაცრი მწვრთნელი ხართ?**

- „რეჟიმისტი“ მართლაც არ ვიყავი, მაგრამ არც ვარჯიშებს ვაცდენდი. მანუჩარ კვირკველიასავით რომ ვყოფილიყავი, იქნებ სამჯერაც მომეგო ოლიმპიადა, მაგრამ, ალბათ, ეგეც ღმერთის ნება იყო.

**- კონტრაქტი რამდენწლიანია?**

- იქ საკონტრაქტო სისტემა არ არსებობს, ბრძანებით ინიშნები უფროს მწვრთნელად. თუმცა ახლა მიიღეს კანონი, რომლითაც ნაკრებს შეუძლია, კონტრაქტით მოიწვიოს უცხოელი მწვრთნელ-კონსულტანტი, რომელსაც ანაზღაურება 4-5 ათასი დოლარი ექნება.

**- აქედან ხომ არ აპირებთ რომელიმე მწვრთნელის წაყვანას?**

- ჩემი მწვრთნელის, ჯონი რეხვიაშვილის წაყვანა მინდოდა - ეს მისთვის ფინანსურად კარგი დახმარება იქნებოდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს. გული მწყდება, რომ ასეთ მდგომარეობაშია. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს სპორტულ კარიერაში, რასაც არასოდეს დავივიწყებ. ძალიან მიყვარს ისიც და მთელი მისი ოჯახიც. მსოფლიოს ჩემპიონატისას ჩამოსულიც იყო უზბეკეთში, ჩემი ბავშვის ნათლობაზე.

**- ოჯახზე რას გვეტყვით, შვილი რამდენი გყავთ?**

- ერთი გოგო ჯერჯერობით, ცოლი კი იქაური რუსია.

**- საბოლოოდ სად აპირებთ ცხოვრებას - აქეთ თუ იქით?**

- ახლა სამსახურის გამო ძირითადად იქით ვარ, თორემ მანამდე სულ აქ ვიყავი. შარშანწინ მთელი რვა თვე გავატარე აქეთ. სამწუხაროდ, ახლა სამსახური ასე ხშირად ჩამოსვლის საშუალებას აღარ მაძლევს, თორემ როცა დრო გამომიჩნდება ხოლმე, უმალვე ჩამოვდივარ.

**ირაკლი თავაძე**

## ოთარ კანდელაკი



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 83 წლისა გარდაიცვალა სახელოვანი ფალავანი ოთარ კანდელაკი.

საქართველოს გოლიათის სანდრო კანდელაკის (1893-1959) ვაჟმა დიდი კონკურენციის პირობებში ღირსეულად განვლო თავისი სპორტული კარიერა. იოლი არ იყო „კანდელაკობა“. ლეგენდარული მამის ნაკვალევზე ოთარმა არაერთ წარმატებას მიაღწია და გაახარა ქართველი ქომაგები.

სპორტული კარიერა ბერძნულ-რომაული ჭიდაობით დაიწყო (მწვრთნელები ვახტანგ კუხიანიძე, ილო თომაშვილი), შემდგომში კი თავისუფალი სტილის მოჭიდავედ ჩამოყალიბდა. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1960) და ოთხგზის პრიზიორი, სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი (1954) და საერთაშორისო მეგობრული სპორტულ თამაშების გამარჯვებული (1955), მსოფლიოს თასის გათამაშების ვერცხლის მედალოსანი (1958). წარმატებით გამოდიოდა სამბოშიც.

საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონი იყო აგრეთვე „ხალხურ ნიჩბოსნობაში“.

აქტიური სპორტული გამოსვლების შემდეგ მუშაობდა სამეურნეო ორგანიზაციებში ხელმძღვანელად. ერთხანს ცნობილი „პეტრეს საჭიდაო დარბაზის“ დირექტორიც იყო..

ოჯახმა, ახლობლებმა, მოჭიდავეთა საზოგადოებამ სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული რაინდული სულის კიდევ ერთი გოლიათი დაკარგეს.

ოთარ კანდელაკის სახელს დავიწყება არ უწერია.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“,
ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი

პანაშვიდი: 16.06; მის. თემქა IV მ/რ, V კორპ. გლდანი-ნაძალადევის გამგეობასთან.

გამოსვენება: 17.06; 14 სთ. ვერის წმინდა პანტელეიმონის ეკლესიიდან.

ჩოგბურთი

# პირველი წრე ჩაამთავრეს

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე, როგორც გაუწყეთ, სტარტი აიღო 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა თბილისის თასის გათამაშებამ. საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში 11 ქვეყნის 120 წარმომადგენელი ჩაება. ასპარეზობის პირველ დღეს კორტებზე 14-წლიანები გავიდნენ. ერთეულთა თანრიგის შეხვედრათა ნაწილის შედეგები უკვე გაცნობეთ. დანარჩენი ორთაბრძოლები კი ასე დამთავრდა:

გოგონები. ვედა ვარდანიანი-მარია ბოცა 6:4,7:5, იესიკა რეგენრი-ელიზავეტა პაკანოშვილი 6:1,7:5, ირინე ყარანგოზიშვილი-კატერინა სტოიანოვა 6:2,4:6,6:4, მარიამ ამირანაშვილი-ანი საფარიანი 6:3,6:4, ხატია ქურხული-კარინა გურგენიანი 0:6,7:5,6:2, მარიამ ბოლქვაძე-ანა ახალკაცი 7:5,6:0, ნანო ჯანელიძე-კარინე ტუტიანი 6:0,6:0, იანა მინასიანი-მუგე ტოფსელი 6:2,6:1.

ვაჟები. შოთა მეფარიძე-გიორგი კაკულია 6:1,6:3, დემურ დავითაძე-რატი ძიძიგური 6:4,6:1, დავიდ ვან რიესენი-ლევან ფაშიაშვილი 6:2,6:0, მერთ ზინგირლი-რაფაელ რაფაელიანი 7:6,6:0, მიქაელ ავეტისიანი-ოგულქან დენისი 6:1,6:1, საბა ხუციშვილი-არიფ გულიევი 6:0,4:6,6:3, მაქსიმ ბულატი-გიორგი ბუზალაძე 6:2,6:0, ფილიპ ალექსანიანი-გიორგი მალლაკელიძე 6:0,6:0.

**ვაჟა დანელია**

# უიმბლდონი დაწყებამდე დასრულდა

**უიმბლდონის** ტურნირი ჯერ „არ დაწყებულა“ და ჩვენებურთათვის უკვე ყველაფერი დასრულდა. **ანა ტატიშვილმა** (147), **ოქსანა კალაშნიკოვამ** (161) და **მაკა ჩახნაშვილმა** (210) ერთმანეთის მიყოლებით წააგეს „დიდი სლემის“ ტურნირის პირველივე საკვალიფიკაციო რაუნდში. ქართველი გულშემატკივრები დიდი ხანია ელიან, რომ რომელიმე მათგანი „გაისვრის“ და თანამედროვე ჩოგბურთის ელიტას მიუახლოვდება - ამაოდ!

ნომერ მეცხრე კორტზე ჯერ მაკა ჩახნაშვილს და ამერიკელ **ჯული დიტის** დაეთმოთ ასპარეზი. დიტი დღეისათვის მსოფლიოს 566-ე. ჩოგანია, თუმცა კი ორი წლის წინათ ასეულში ყოფილა. თითქოს, მაკა ფავორიტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ტრადიციულად უჭირს ბალახის საფარზე - დიტიმ ორ სეტში აჯობა ჩვენებურს - 6:4, 6:3.

შემდეგ მე-9 კორტი ჩინელ **შუაი ჟანგს** (110) და ანა ტატიშვილს დაეთმოთ. ჩინელი საკვალიფიკაციო ბადეში მე-5 ნომრად იყო განთესილი. საქართველოს პირველმა ჩოგანმა მხოლოდ ერთი სეტი მოიგო (მეორეში ტაი-ბრეიკით) - 1:6, 7:6 (2), 2:6.

ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე საკვალიფიკაციო ბადეში 22-ე ნომრად განთესილი ჩეხი **ანდრეა ჰლავაჩკოვა** (137) იყო. რა თქმა უნდა, 24 წლის ჩეხი ფავორიტი იყო, მაგრამ მაინც გვეიმედებოდა, რომ ძლიერი დარტყმების ოსტატი კალაშნიკოვა ამით გავიდოდა ფონს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის, თუმცა კი ოქსანა თანაბრად ებრძოლა მეტოქეს - 5:7, 6:4, 3:6.

ოქსანას გარდა სხვა ჩვენებურებისთვის ყველაფერი დასრულდა, კალაშნიკოვა კი წყვილთა ბადეშიც ითამაშებს, ის საკვალიფიკაციოში რუს **ვესნა მანასიევასთან** (126) ერთად გამოდის. მათი მეტოქეები მე-5 ნომრად განთესილები, შვედი **იოჰანა ლარსონი** (84) და ავსტრიელი **ივონ მოიზბურგერი** (82) იქნებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მაკა ჩახნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრების მეტოქეები

# გორტატი ყოყმანობს

## პორტუგალიაც ნატურალიზებულით...

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ბულგარეთი გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშს უკვე შეუდგა. მალე მათ პოლონელები და ბელგიელები მიბაძავენ, ხოლო 1 ივლისს მზადებას საქართველო და პორტუგალია დაიწყებენ. აგვისტოს მოახლოებასთან ერთად C ჯგუფის მონაწილე გუნდებმა (პორტუგალიის გარდა) შემადგენლობებიც დაასახელეს (ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე გავაცანით) და მოსამზადებელ გეგმებზეც თქვეს. თუმცა ბოლო დღეებში მეტოქეთა ბანაკებიდან რამდენიმე საინტერესო ამბავი შევიტყვეთ...

### პოლონეთი
### გორტატი და ლოგანი

ყველაზე საინტერესო ამბავი პოლონურმა გამოცემა „გაზეტამ" გამოაქვეყნა:

*„ჩვენი ნაკრების ვარსკვლავი, „ორლანდო მეჯიქის" ნევრი მარცინ გორტატი შესაძლოა, ამ ზაფხულს შესარჩევ ტურნირზე ვერ დაგვეხმაროს. NBA-ში მოთამაშე ერთადერთი პოლონელი კალათბურთელი ინტერვიუში აცხადებს, რომ ჯერ არ იცის, მიიღებს თუ არა ევროპაში თამაშის ნებართვას „ორლანდოს" ხელმძღვანელობისგან. თუ კლუბმა მარცინი ნაკრებში არ გამოუშვა, მთავარი მწვრთნელი იგორ გრიშჩუკი სერიოზული პრობლემის ნინაშე აღმოჩნდება.*

*- ნაკრებში ვითამაშებ თუ არა, ჯერ არ ვიცი. ველი ოტის სმიტისა („მეჯიქის" გენერალური დირექტორი) და სტენ ვან განდის (მთავარი მწვრთნელი) გადაწყვეტილებას. თუ პასუხი უარყოფითი იქნება, წინ ვერ აღვუდგები. სხვათა შორის, შარშან ევრობასკეტის შემდეგ „ორლანდოს" გადაღლილი შევუერთდი, რამაც NBA-ში ჩემს გამოსვლაზეც იქონია გავლენა, - აცხადებს 212 სმ სიმაღლის მარცინ გორტატი და იქვე დასძენს: - ამის მიუხედავად, პოლონეთში ჩასვლა ძალიან მინდა, რადგან სამშობლოში არაერთი საქმე მაქვს და სპონსორებთანაც გარკვეული პასუხისმგებლობა მაკავშირებს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს „ორლანდოს" უფროსობა."*

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელის საფიქრალი მხოლოდ გორტატის საკითხით არ შემოიფარგლება. ჯერაც გაურკვეველია რიგით მეორე ვარსკვლავის, **დევიდ ლოგანის** ბედი. ნატურალიზებულ ამერიკელ გამთამაშებელს ჯერაც არ გადაუწყვეტია, დაეხმარება თუ არა პოლონეთს წლევანდელ შესარჩევში. იქაური კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ თადარიგი ნინასწარ დაიჭირა და ნაკრებში თამაში ვალენსიელ **ტომას კელატის** შესთავაზა. კელატი თანახმაა, თუმცა მასთან დაკავშირებითაც ჩნდება ერთი დაბრკოლება - პოლონელებმა ჯერაც არ იციან, რა დროს ნაილებს კელატის ნატურალიზაციის საქმე. ისინი შიშობენ, რომ ვალენსიელის გაპოლონელება 2 აგვისტომდე ვერ მოესწრება. სწორედ ამ დღეს კი სლავები საქართველოს ნაკრებს თბილისში დაუპირისპირდებიან.

ერთი შეხედვით, პოლონელთა ლიდერების გამოკლების გამო საქართველოს ნაკრების წარმატების შანსი იზრდება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტოქეს თუნდაც გორტატის ღირსეული შემცვლელიც მოეძებნება - გასულ სეზონში **მაცეი ლამპე** რუსული „უნიქსის" ლიდერი იყო. ლოგანის შემცვლელი ტანდაბალი პოლონელები კი იტალიის ლიგაშიც გვხვდებიან...




### პორტუგალია
### ევანსის გული ორად გაიყო

ჩვენი ჯგუფის ბინადართაგან მხოლოდ ბელგიელებს არ ეყოლებათ ნატურალიზებული კალათბურთელი (დიდიე მბენგა ბელგიელია). აქამდე არც პორტუგალიის ნაკრებში თამაშობდა უცხოტომელი, თუმცა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ მწვრთნელმა **მონჩო ლოპესმა ჰეშიმუ ევანსის** დამატება გადაწყვიტა.

ეს ამერიკელი გამთამაშებელი 35 წლისაა და გასულ სეზონში „ბენფიკას" ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. შეიძლება ვინმეს გაუჩნდა კითხვა - პორტუგალიელებმა უფრო ახალგაზრდას რატომ არ მისცეს მოქალაქეობაო. საქმე ისაა, რომ ჰეშიმუმ ცოლად პორტუგალიელი ქალი მოიყვანა და მოქალაქეობაც ამ გზით მიიღო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მონჩო ლოპესმა ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვა და პორტუგალიის ჩემპიონატში ეფექტური სტატისტიკის მქონე ევანსი ეროვნულში მიიწვია.

*- მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მივიღე, ჩემი გული ორი ქვეყნისთვის ძგერს - პორტუგალიისთვის და ამერიკისთვის. ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემი ოცნება იყო და მიხარია, რომ ახლა პორტუგალიის მაისურით ასპარეზობის საშუალება მომეცემა, - განაცხადა ჰეშიმუ ევანსმა.*

### ბულგარეთი
### ბარჩოვსკი: გუნდური სული და მოტივაცია

ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობის შესახებ ახალს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ხაზგასასმელი ფაქტია, რომ ჩვენი მეტოქეები 14 ივნისიდან შეიკრიბნენ და გაფართოებული შემადგენლობით ემზადებიან. ბულგარელმა ჟურნალისტებმა მთავარ მწვრთნელ **როსენ ბარჩოვსკის** ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს, რასაც შემოკლებული სახით ჩვენი გაზეთის მკითხველსაც ვთავაზობთ.

**- საინტერესოა ტოდორ სტოიკოვის საკითხი, რომელმაც ასაკის გამო სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა...**

- მას პირადად ველაპარაკე. ვუთხარი, რომ მისი გამოცდილება ნაკრებს სჭირდება და გუნდის კარი მისთვის ღიაა. ველით სტოიკოვის პასუხს.

**- შეკრების საწყის ეტაპზე გუნდში არ არიან სტეფან გეორგიევი და ფილიპ ვიდენოვი („ჟელეზნიკი", სერბეთი).**

- ორივეს რთული სეზონი ჰქონდა, მცირე ტრავმებიც აწუხებთ და ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდებიან. რაც შეეხება სტაჟიან ნევრ ვასილი ევტიმოვს, წლეულს მის სამსახურზე უარი ვთქვით. ევტიმოვის ამპლუის არაერთი ძლიერი მოთამაშე გვყავს. მათ შორის ამერიკელი ჯარედ ჰოუმენი.

**- ჰოუმენის გარდა გუნდში კიდევ ერთი ნატურალიზებულია - ერლ როულანდი...**

- შესარჩევი ეტაპის ზოგ მატჩში ფარქვეშეთის გამაგრება უფრო დაგვჭირდება, ვიდრე უკანა ხაზის, ზოგჯერ კი პირიქით იქნება. თუ წინა ხაზში გვსურს უპირატესობის მოპოვება, მატჩის განაცხადში ჯარედ ჰოუმენს შევიყვანთ, თუ უკანა ხაზის გამაგრებაზე ვიფიქრებთ, ერლ როულანდს დავეყრდნობით. მაგალითად, პოლონეთსა და საქართველოს ტანმაღალი გუნდები ჰყავთ. მათთან მატჩებში, ალბათ, ჯარედ ჰოუმენი დაგვჭირდება.

**- მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ როგორ ბულგარეთს უნდა ველოდოთ?**

- საკონტროლო მატჩების განრიგით კმაყოფილი ვარ. ჩვენი პირველი ამოცანა გუნდის შეკვრა და კალათბურთელებს შორის საუკეთესო ურთიერთობის ჩამოყალიბება იქნება. ნაკრებში ვარსკვლავი არ გვეყოლება - შავ სამუშაოს ყველა შეასრულებს. ეს ფაქტორები ბრძოლისუნარიანობაზეც დადებითად მოქმედებს და კარგ შედეგსაც განაპირობებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჯარედ ჰოუმენი



ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ)

სატრანსფერო ამბები

# სკიტა და გრინი: მადრიდიდან, მადრიდისკენ

ესპანეთის ჩემპიონატში გამოსვლა რომ დაასრულა, **ნიკა ცქიტიშვილის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. საუბრისას სკიტამ აღნიშნა, რომ მადრიდის „ფუენლაბრადაში" დარჩენის სურვილი ჰქონდა, თუმცა მისი აგენტი სხვა ვარიანტებზეც მუშაობდა.

ჯერჯერობით ცქიტოს ახალი ნავსაყუდელი არ გარკვეულა, თუმცა ესპანურ გამოცემა AS-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ცქიტიშვილის „ფუენლაბრადაში" დარჩენა ნაკლებად სავარაუდოა.

გაზეთი წერს, რომ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა „ფუელნაბრადას" გამოსვლით უკმაყოფილოა და მომავალი სეზონისთვის ახალი სპონსორების მოძიებას აპირებს. მერე დასახელებულია სამი კალათბურთელი, რომლებიც მომდევნო ჩემპიონატში გუნდში აღარ დარჩებიან: **კრის ტომასი, დევინ დევისი** და ნიკოლოზ ცქიტიშვილი. ტომასისა და დევისის საკონტრაქტო დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ. რაც შეეხება ცქიტიშვილს, მას „ფუენლაბრადასთან" ხელშეკრულება 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე ჰქონდა გაფორმებული. ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, სად გააგრძელებს კარიერას ნიკა ცქიტიშვილი.

■ ■ ■

თუ აქამდე ქართველების გვერდით გული **ტაირონ ელისსა** და **შემონდ უილიამსზეც** შეგვტკიოდა, ამიერიდან უცხოურ კლუბებში **ტორინ გრინისა** და **ქუინტონ ჰოსლის** გამოსვლას დავაკვირდებით. ისინი ხომ საქართველოს ნაკრების წევრები არიან. ჰოსლიმ გასული სეზონი თურქეთში, „იზმირთან" ერთად დაასრულა და იმდენად ეფექტური მონაგარი ჰქონდა, რომ ესპანურმა გაზეთმა „სოლობასკეტმა" სატრანსფეროდ მიმზიდველი კალათბურთელების სიაში შეიყვანა. თუმცა ჰოსლის თამაშით უშუალოდ რომელი კლუბია დაინტერესებული, არაფერს იტყობინებიან.

არც ტორინ გრინის მომავალი გუნდი გარკვეულა, მაგრამ ბერძნული გამოცემა „გაზეტა" ზოგად მინიშნებას გვაძლევს - გრინს თვალი მადრიდისკენ უჭირავსო. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატში სამი მადრიდული კლუბია - „ფუენლაბრადა", „რეალი" და „ესტუდიანტესი". 2008-09 წლების სეზონში ტორინი „სარაგოსას" ღირსებას იცავდა, თუმცა გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში ვერ დაეხმარა. გასული სეზონი მან ბერძნულ აეკ-ში გაატარა, მაგრამ 2010-11 წლების სეზონში ათენში დაბრუნებას აღარ აპირებს. ამის მიზეზი მარტივია - გრინი საბერძნეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამერიკაში ისე გაემგზავრა, რომ ხელფასის დიდი ნაწილი არ ჰქონდა მიღებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# ჩემპიონობა ქულათა მაქსიმუმით

ცხრა შესაძლებლიდან 9 ქულა - ასეთი მაჩვენებლით დაასრულა ბათუმში 14-წლიანთა საქართველოს პირველობა **ირაკლი ბერაძემ** და, ცხადია, ოქროს მედალიც მოიპოვა. გამარჯვებულს 2,5-2,5 ქულით ჩამორჩნენ **გიგლა ბენიძე** და **ტატო ქოჩაკიძე,** რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

გოგონებში 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს **ანა შამათავამ** და **თეკლა მაჭარაშვილმა.** უკეთესი კოეფიციენტით ჩემპიონობა შამათავას ხვდა. მესამე იყო **ნატო იმნაძე.**


გამარჯვებულები და პრიზიორები

რადგანაც შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიც იყო, ბერაძე და შამათავა მსოფლიოს პირველობაზე დაიცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას, ბენიძე და მაჭარაშვილი კი ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

# შანსი ვერ გამოიყენა

ვარნაში მოჭადრაკეთა ღია საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-4 ტურის პარტიები გათამაშდა. ლიდერთა პირველ ოთხ დაფაზე შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **ვლადიმირ გეორგიევი-მიროსლავ ლევიცკი, კრასიმირ რუსევი-მირჩა პარლიგრასი, ტიხომირ იანევი-პეტერ ამაუდოვი.** ამგვარ სიტუაციაში მეწინავეებთან გათანაბრება შეეძლო ქართველ დიდოსტატ **დავით ჯოჯუას,** მაგრამ მან შანსი ვერ გამოიყენა - აზერბაიჯანელი ქალბატონი **ნარმინ კაზიმოვა** ვერ დაამარცხა და მხოლოდ ნახევარ ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, იყოჩაღეს 2,5-2,5 ქულის მქონე სხვა მოჭადრაკეებმა - **დიმიტრი კოსაროვმა და დანიელ რაძიკოვსკიმ,** რომლებმაც, შესაბამისად, **ვალენტინ პანბუქჩიანსა** და **ხაიალა აბდულას** სძლიეს.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: რაძიკოვსკი (3,5)-გეორგიევი (3,5), პარლიგრასი (3,5)-იანევი (3,5), ლევიცკი (3,5)-რუსევი (3,5), სპირიდონოვი (3)-კომაროვი (3,5), ჯოჯუა (3)-იველინოვი (3)...

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

IRB-ის ერთა თასი


ლუჩანო ორკუერას შეტევა

# ბორჯღალოსნებმა ის ერთი შანსი ვერ გამოიყენეს

**საქართველო-იტალია A 3:21**

საქართველო (15-9) ურჯუკაშვილი, თოდუა, ზიბზიბაძე, კორკელია (გიგაური 65), ჩხიკვაძე, კვირიკაშვილი, სამხარაძე (1-8) დადუნაშვილი (ასეიშვილი 55), ნატრიაშვილი (დადუნაშვილი 70), კაკოვინი (შეყლაშვილი 60), სუთიაშვილი, მიქაუტაძე (უჩავა 68), საყვარელიძე (კოლელიშვილი 60), თავართქილაძე, ბოლღაშვილი

*ს: კვირიკაშვილი*

სინბინი: ჩხიკვაძე, ურჯუკაშვილი

იტალია A (15-9) პაჩე, ბენვენუტი, კუარტაროლი, პრატიკეტი, სგარბი, ორკუერა, სემენცატო (ტონიოლატი 52) (1-8) მუჩინატი (დემარკი 56), ფესტუჩა (ჯაცონი 69), კისტოლინი (რავალე 52), ა.პავანელო (ტვერაგა 76), ე.პავანელო, ბარბიერი, მინტო (ორლანდო 61), ერასმუსი

*7ს: ორკუერა*

მსაჯი: მარიუს იონკერი

საქართველოს ნაკრები ბუქარესტში მიმდინარე IRB-ის ერთა თასზე მეორე ტურის მატჩში იტალიის A ნაკრებთან 3:21 დამარცხდა და ტურნირის მოგების ყველა შანსი დაკარგა.

წაგება, ცხადია, ყველანაირი გულდასაწყვეტია, მაგრამ, როცა მეტოქე სახეიროს ვერაფერს აკეთებს და მაინც აგებ, კიდევ უფრო საწყენია. „ბორჯღალოსნებმა" ვერ ითამაშეს. პირველი ტაიმი მშრალად, 0:12 წავაგეთ, მაშინ, როცა შეგვეძლო, მოგვეგო კიდეც.

თავად განსაჯეთ, იტალიელებს 12 ქულა წარმოშობით არგენტინელმა მგეზავმა **ლუჩანო ორკუერამ** საჯარიმოებით მოუტანა. მან ოთხი საჯარიმოდან ორი მოედნის ცენტრიდან, ანუ 50 მეტრიდან გაიტანა. საქართველოს ნაკრებს მეტოქის კარის დალაშქვრის შანსი სამჯერ მიეცა. პირველი დასაწყისშივე, მე-4 წუთზე **მერაბ კვირიკაშვილმა** ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, მეორე კარში დასარტყმელი საჯარიმო კი აუტში გადაიტანა. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანში ბურთი უხეიროდ ავაგდეთ და შეტევა ჩაიშალა. მესამე საჯარიმო, როცა ანგარიში უკვე 9:0 იყო, სწრაფად გავათამაშეთ და ბურთი იქვე დავკარგეთ რაკში თამაშისას. ერთი სიტყვით, ცხრა ქულა გავანიავეთ.

მეორე ტაიმში ორკუერამ 46-ე და 48-ე წუთებზე კიდევ ორი საჯარიმო გაგვიტანა და იტალიელები უკვე თვრამეტ ქულას იგებდნენ. ამით საქმე, ფაქტობრივად, მოათავეს. კვირიკაშვილმა საჯარიმო 54-ე წუთზე გაიტანა - 3:18 და უმცირესი, მაგრამ მაინც იმედი გაჩნდა, რომ საქართველოს ნაკრები, ისევე, როგორც შოტლანდიელებთან მატჩისას, თამაშის შემობრუნებას შეძლებდა.

სამწუხაროა, მაგრამ ასე, არ მოხდა. იტალიელები შერკინებაში უფრო ღონიერნი აღმოჩნდნენ. ძალიან გვიჭირდა დერეფნის მოგებაც და რამდენიმე საკუთარი აუტი დავთმეთ.

55-ე წუთიდან მოყოლებული, **ტიმ ლეინმა** შეცვლების განხორციელება დაიწყო. თამაში ნელ-ნელა გამოსწორდა. თუმცა 62-ე წუთზე ორკუერამ კიდევ ერთხელ გაგვიტანა საჯარიმოდან - 3:21. საქართველოს ნაკრებმა ბოლო ათი წუთი მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში გაატარა.

77- ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ქუთაისის „აიას" ცხრა ნომერმა **გიორგი როხვაძემ** ლელო გაიტანა, რომელიც სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო სამხრეთაფრიკელმა არბიტრმა არ ჩათვალა. როხვაძემ შეტევის მარცხენა ფრთაზე, მეტოქის ლელოდან 7-8 მეტრში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიტაცა და მოკლე ფრთიდან შეუტია. ზედ კიდის ხაზის გასწვრივ ირბინა, ჩათვლის მოედანთან შებოჭეს, მაგრამ ბურთის ლელოში გადადება მაინც მოახერხა. არბიტრი გვერდით მსაჯს ეთათბირა და ჩვენს სასარგებლოდ შერკინება დანიშნა.

აი, სწორედ ეს არის გაუგებარი. თუ როხვაძემ ფეხი ხაზს დააბიჯა, რაც, ცხადია, აუტში გადასულად ითვლება, მაშინ იტალიელების სასარგებლოდ დერეფანი უნდა დანიშნულიყო. არის მეორე ვარიანტიც, რის გამოც შესაძლოა, იონკერს ლელო არ ჩაეთვალა. როხვაძემ ბურთი ლელოში მეორე მოძრაობით გადადო. ამ შემთხვევაში იტალიელებს საჯარიმო ეკუთვნოდათ. გაუგებარია, რატომ დაინიშნა შერკინება და რატომ არ ჩაითვალა ლელო, როცა ორივე მსაჯი იქვე იმყოფებოდა და ყოველივეს ნათლად ხედავდა.

ცხადია, ეს არაფრით ამართლებს ჩვენი ნაკრების უნიათო თამაშს. უბრალოდ, ხაზს უსვამს ჩვენი გუნდის მიმართ ტოპ-მსაჯების დამოკიდებულებას. მარიუს იონკერი სწორედ ასეთია და მსგავს სიტუაციებში არასდროს იბნევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტოპ-მსაჯი არ იქნებოდა.

ლელოს გატანის შანსი „ბორჯღალოსნებს" ამ ეპიზოდამდე სამი წუთით ადრეც ჰქონდათ. შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **რეზო გიგაურმა** ფულბეკ **სამუელ პაჩეს** დაუფარა. ბურთი ასევე შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** აიტაცა და მეტოქის ლელოსკენ დაიძრა. გიგაური მიჰყვა, „ქოქოსამ" შენიშნა, რომ თანაგუნდელი უკეთეს პოზიციაზე იმყოფებოდა და გადაცემა არ დაუგვიანა. გიგაურს ჩათვლის მოედნამდე სამიოდე მეტრი დააკლდა. მას მეტოქე უკნიდან ნახტომში მისწვდა და ძირს დაცემულ „ბორჯღალოსანს" ბურთი ხელიდან გაუვარდა.

**მატჩის შემდეგ**

**ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** „ორი განსხვავებული მატჩი ვითამაშეთ. თუ შოტლანდიასთან მაქსიმუმის გაკეთება შევძელით, ამჯერად მინიმუმიც ვერ მოვახერხეთ. ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ვერაფრით მივაღწიეთ ძალების ისეთ კონცენტრაციას, როგორიც შოტლანდიის A ნაკრებთან თამაშისას გვქონდა."

**თედო ზიბზიბაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** „ისევე როგორც ჩვენ, იტალიელებსაც განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. მათ ყველა ჩვენი შეცდომა გამოიყენეს. ხშირად ვცდებოდით და გამარჯვებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. გაწბილებული ვარ. ვეცდებით, მობილიზება მოვახერხოთ და ბოლო მატჩი ნამიბიასთან აუცილებლად მოვიგოთ."

**II ტური**

**ნამიბია - შოტლანდია A 23:20, რუმინეთი - არგენტინა A 24:8**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. იტალია A - 8 ქულა, 2. ნამიბია - 8, 3. რუმინეთი - 5, 4. საქართველო - 4, 5. შოტლანდია A - 2, 6. არგენტინა A - 1.**

**III ტური**

20 ივნისი: **საქართველო-ნამიბია, იტალია A-რუმინეთი, არგენტინა A-შოტლანდია A**

ტესტები

# პუმები ნახტომისთვის ემზადებიან

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა **სანტიაგო ფელენმა** ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. გასულ უქმეებზე ტუკმანში შოტლანდიის ნაკრებთან14:26 წაგების მიუხედავად, ის მოთამაშეთა დიდ ნაწილს ენდობა. ისინი რევანშის წყურვილით არიან განმსჭვალულნი. „პუმები" შოტლანდიის ნაკრებს კიდევ ერთხელ მარ დელ პლატაში ეთამაშებიან.

ფელენმა ნაკრებში ფრანგული „ბორდოს" გარემარბი **რაფაელ კარბალო,** „ტუკმანის" მეორეხაზელი **სანტიაგო გუსმანი** და „დაქსის" ცხრა ნომერი **ნიკოლას ვერგალო** იხმო.

*„ჩვენ თამაშის ბევრი კომპონენტი გვაქვს გასაუმჯობესებელი. განსაკუთრებით დისციპლინა, რადგან ხშირად ვჯარიმდებით. თუმცა პირველ ტაიმში გუნდი ბევრად უკეთ თამაშობდა, უპირატესობას ვფლობდით და ორი ლელოს გატანაც შევძელით. ასეა თუ ისე, ჩვენ ვერ შევძელით გამარჯვების მიღწევა, რადგან დიდი პრობლემები გვქონდა დაცვაში თამაშისას"* - თქვა არგენტინელთა თავკაცმა.

**არგენტინის ნაკრები**

შერკინება: **პატრისიო ალბასეტე (სტად ფრანსე), მარკოს აიერსა (ლესტერი), ალეხანდრო კამპოსი (მონტობანი), მანუელ კარისა (ბიარიცი), ავგუსტინ კრევი (სენ ლუისი), ხუან ფერნანდეს-ლობე (ტულონი), ჯენარო ფესია (კორდობა), მარიო ლედესმა, მარტინ სკელსო (ორივე-კლერმონი), ხუან მანუელ ლეგუსამონი, როდრიგო რონკერო (ორივე-სტად ფრანსე), სანტიაგო გუსმანი (ტუკმანი), ნიკოლას ვერგალო (დაქსი)**

უკანა ხაზი: **ორასიო აგულა (ლესტერი), ლუკას ბორხესი (ალბი), რაფაელ კარბალო (ბორდო), ფელიპე კონტეპომი (ტულონი), სანტიაგო ფერნანდესი (მონპელიე), ავგუსტინ ფიგუეროლა (კასი), ლუკას გონსალესი (ლესტერი), იგნასიო მიერესი, მარტინ როდრიგესი, გონსალო ტიესი (სამივე-სტად ფრანსე)**

# გრემ ჰენრიმ ერთი შეცვალა

ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა. გასულ უქმეებზე ირლანდიელებთან მატჩში დაშავებული მესამეხაზელის **ჯერომ კეინოს** ნაცვლად მან ძირითადში ადგილი **ვიქტორ ვიტოს** ანდო.

ვიტოს ირლანდიელებთან მატჩში „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა და მშვენივრად ითამაშა. მომავალ უქმეებზე კი დანიდინში უელსის ნაკრებთან ის პირველად გამოვა ძირითად შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ ტრავმა მოიშუშა და ნაკრებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა ფულბეკი **მალს მულიაინა**, თუმცა ჰენრიმ გამოცდილ მორაგბეს მაინც ახალგაზრდა და შესანიშნავ ფორმაში მყოფი **იზრაელ დაგი** ამჯობინა.

*„ძალიან ბედნიერები ვიყავით, ირლანდიის ნაკრები რომ დავამარცხეთ. გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, თუმცა სამუშაო და დასახვეწი საკმაოდ ბევრი გვაქვს. ახლა მთლიანად უელსთან მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი. ძალიან რთული, უშეღავათო ბრძოლა გველის, რაც ბოლო წლებში ჩვენი და უელსის ნაკრებების შეხვედრებისთვის დამახასიათებელი გახდა."* - თქვა „ოლ ბლექსის" თავკაცმა.

ახალი ზელანდიისა და უელსის ნაკრებებმა 1905 წლიდან მოყოლებული 25 ტესტი ითამაშეს, აქედან 22 „ოლ ბლექსმა" მოიგო. ახალ ზელანდიაში ეს გუნდები ბოლოს 2003 წელს შეხვდნენ ჰემილთონში, მაშინ მასპინძლებმა დიდი ანგარიშით - 55:3 მოიგეს.

ახალი ზელანდია: **15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. ბენსონ სტენლი, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი**

**1. ბენ ფრანქსი, 2. კევინ მაეალამუ, 3. ოუენ ფრანქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ენტონი ბორიჩი, 6. ვიქტორ ვიტო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

**16. ელ დე მალმანჩი, 17. ტონი ვუდკოკი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ადამ თომსონი, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. რიჩარდ კაჰუი**


ვიქტორ ვიტო

# ბოკემ საიტალიოდ შემადგენლობა გადაახალისა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი **ჯონ სმიტი** გასულ უქმეებზე საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში დაშავდა. მის ნაცვლად „ბოკეს" თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** შერკინების კვაჭი **ბენდიზ მაქუ** მიიწვია.

მომავალ უქმეებზე იტალიის ნაკრებთან მატჩისთვის დე ფილიერსმა მეორეხაზელი **დენი როსუ** და შუამარბები **ჟაკ ფური** და **ვინანდ ულიფიე** დაასვენა.

*„დენიმ ბოლო კვირებში თითქმის უცვლელად ითამაშა და ცოტა დასვენება სჭირდება. საბედნიეროდ, დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა ბაკის ბოთას, რომელის როსუს ადგილს დაიკავებს.*

*დიდი დანაკლისია კაპიტანი ჯონ სმიტი, თუმცა მეორეხაზელი ვიქტორ მეტფილდი არანაკლებადაა დაჯილდოსებული ლიდერის თვისებებით და მჯერა, კაპიტნობას წარმატებით შეძლებს, ისევე როგორც, „ბლუ ბულზის" შემადგენლობაში ზე 14-ისა და „ქარის თასის" გათამაშებებში.*

*გადავწყვიტეთ ფური და ულიფიეც დავასვენოთ. მიკროტრავმა აწუხებს სხალკ ბურხერს, თუმცა ის თამაშს მაინც შეძლებს"* - თქვა დე ფილიერსმა

**სამხრეთ აფრიკა**

შერკინება: **ფილიპ ფან დერ მერვე, ხუთრო სტენკამპი, პიერ სპისი, ჩილიბოი რელეპელე, დიუვალ პოტხიტერი, ვიქტორ მეტფილდი, ფრანსუა ლავი, რაიან კანკოვსკი, ბი ჯეი ბოთა, ბაკის ბოთა, ბუჩ ჯეიმზი, ბენდიზ მაქუ, სხალკ ბურხერი,** უკანა ხაზი: **სი ჯეი ფან დერ ლინდე, ბიორნ ბესონი, იუან დე იონგი, ჟან დე ფილიერსი, იან დუ პლესი, ხიო ეპლონი, ბრაიან ჰაბანა, ალისტერ ჰარგრეივსი, რიკი იანუარი, ზან კირშნერი, რუან პინარი, მორნი სტეინი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# საინტერესო ზაფხულის მოლოდინში

გამოცემა The Hockey News-მა მოახლოებული სატრანსფერო ბაზრის წინ ყველაზე სასურველი თავისუფალი აგენტების რეიტინგი შეადგინა.

პირველ ადგილზე გავიდა ჩეხი ფორვარდი **ტომაშ პლეკანეცი**, რომელიც 70 ქულით „მონრეალის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მეორეზეა - „სან ხოსეს" თავდამსხმელი **პატრიკ მარლო**, მესამეზე - „ფინიქსის" მცველი **ზბინეკ მიხალეკი**, მეოთხეზე - „ნიუ ჯერსის" მცველი **პოლ მარტინი** და მეხუთეზე - „ნიუ ჯერსის" ფორვარდი **ილია კოვალჩუკი**.

■ ■ ■

ამ ზაფხულს თვალყური იქნება მიპყრობილი ვეტერანი ჰოკეისტებისკენ, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ კარიერის დასრულება. პირველ რიგში, ლაპარაკია ცნობილი ფინელი ფორვარდის **ტეემუ სელიანეს** შესახებ, რომელსაც 3 ივლისს 40 წელი უსრულდება. კარიერის გაგრძელებაზე გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება „ანაჰაიმის დაქსის" ხელმძღვანელობაზე. ფინელი ვეტერანი 2005 წლიდან იცავს ამ გუნდის ღირსებას.

*„თუ მომავალ სეზონში „ანაჰაიმი" ახალი გუნდის მშენებლობას დაიწყებს და გაახალგაზრდავებისკენ აიღებს კურსს, გუნდში დარჩენასა და ახალი პროექტისთვის ხელის შეშლას აზრი არ ექნება. მაგრამ თუ ხელმძღვანელობა შეეცდება ამჟამინდელი შემადგენლობის შენარჩუნებას და გუნდს დიდ მიზნებს დაუსახავს, ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც ხელს შემიშლის ყინულზე დაბრუნებაში. რამდენადაც ვიცი, იმავე აზრზეა საკუ კოივუ"*, - ამბობს სელიანე.

■ ■ ■

„ტორონტო მეიპლ ლივზმა" ახალი კაპიტანი აირჩია. როგორც მოსალოდნელი იყო, კანადურ კლუბს მომავალი სეზონისთვის მცველი **დიონ ფანოფი** გაიყვანს მოედანზე. ის იქნება გუნდის ისტორიაში მე-18 კაპიტანი. შეგახსენებთ, რომ 25 წლის ფანოფი „ტორონტოში" სულ ცოტა ხნის წინ, იანვრის ბოლოს გადავიდა, როცა „მეიპლ ლივზმა" დიდი გაცვლა განახორციელა „კალგარი ფლეიმზთან".

*„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა „ტორონტოსთვის"*, - განაცხადა გუნდის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა **ბრაიან ბურკმა**. - *გუნდის ხანგრძლივ ისტორიაში ასეთი პატივი ბევრ დიად ჰოკეისტს ერგო, ამიტომაც არ მივიღებდით ასეთ გადაწყვეტილებას, აბსოლუტურად დარწმუნებული რომ არ ვიყოთ ამ ნაბიჯის მართებულობაში. ჩვენ ძალიან მოვიხიბლეთ იმით, თუ როგორ იოლად მონახა დიონმა საერთო ენა მოთამაშეებთან, მწვრთნელთან და გულშემატკივრებთან. ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა წარმატებული გუნდის მშენებლობაში"*.

■ ■ ■

როგორც ირკვევა, ლეგენდარულ შვედ ფორვარდ **პეტერ ფორსბერგს** წელს სტენლის თასის ფინალში თამაშის შანსი ჰქონდა. მარტში მას თავის რიგებში პლეი ოფის ფინალისტი „ფილადელფია ფლაიერზი" იწვევდა.

*„მაშინ ფილადელფიელთა გენერალურმა მენეჯერმა **პოლ ჰოლმგრენმა** რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებსა და პლეი ოფში თამაში შემომთავაზა. მაგრამ ტრავმამ არ მომცა ამის საშუალება. ვგრძნობდი, რომ არ ვიყავი საკმარისად კარგ ფორმაში"*, - განაცხადა ფორსბერგმა.

36 წლის შვედს 2007-08 წლების სეზონის შემდეგ არ უთამაშია ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, როცა ცხრა მატჩი ჩაატარა „კოლორადოს" შემადგენლობაში. ბოლოს ფორსბერგი სამშობლოში „მოდოს" შემადგენლობაში ირიცხებოდა. *„ახლა არ ვფიქრობ იმ გუნდებზე, რომელშიც შეიძლება კარიერა გავაგრძელო. თუმცა ჯერ არც ის ვიცი, დავბრუნდები თუ არა ჰოკეიში"*, - დაამატა ფორსბერგმა.

მოტორბოლა

# როსი ექვს თვეს გამოტოვებს

მოტოსაჯინიბო „იამაჰას" პრესცენტრმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მოტორბოლაში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი**, როგორც მინიმუმ, ექვსი თვით გამოეთიშა აქტიურ სპორტს. ეს ცნობა როსის მკურნალი ექიმის - **რობერტო ბუცის** დასკვნაზე დაყრდნობით ვრცელდება.

შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულმა იტალიელმა უმძიმესი ტრავმა იტალიის გრან-პრიზე თავისუფალი პრაქტიკის დროს მიიღო და ამის შემდეგ ფლორენციაში ორი ოპერაცია გადაიტანა. ტრავმირებული ფეხის მორიგი გამოკვლევის შემდეგ ბუციმ ლაკონიურად განაცხადა: *„პაციენტის მკურნალობა მინიმუმ ნახევარ წელიწადს წაიღებს"*.

„იამაჰას" მენეჯერი **დავიდე ბრივიო**, პირიქით, უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი.

*„ვფიქრობ, შემიძლია დავამშვიდო გულშემატკივრები: თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, როსი ტრასაზე უკვე სექტემბერში დაბრუნდება"*, - აცხადებს ბრივიო.




ჩოგბურთი

# დემენტიევა უიმბლდონს გამოტოვებს



რუსული ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი **ელენა დემენტიევა** უიმბლდონის წლევანდელ გათამაშებას გამოტოვებს. პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი ლონდონში როლან გაროსზე მიღებული ტრავმის გამო ვერ ჩავა.

დემენტიევას უიმბლდონზე გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ ორი კვირის წინ დადგა: მაშინ ფეხში ძლიერი ტკივილების გამო ელენამ ვერ დაასრულა საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალი იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონეს** წინააღმდეგ.

როგორც ჩოგბურთელი ამბობს, მან ტრავმა როლან გაროსის მესამე წრეში მიიღო, როცა კანადელ **ალექსანდრა ვოზნიაკს** ეთამაშებოდა. მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ დაზიანება სერიოზული იყო და ელენას ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი ესაჭიროებოდა. დემენტიევას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, უახლოესი ტურნირი, რომელშიც რუსი ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას, 26 ივლისს კალიფორნიის შტატის ქალაქ სტენფორდში გაიმართება.

უიმბლდონის ტურნირი 21 ივნისს დაიწყება და 3 ივლისამდე გაგრძელდება.

ფორმულა 1

# ჭორები აგორდა

კანადის გრან-პრის შემდეგ საინტერესო სატრანსფერო ჭორებს ავრცელებს ევროპული პრესა. კერძოდ, იტალიური Autosprint წერს „რენოს" მფლობელ **ჟერარ ლოპესის** ინტერესზე ფინელი **კიმი რაიკონენისა** და გერმანელი **ადრიან სუტილის** მიმართ. როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ, ფრანგული საჯინიბო ამ ორიდან ერთ-ერთ ავტომრბოლთან 2011 წლისთვის გააფორმებს კონტრაქტს.

რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ ზაფხულში პილოტთა ბაზარზე განსაკუთრებული აქტიურობა შეინიშნება და სწორედ მაშინ შევიტყობთ, რამდენად შეესაბამება ეს ცნობა სინამდვილეს.

■ ■ ■

როგორც იცით, „რედ ბული" ერთ-ერთი გუნდია იმ სამიდან, რომელმაც 2011 წლისთვის პილოტთა შემადგენლობა დაასახელა. გაისად „წითელი ხარების" ბოლიდებით კვლავაც გერმანელი **სებასტიან ფეტელი** და ავსტრალიელი **მარკ უებერი** ირბოლებენ. მაგრამ 2012 წელს ეს წყვილი, შესაძლოა, შეიცვალოს, მით უმეტეს, რომ უებერს მხოლოდ 2011 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი ავსტრიულ საჯინიბოსთან.

შვეიცარიული გამოცემა Blick ამტკიცებს, 2012 წელს „რედ ბულის" შემადგენლობაში „ტორო როსოს" პილოტი **სებასტიან ბუემი** ჩაირიცხება. სწორედ შვეიცარიელი მიიჩნევა უებერის სავარაუდო შემცვლელად.



*„სწორედ ისეთი ბუემის ნახვა გვსურს, როგორიც კანადაში იხილა მაყურებელმა - აგრესიული, სტაბილური და რაც მთავარია, სწრაფი. ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, სებასტიანს სიტუაციაზე კონტროლი არ დაუკარგავს და ქულათა ზონაში მოხვდა"*, - აცხადებს „რედ ბულის" მრჩეველი **ჰელმუტ მარკო**.

*„სებასტიანს ყველაფერი წინ აქვს. მან იცის, რომ ჩვენთან მისი კარიერა საიმედო ხელშია. აქ მასზე ზეწოლას არავინ ახდენს"*, - ეს „ტორო როსოს" ხელმძღვანელის ფრანც ტოსტის სიტყვებია.

კრივი

# ვალუევს ვიტალისთან ჩხუბი სურს



სუპერმძიმე წონაში WBA-ის ვერსიით ყოფილი ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** აცხადებს, რომ არ აინტერესებს კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** ჩხუბი და რინგზე WBC-ის ჩემპიონის - უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს** წინააღმდეგ სურს გასვლა. ამ ბრძოლის ორგანიზებაზე რუსულ და უკრაინულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები უკვე ერთი წელიწადია გრძელდება.

*„მე არ მსურს სოლისთან ჩხუბი. დავიღალე პატარა მოკრივეებთან შეხვედრებით. ოდლანიერის სიმაღლე 186 სანტიმეტრია, მაგრამ წონით მალე დამეწევა. კუბელი არ მაინტერესებს, უფრო ვიტალისთან ჩხუბი მიზიდავს - ეს ნამდვილად დიდი ბრძოლა იქნება"*, - ამბობს უკრაინელი მოკრივე, რომელსაც ავიწყდება, რომ სოლისი პროფესიულ რინგზე დაუმარცხებლად გამოდის.

*„ჩემი პრომოუტერები - ვილფრიდ ზაუერლანდი და დონ კინგი მარწმუნებენ, რომ კავშირი აქვთ ძმები კლიჩკოების მენეჯერ ფინკელთან, მაგრამ წვრილმანებისა და ახალი ამბების შესახებ არაფერი ვიცი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბრძოლა უფროს კლიჩკოსთან აუცილებლად გაიმართება. ამ შეხვედრისადმი იმდენად დიდი მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი ფინანსური უთანხმოება მოგვარდება"*, - დაამატა რუსმა მოკრივემ.

■ ■ ■

ამასობაში, დიდ სპორტში დაბრუნებაზე დაფიქრდა სუპერმძიმე წონაში WBO-ის ყოფილი ჩემპიონი **სულთან იბრაჰიმოვი**. ამ მოკრივემ 2009 წელს გადაწყვიტა კრივიდან წასვლა, თუმცა ახლა არ გამორიცხავს კარიერის გაგრძელებას.

იბრაჰიმოვის სიტყვებით, ის რინგს იმ შემთხვევაში დაუბრუნდება, თუ თავისი მშობლიური დაღესტნის ერთ-ერთ რაიონში არჩევნებს მოიგებს. *„10 ოქტომბერს მშობლიურ რაიონში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები გაიმართება. იმედი მაქვს, იქ გამარჯვებას მივაღწევ, რის შემდეგაც არ გამოვირცხავ პროფესიულ კრივში დაბრუნებას. თუმცა ამ ორი საქმის შეთავსება ძალიან რთული იქნება"*, - აღნიშნავს ყოფილი ჩემპიონი.

ერთ-ერთ ინტერვიუში რუსმა განაცხადა, რომ 2009 წელს კარიერის დასრულება დროებით ხასიათს ატარებდა: *„კარიერის დასკვნითი ბრძოლა ჯერ არ ჩამიტარებია. შესაბამისად, რინგზე საბოლოო სიტყვა არ მითქვამს"*.

თავისი ბოლო ბრძოლა იბრაჰიმოვმა 2008 წლის 23 თებერვალს ჩაატარა. მაშინ მან უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** წააგო და მას WBO-ს საჩემპიონო ქამარი გადაულოცა. 2009 წლის ზაფხულში რუსმა ოფიციალურად გამოაცხადა კრივიდან წასვლის შესახებ.

ველოსპორტი

# ლენსი ვუელტაზე არ მიიწვიეს

რანგით მესამე ველომარათონის - „ვუელტას" ორგანიზატორებმა წლევანდელი რბოლის მონაწილეთა სია გამოაქვეყნეს.

წელს „ვუელტა" 28 აგვისტოს სევილიიდან აიღებს სტარტს. ესპანელებმა მიწვევა 16 გუნდს გაუგზავნეს და მათ შორის არ არის **ლენს არმსტრონგის** ამერიკული საჯინიბო - RadioShack.

როგორც ამ გუნდის სპორტული დირექტორი **ალენ გალოპინი** აცხადებს, RadioShack ერთადერთი საჯინიბოა პროტურიდან, რომლის განაცხადი „ვუელტას" ორგანიზატორებმა არ დააკმაყოფილეს.

გალოპინმა ესპანური მხარის ამ გადაწყვეტილებას ახსნაც მოუძებნა. ამერიკულმა გუნდმა „ვუელტაში" მონაწილეობისთვის 15-კაციანი სია გაგზავნა და ამ ჩამონათვალში ლენს არმსტრონგი არ ყოფილა. ამის შემდეგ, „ვუელტას" შეფობამ გადაწყვიტა, რომ RadioShack არასაკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ასეთ პრესტიჟულ რბოლაში მიიღოს მონაწილეობა.

*„სისულელეა 38 წლის არმსტრონგს მოსთხოვო ზედიზედ ორ სუპერმარათონში - „ტურ დე ფრანსსა" და „ვუელტაში" მონაწილეობა. მაგრამ მის გარეშეც ჩვენი გუნდი მეტად კონკურენტუნარიანია, თუმცა ესპანელებს მიაჩნიათ, რომ ანდრეას კლოდენი, ლევი ლაიპჰაიმერი, იანეჟ ბრაიკოვიჩი, აიმარ სუბელდია და კრის ჰორნერი სუსტი ველომრბოლები არიან"*, - ამბობს გალოპინი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — ინტერვიუ ჯონ უოლთან

# ოლ სტარის დონეზე უნდა გავიდე



კენტუკის უნივერსიტეტის გამთამაშებელი ჯონ უოლი 2010 წლის დრაფტის პირველი ნომერი გახდება. ეს ჯერ დადასტურებული ფაქტი არ არის, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ სწორედ ასე მოხდება. შესაბამისად, უოლი NBA-ში კარიერას „ვაშინგტონ უიზარდში" დაიწყებს, რომელმაც დრაფტის ლატარია მოიგო. ამერიკელი ანალიტიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ უოლს აქვს ყველაფერი, რათა უახლოეს მომავალში სუპერვარსკვლავი გახდეს: ის სწრაფია, ათლეტური და ლიდერის აშკარა თვისებები გააჩნია. თავის ბოლო „სამოყვარულო" ზაფხულში ის ლოს ანჯელესში ვარჯიშობს და დრაფტს ელოდება, მანამდე კი ინტერვიუ მისცა Draft Express-ს.

**- ჯონ, როგორ მიმდინარეობს საწვრთნელი პროცესი?**

- ყველაფერი ნორმალურადაა. მართალია, სულ ორი დღეა, რაც ლოს ანჯელესში ჩამოვედი, მაგრამ უკვე სრულფასოვნად ჩავები ვარჯიშებში. რა თქმა უნდა, მინდოდა ერთი-ორი დღე დასვენება, მაგრამ სხვები ხომ მუშაობენ. ასე რომ, მომიწია თავიდანვე პროცესში ჩაბმამ.

**- რომელ კომპონენტზე მუშაობთ ამჟამად?**

- მაგალითად დღეს, მხოლოდ ერთი ტიპის ვარჯიში მქონდა - სროლის სრულყოფა. ტყორცნები ბლოკიდან გამოსვლის შემდეგ, სროლა მკვეთრი გაჩერებისას და ასე შემდეგ. პირადად მე მიმაჩნია, რომ საშუალო ტყორცნაზე მჭირდება ყველაზე მეტი მუშაობა.

**- და როგორ გამოგდით ეს?**

- დიახ, პროგრესი სახეზეა. კოლეჯში ხშირად ვერ ვაგდებდი საშუალო მანძილიდან, ახლა კი პროცენტი იზრდება. ეს სწორი მუშაობის შედეგია.

**- კიდევ რა სპეციფიკურ მომენტებს ამუშავებთ?**

- ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ფიზიკურ მომზადებაზე მუშაობა. NBA-ში მსოფლიოს უძლიერესი ათლეტების წინააღმდეგ მომიწევს თავის დაცვა, ამიტომაც საჭიროა კუნთების განვითარება, სისწრაფის მომატება. ამასთან, უნდა დავხვეწო მარცხენა ხელით თამაში. ახლა ჯერ კიდევ არ შემიძლია ბურთი ისე დამაჯერებლად ვატარო მარცხენათი, როგორც ამას მარჯვენათი ვაკეთებ. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას - ორივე ხელით ერთნაირად კარგად უნდა ვითამაშო.

**- ეს ვარჯიშები განსხვავდება უნივერსიტეტის გუნდების ვარჯიშებისგან?**

- პრინციპი თითქმის იგივეა, უბრალოდ ინტენსივობაა მაღალი. უფრო მეტს გვამუშავებენ წინააღმდეგობის დასაძლევად. ეს არ არის გასაკვირი, რადგან NBA-ში, სადაც სულ მალე თამაში მომიწევს, დაცვა გაცილებით მაღალ დონეზეა. ამას აქედანვე უნდა მივაქციო ყურადღება.

**- რამდენად იოლი დასაძლევია ინტენსივობა, რომელზეც თქვენ ლაპარაკობდით?**

- ხანდახან ძალიან მიჭირს. სტუდენტები სეზონებს შორის შესვენებისას ბევრ მუშაობას არ არიან მიჩვეულნი და ეს ძალიან გვლლის. მაგრამ სხვა გზა არ არის - ეს ჩვენი მომავალი პროფესიაა და თუ გინდა მასში წარმატებას მიაღწიო, ყველაფერი უნდა მოითმინო. მაშინაც კი, როცა დასვენება ძალიან გჭირდება.

**- დრაფტამდე დარჩენილ დროში რა გეგმები გაქვთ?**

- ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული. უნდა შევხვდე ჩემს აგენტსა და მწვრთნელს, მათთან ერთად განვიხილო მზადების გეგმა და მოვისმინო მათი რჩევები. მანამდე კი აქ, ლოს ანჯელესში გავაგრძელებ მუშაობას და მოვემზადები ახალ დონეზე გასასვლელად.

**- უკვე ხვდებით მომავალ დრაფტზე რომელ ნომრად აგირჩევენ?**

- ლაპარაკია პირველ ან მეორე ნომერზე, მაგრამ ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ NBA-ში გადასვლის საშუალება მომეცა. დანარჩენი კი იმ გუნდებზე იქნება დამოკიდებული, რომლებსაც საწყისი ნომრების არჩევის უფლება აქვთ. გააჩნია, ვის რომელი პოზიციის გაძლიერება სჭირდება.

**- როგორ წარმოგიდგენიათ ხუთი წლის შემდეგ საკუთარი თავი მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში?**

- პირველ რიგში „ყველა ვარსკვლავის მატჩის" დონეზე უნდა გავიდე. გავხდე იმ გუნდის ლიდერი, რომელშიც ვითამაშებ. ამას დიდი მუშაობა დასჭირდება, მაგრამ თვალწინ კარგი მაგალითები მყავს - დერიკ როუზი, დერონ უილიამსი და რაჟონ რონდო. მინდა ამ ბიჭების გზა გავიმეორო.

**- სხვათა შორის, რას ფიქრობთ იმაზე, რომ როუზსა და რასელ უესტბრუკს გადარებენ?**

- ხალხს უყვარს მოთამაშეების შედარება და ამას ვერაფერს მოვუხერხებთ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა შესანიშნავი კალათბურთელების გვერდით გაყენებენ. როუზის შესახებ უკვე ვთქვი, უესტბურკმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. მაგრამ არ მინდა ვიყო მეორე როუზი ან უესტბრუკი, არამედ პირველი ჯონ უოლი.

**- კალათბურთი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდით?**

- ვფიქრობ, კომპიუტერებთან ვიმუშავებდი. ან ბიზნესით ვიქნებოდი დაკავებული. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი - მწვრთნელი გავხდებოდი. დიახ, ვფიქრობ, ამ სამი პროფესიიდან ერთ-ერთს ავირჩევდი.

**- თქვენ, ისევე როგორც ბევრი ცნობილი კალათბურთელი, სოციალური ქსელის - Twitter-ის მომხმარებელი ხართ...**

- დიახ, ეს მეგობრებთან ურთიერთობისა და აზრების გაზიარების კარგი შესაძლებლობაა. გარდა ამისა, იგებ ხალხის აზრს სხვადასხვა თემაზე. ამასთან მე მესმის, რომ ერთგვარად მისაბაძი მაგალითი ვარ ბევრი ბავშვისთვის, ასე რომ, ყურადღებით ვეკიდები იმას, რასაც იქ ვწერ.

**- მომავალში რომელიმე ცნობილი ბრენდის სახე ხომ არ გახდებით?**

- რატომაც არა. ბაზარი - ეს თანამედროვე სპორტული ინდუსტრიის ნაწილია, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი. შეხედეთ, რას მიაღწიეს ამ მიმართულებით ლებრონ ჯეიმსმა, კობი ბრაიანტმა ან დუეინ უეიდმა. გარდა მოედანზე მუშაობისა, მნიშვნელოვანია თვალი ადევნო საკუთარ იმიჯს, თავიდან აიცილო უსიამოვნებები... გეგმა მრავლად მაქვს.

# ტორონტოს დიდი გეგმები



სეზონებს შორის შესვენებისას სერიოზული გეგმები აქვს „ტორონტო რეპტორზსა" და მის გენერალურ მენეჯერ **ბრაიან კოლანჯელოს**. ეს სპეციალისტი ყველაფერს აკეთებს კანადური კლუბის შემადგენლობის გადასახალისებლად და შესაბამისად, ჯერჯერობით ყველაზე აქტიურია სატრანსფერო ბაზარზე.

პირველ რიგში, კოლანჯელო იმედოვნებს, რომ შეინარჩუნებს თავის მთავარ ვარსკვლავს - **კრის ბოშს**. გარდა ამისა, „რეპტორზის" გენერალური მენეჯერი სამი კალათბურთელის გაცვლას აპირებს. ესენი არიან: **ჰედო თურქოგლუ, ხოსე კალდერონი** და **ჯარეტ ჯეკი**.

გარდა ამისა, კანადური კლუბის ხელმძღვანელის გეგმებში შედის მომავალი დრაფტის პირველ ოცეულში არჩევის უფლების შეძენა. კოლანჯელო მზად არის ამისთვის 3 მილიონი დოლარი გაიღოს.

შეგახსენებთ, რომ დრაფტზე „რეპტორზს" მე-13 ნომრის არჩევის უფლება გააჩნია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „ტორონტოს" „ტექსასის" მცველი **ევერი ბრედლი** შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნორჩოპინგი-იორგრიტე | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-მორდოვია | 2:0 |
| სკა ენერგია-ნიჟნი ნოვგოროდი | 0:1 |
| ირტიში-ბალტიკა | 2:0 |
| ურალი-დინამო (ს-პ) | 2:0 |
| ავანგარდი-გაზპრომი | 1:0 |
| კამაზ-დინამო (ბრ) | 1:1 |
| სალიუტი-როტორი | 2:1 |
| ვოლგა-შინიკი | 1:0 |
| ხიმკი-კრასნოდარი | 0:0 |
| ჟუჩანი-ჟემჩუჟინა | 0:1 |
| **ესტონეთი** | |
| კურესაარე-ლევადია | 0:7 |
| კალევი-ლოოტუსი | 3:1 |
| კალიუ-ტამეკა | 1:1 |
| პაიდე-ტულევიკი | 2:0 |
| ფლორა-ტრანს ნარვა | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| სკაილაინერსი-ბამბერგი | 69:56 |
| **ესპანეთი** | |
| კახა ლაბორ.-ბარსელონა | 79:78 (ო) |
| **იტალია** | |
| სიენა-მილანი | 81:59 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| კ. ბეკი-ლუ | 4:6, 4:6 |
| სებალიოსი-**მარჩენკო** | 6:7, 3:6 |
| **შუტლერი**-გოლუბევი | 6:2, 6:3 |
| ფ. ლოპესი-**უორდი** | 3:6, 4:6 |
| **ალმაგრო**-კუბოტი | 7:5, 7:6 |
| **გარსია ლოპესი**-ფონინი | 6:2, 6:2 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| **ბეკერი**-ნიემინენი | 6:4, 3:6, 6:4 |
| **სტახოვსკი**-ვლიეგენი | 6:2, 6:1 |
| **ტიპსარევიჩი**-შარდი | 6:3, 6:4 |
| **მალისე**-ბრანდსი | 4:6, 6:1, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-**ფალა** | 2:6, 6:7 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ა. რადვანსკა-**აზარენკა** | 6:7, 1:6 |
| ვოზნიაცკი-**რეზაი** | 4:6, 6:1, 3:6 |
| **პეტროვა**-შპრემი | 2:6, 7:5, 7:6 |
| **კლაისტერსი**-ვიკმაიერი | 6:1, 6:1 |
| პენეტა-**მაკაროვა** | 6:7, 1:6 |
| ვოზნიაკი-**უოტსონი** | 3:6, 2:6 |
| პეერი-**ჟენგი** | 6:1, 1:6, 3:6 |
| სკიავონე-**კირსტეა** | 5:7, 3:6 |
| **კუზნეცოვა**-კლეიბანოვა | 4:6, 7:5, 6:2 |
| ნა ლი-**ბალტაჩა** | 7:6, 0:6, 0:6 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| რიბარიკოვა-**ს. ზახვალოვა** | 6:7, 6:4, 2:6 |
| კირილენკო-**ფლიპკენსი** | 3:6, 3:6 |
| **შვედოვა**-პარა სანტონხა | 6:1, 6:2 |
| ივანოვიჩი-**პეტკოვიჩი** | 4:6, 7:6, 1:6 |
| **ციბულკოვა**-რასი | 6:2, 7:5 |

## TV პროგრამა

**16 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**15:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. ჰონდურასი-ჩილე (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. ესპანეთი-შვეიცარია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. A ჯგუფი. სამხრეთ აფრიკა-საფრანგეთი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:05** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
**08:50** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-მანჩესტერ იუნ.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
**14:35** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
**17:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-ატლეტიკო.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ოსერი.
**20:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ცსკა.
**22:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:45** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
**03:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**05:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** პარალიმპიზმი. მსოფლიოს თასი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**14:25** ახალი ამბები.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:15** ახალი ამბები.
**22:30** მულტისპორტი.
**22:35** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**22:40** გოლფი. PGA-ის ტური.
**23:40** გოლფი. ევროპის ტური.
**00:10** გოლფ-კლუბი.
**00:15** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**00:20** მულტისპორტი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
**01:45** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**02:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**02:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**03:15** მულტისპორტი.

## ამბები

**კალათბურთი**

### ჰიუსტონი ნიქსს დაეხმარება

„ნიუ იორკ ნიქსს" ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე მისი ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი **ალან ჰიუსტონი** დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბს დიდი ბიუჯეტი აქვს და შემადგენლობაში **ლებრონ ჯეიმსის** დონის სუპერვარსკვლავის მიწვევას აპირებს.

*„მინდა ავუხსნა ხალხს, თუ რა დადებითი მხარე ექნება ნიუ იორკში გადასვლას. ეს ეხება სახლს, ქალაქს, ფანებს. თავის დროზე მეც განვიცადე იგივე და ახლა მინდა სხვებს გავუზიარო ეს გამოცდილება. ეს არის ჩემი სამუშაოს არსი"*, - ამბობს ჰიუსტონი, რომელიც გენერალური მენეჯერის **დონ უოლშის** კონსულტანტი იქნება საკალათბურთო ოპერაციებში.

### საკრამენტო პრინსს უმიზნებს

„საკრამენტო კინგზმა" შემადგენლობის გასაძლიერებლად მსუბუქი ფორვარდის ძებნა დაიწყო. სავარაუდოდ, მათი არჩევანი „დეტროიტ პისტონზის" ფორვარდ **ტაიშონ პრინსზე** შეჩერდება.

ამავდროულად, „დეტროიტი" უარს არ ამბობს ორი წამყვანი კალათბურთელის გაშვებაზე. მომავალი სეზონის წინ გუნდი შეიძლება დატოვონ იმავე ტაიშონ პრინსმა ან **რიჩარდ ჰემილტონმა**. ერთ-ერთი მათგანისთვის „საკრამენტო" მზად არის **ანდრეს ნოჩიონი** გაიმეტოს. არგენტინელმა ცოტა ხნის წინ გამოთქვა კლუბის დატოვების სურვილი.

### ფენერბაჰჩე სპაჰიამ ჩაიბარა

მომავალი სეზონიდან თურქეთის ჩემპიონის - „ფენერბაჰჩეს" მთავარი მწვრთნელი 47 წლის ხორვატი **ნევენ სპაჰია** იქნება. წინა მწვრთნელმა **ბოგდან ტანევიჩმა** გასულ კვირას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა თანამდებობა, მაგრამ ამასთან, თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შეინარჩუნა.

სპაჰია 2009-10 წლების სეზონში ესპანეთის „ვალენსიას" ედგა სათავეში, რომელთან ერთადაც რანგით მეორე ევროტურნირი - ევროპის თასი მოიგო და გუნდს მომავალი წლისთვის ევროლიგის საგზური მოუტანა. ადრე ხორვატი ევროლიგის მონაწილე ხუთ გუნდს ავარჯიშებდა: „ციბონას", „კრკას", „ლეტუვოს რიტასს", „მაკაბისა" და „კახა ლაბორალს".

# მისი პირველი უიმბლდონი

**მომავალ ორშაბათს მთავარი საჩოგბურთო ტურნირი - უიმბლდონი იწყება. ამ მნიშვნელოვან მოვლენას რენე შტაუფერის წიგნიდან („საჩოგბურთო გენიოსი") ერთი ნაწყვეტით ვეხმაურებით. ამ თავში მოთხრობილია, როგორ მოიგო კარიერაში პირველი უიმბლდონი როჯერ ფედერერმა.**

2003 წლის უიმბლდონის წინ როჯერ ფედერერი კვლავ ვარდისფერ ფერებში უყურებდა სამყაროს. გერმანიის ქალაქ ჰალეში, ბალახის ტურნირის ფინალში მან შანსი არ დაუტოვა ადგილობრივი პუბლიკის კერპს **ნიკოლას კიფერს** და სეზონში მეოთხე ტიტული მოიპოვა. თანაც ეს იყო ბალახზე პირველი გამარჯვება 1998 წელს უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის მოგების შემდეგ. *„ვიცი, რომ ლონდონში ფავორიტის რანგში მივემგზავრები და მზად ვარ ტიტულის მოსაპოვებლად*, - ამბობდა ფედერერი. - *ბალახზე უფრო მეტი შანსი მაქვს, ვიდრე გრუნტზე".*

წინა წლისგან განსხვავებით, როცა როჯერმა უიმბლდონში მთელი სახლი იქირავა, მწვრთნელ **ლუნდგრენის** რჩევით მოკრძალებული სამოთახიანი ბინა იქირავა ლეოკ როუდზე. იქ ის მწვრთნელთან, მეგობარ გოგონასთან და ექიმთან ერთად გაჩერდა, რომელიც ადგილის სიმცირის გამო მისაღებში იძინებდა. როჯერმა მხოლოდ აუცილებელი ინტერვიუ მისცა პრესას, არ კითხულობდა გაზეთებს, არ თამაშობდა წყვილებში, რათა მხოლოდ ერთეულთა თანრიგზე მოეხდინა კონცენტრაცია. *„აქ რთულია განმარტოება - ტელეფონი გაუჩერებლად რეკავს და მას ყველა რაღაცას თხოვს"*, - ამბობდა **მირკა ვავრინეცი**, რომელიც უკვე ოფიციალურად მიიჩნეოდა ფედერერის მენეჯერად, მართავდა მის საქმეებს, გეგმავდა შეხვედრებსა და მგზავრობებს. საბუკმეიკერო კანტორებში ფედერერი მესამე იყო **ანდრე აგასისა** და **ენდი როდიკის** შემდეგ. „დიდი სლემის" ტურნირებზე „შავი" სერიის მიუხედავად, როჯერის კოეფიციენტი 5.0-ს უდრიდა.

ფედერერი მერვედფინალში გავიდა. მეოთხე წრეში იმ კორტზე, რომელსაც „ჩემპიონთა სასაფლაოს" უწოდებენ, როჯერი ესპანელ **ფელისიანო ლოპესს** შეხვდა. გასულ უქმეებზე შვეიცარიელს დიდად არ დაუტვირთავს თავი - მხოლოდ ერთი საათი ივარჯიშა და თავს შესანიშნავად გრძნობდა. მაგრამ უკვე მატჩზე მოთელვისას გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: მოწოდების შემდეგ როჯერმა წელის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო. *„განძრევა არ შემეძლო - ტკივილი საშინელ დღეში მაგდებდა"*, - ჰყვებოდა მოგვიანებით ფედერერი.

როჯერმა მატჩი ისე დაიწყო, რომ კორტზე ძლივს გადაადგილდებოდა. და მაინც მოიგო პირველი გეიმი. 1:1-ზე სკამზე დაჯდა, თუმცა წესების თანახმად შესვენების უფლება არ ჰქონდა - და ექიმს უხმო. იმ დროს, როცა მასაჟისტი ზურგს უმუშავებდა, ფედერერი სასწაულის იმედად იყო - ნეტავ წვიმა წამოვიდეს და მატჩი გადაიდოს! მაგრამ ცა მოწმენდილი იყო. სასწაული მაინც მოხდა - მან შეძლო თამაშის გაგრძელება და ორი საათის შემდეგ მოიგო კიდეც - 7:6, 6:4, 6:4. მან თავად ვერ ახსნა, როგორ მოახერხა ეს: *„ლოპესს მოგების ბევრი შანსი ჰქონდა. ის დამეხმარა, რომ ბალახზე ვთამაშობდით".*

სამშაბათს, როცა ტურნირზე მამაკაცები ისვენებენ, ფედერერი ჯერაც გრძნობდა ზურგში ტკივილებს. მაგრამ ჟურნალისტებს აწყნარებდა: *„აუცილებლად გავალ კორტზე"*. სამაგიეროდ, შეშფოთებულნი იყვნენ ჰოლანდიელი რეპორტიორები - მათი თანამემამულე და ფედერერის მეტოქე მეოთხედფინალში **სიენგ სხალკენი** სერიოზულად იყო ტრავმირებული.

წვიმამ საერთოდ არია მატჩების განრიგი. შეხვედრა ხუთშაბათისთვის გადაიტანეს, რაც სხალკენს აძლევდა ხელს. ხუთშაბათს წვიმა გაგრძელდა და კიდევ სამი საათი გავიდა, სანამ ჩოგბურთელები მეორე კორტზე დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ფედერერი სრულ წესრიგშია და იოლად ახერხებს ტრავმირებული მეტოქის დამარცხებას - 6:3, 6:4, 6:4. როჯერმა სულ 8 უნებლიე შეცდომა დაუშვა.



როჯერ ფედერერი (მარცხნივ) და მარკ ფილიპუსისი

როჯერი კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში - მან გაიმეორა თანამემამულე **მარკ როსეს** მიღწევა, რომელმაც 1996 წელს როლან გაროსის ნახევარფინალში **მიხაელ შტიხთან** წააგო.

ფედერერის მორიგი მეტოქე, ამერიკელი ენდი როდიკი ლამის ანდრე აგასისა და **პიტ სამპრასის** მემკვიდრედ გამოაცხადეს. თანაც, ენდის მსოფლიოში საუკეთესო მოწოდება აქვს. თუ ამერიკელებს დავუჯერებთ, ის უპირობო ფავორიტია, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე შვეიცარიელთან ჩატარებული სამივე მატჩი წააგო. მაგრამ როდიკის გარშემო ატეხილ ხმაურს ფედერერზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. *„მატჩში 200 ეისს ხომ არ მოაწვდის?!"* - ირონიულად კითხულობდა როჯერი.

მატჩი ისე არ წარიმართა, როგორც ბევრი პროგნოზირებდა - ფედერერი იოლად იგერიებდა უძლიერეს მოწოდებებს, რომელთა სიჩქარე ხანდახან საათში 220 კილომეტრს აღწევდა. ამერიკელი აშკარად დაიბნა და ამის მიუხედავად, პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე წინ გავიდა და თავის მოწოდებაზე სეტ-პოინტი მიიღო... მაგრამ ფორჰენდით ბურთი აუტში გაუშვა და შანსი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ ფედერერს მეტოქისთვის ასეთი შესაძლებლობა აღარ მიუცია. შვეიცარიელმა ტურნირზე საუკეთესო თამაში აჩვენა, ბრწყინვალედ აწვდიდა და ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. საბოლოოდ მატჩი მან 7:6, 6:3, 6:3 მოიგო და დამსახურებული ოვაციები მიიღო.

გამარჯვებულმა სათანადოდ შეაფასა თავისი მიღწევა: *„ბოლოს ასე კარგად თავს ჰამბურის ფინალში საფინთან მატჩის შემდეგ ვგრძნობდი"*, - აღიარა ფედერერმა. მწვრთნელი ლუნდგრენი კი ვერ იხსენებდა ასეთ უნაკლო როჯერს. დამარცხებული მეტოქე კი აშკარად დაბნეული ჩანდა: *„იყო გათამაშებები, როცა მთელი ძალით ვთამაშობდი, მაგრამ მაინც ვაგებდი ქულებს. ასე სამარცხვინოდ არავის დავუმარცხებივარ, არადა საკმაოდ კარგი თამაში ვაჩვენე".* ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტურნირის მსვლელობისას შეუძლია მოუმატოს თამაშს. ეს თვისება მან ჯერ კიდევ იუნიორთა ასაკში გამოავლინა.

მაგრამ წინ იყო მისი მთავარი მატჩი კარიერაში - ფინალი **მარკ ფილიპუსის** წინააღმდეგ, რომელმაც ნახევარფინალში ზუსტად ანალოგიური ანგარიშით (7:6, 6:3, 6:3) დაამარცხა ფრანგი **სებასტისან გროსჟანი**. ავსტრალიელი ერთხელ უკვე იყო რეიტინგის პირველ ათეულში, 1998 წელს კი ამერიკის ღია პირველობის ფინალში თამაშობდა, სადაც თანამემამულე **პატრიკ რაფტერთან** წააგო. ამის შემდეგ ძვირფასი ავტომობილების, სწრაფი მოტოციკლებისა და ლამაზი ქალების მოყვარულის კარიერამ დაღმასვლა დაიწყო - ძირითადად ტრავმების გამო. მუხლზე მესამე ოპერაციის შემდეგ, ფილიპუსისი გარკვეული ხანი ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. და მაინც, მარკმა მოახერხა დაბრუნება და რეიტინგში 48-ე პოზიციამდე ასვლა.

ფილიპუსისმა, რომელიც ფიზიკურად აღემატებოდა შვეიცარიელს, მატჩი ძალიან მაღალ დონეზე დაიწყო: მხოლოდ პირველ სეტში 18 ქულა მოწოდებით აიღო, შვიდი ეისი ჩააწოდა და მეტოქის ძლიერი შემოვლითი დარტყმებით შეშინება სცადა. მაგრამ ამან მის ვიზავიზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა: ფილიპუსისმა ორმაგი შეცდომა დაუშვა - ეს კი ფედერერის სასარგებლოდ ორმაგ სეტ-პოინტს ნიშნავდა. მეორე ბურთით შვეიცარიელმა პირველი პარტია მოიგო. ამ მომენტიდან ის დომინირებდა მოედანზე და კიდევ უფრო უკეთ თამაშობდა, ვიდრე როდიკთან მატჩში. მან გაუსწრო ფილიპუსისს ეისების რაოდენობით და მესამე სეტშიც შეინარჩუნა კონცენტრაცია იმის მიუხედავად, რომ მატჩი ისე არ ვითარდებოდა, როგორც მას სურდა. 5:5-ზე როჯერმა ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რაც პრაქტიკულად მატჩბოლს ნიშნავდა.

პირველი საფრთხე ავსტრალიელმა ბრწყინვალე დარტყმით მოიგერია, მეორეს დროს კი ფედერერმა იდეალური სიტუაცია მიიღო, მაგრამ ცარიელ კორტს ააცილა ბურთი! ტაი-ბრეიკზე როჯერმა თავიდანვე აიღო ინიციატივა და 6:1 დაწინაურდა. *„იმ მომენტში ვფიქრობდი: „შეიძლება გავგიჟდე, ისე ახლოს ვარ გამარჯვებასთან! ამაზე დიდი ხანი ვოცნებობდი!" შემდეგ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა - 6:2, 6:3... ვაწვდიდი და ჩემს თავს ვეუბნებოდი: „თუ ახლა არ გამოგივა, მთელი ცხოვრება უბედური დარჩები!"* - ამბობდა მატჩის შემდეგ როჯერი. მესამე მატჩბოლზე ფილიპუსისმა მიღებისას ბადეს გაარტყა ბურთი. „Game, set and match Federer" - გამოაცხადა მთავარმა მსაჯმა **ჰარი არმსტრონგმა**.

როჯერი მუხლებზე დაეშვა, ხელები ასწია და ცას ახედა. შემდეგ ლოჟისკენ გაიხედა, სადაც პეტერ ლუნდგრენი, მირკა და **პაველ კოვალი** ისხდნენ... *„შვებით ამოვისუნთქე, ძალა თითქმის აღარ მქონდა, ემოციები მახრჩობდა... მეჩვენებოდა, რომ მუხლებზე იმაზე დიდხანს ვიდექი, ვიდრე სინამდვილეში იყო"*, - ასე აღწერდა როჯერი ტრიუმფის პირველ წუთებს. ფედერერს მოოქროვილი პრიზი გადასცეს, 48 სანტიმეტრი სიმაღლის თასი, რომლის სახურავი პატარა ანანასებით არის მორთული - რეგლამენტის მიხედვით, 1887 წლიდან ყველა გამარჯვებული ამ თასით ჯილდოვდება. ორიგინალი უიმბლდონში რჩება, ფედერერმა კი თან წაიღო მისი ორჯერ დაპატარავებული ასლი.

**სიუ ბარკერთან** ოფიციალური ინტერვიუს დროს ის ჯერ კიდევ ებრძოდა მოჭარბებულ ემოციებს. როცა სიუ გამოაცხადა, რომ როჯერის მხარდასაჭერად ბაზელიდან მეგობრები ჩამოვიდნენ, მას საბოლოოდ ჩაუწყდა ხმა: *"Thanks to everybody... It's great..."* როჯერს ცრემლები წამოუვიდა.

ამ გამარჯვებით შვეიცარიელი ყველაზე ექსკლუზიურ საჩოგბურთო კლუბში შევიდა: „ღია ერაში" ის უიმბლდონის მე-18 ჩემპიონი გახდა. **ბიორნ ბორგის, სტეფან ედბერგისა** და **პეტ კეშის** შემდეგ მეოთხე ჩოგბურთელი გახდა, ვინც ეს საოცნებო ჯილდო როგორც იუნიორებში, ასევე პროფესიონალებში მოიპოვა. დაჯილდოების ცერემონიისა და სავალდებულო ფოტოსესიის შემდეგ როჯერმა ცენტრალური კორტი დატოვა, ფოიეში კი საჩემპიონო დაფაზე უკვე ამოკვეთილი იყო მისი სახელი - **„Roger Federer - 2003"**.

საღამოს კი მან, როგორც იქნა, აინაზღაურა დანაკარგი, რომელიც ხუთი წლის წინ იუნიორთა ტურნირზე გამარჯვების შემდეგ ჰქონდა - ფრაკი ჩაიცვა და ლონდონის სასტუმრო „სავოიში" ჩემპიონთა ტრადიციულ მეჯლისზე გაემართა. *„ამაყი ვარ იმით, რომ თქვენი კლუბის წევრი გავხდი*, - განაცხადა ახალმა ჩემპიონმა. - *დიდ სიამოვნებას მანიჭებს აქ ასეთ მშვიდ სიტუაციაში რამდენიმე მატჩის ჩატარება... ვისაც გსურთ ჩემი ზეიმი გაიზიაროთ, დამირეკეთ".*

ორშაბათს, 18 საათსა და 11 წუთზე ფედერერის თვითმფრინავი შვეიცარიის ალპებში დაეშვა. შვეიცარიის ღია პირველობაზე გამოსვლა როჯერისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა - სწორედ აქ დაიწყო მან პროფესიული კარიერა. როცა გაირკვა, რომ უიმბლდონის ჩემპიონი გშტაადის მოკრძალებულ სათიხნარო ტურნირში მიიღებდა მონაწილეობას, ქალაქში დამატებით ასამდე ჟურნალისტი ჩავიდა. როჯერს აეროპორტში შამპანურით დახვდნენ, სასტუმროში კი ვარსკვლავური ნომერი დაახვედრეს.

შემდეგი სიურპრიზი ფედერერს სამშაბათს ელოდა. 800-კილოგრამიანი სიურპრიზი. პირველ მატჩამდე ხუთი საათით ადრე, გშტაადის ცენტრალურ კორტზე ჩემპიონს 6 ათასი მაყურებელი და... ჯულიეტა მიესალმა. ეს იყო ძროხა - ტურნირის ორგანიზატორთა საჩუქარი. ფედერერმა გშტაადში ფინალს მიაღწია, სადაც მსოფლიოს მეათე ნომერთან, ჩეხ **ირჟი ნოვაკთან** წააგო, ისიც გადამწყვეტ სეტში, როცა ფედერერს ძალა აღარ ჰქონდა შერჩენილი. ამის შემდეგ, ის ძალიან დიდი არ აგებდა ფინალებს...

**გია თვალაბეიშვილი**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

